ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 13 მაისი 2021 №1 (3522) | ფასი 2.50 ლარი


გაზეთ სარბიელისა და დინამო თბილისის ერთობლივი პროექტი

## დინამო თბილისი






საჩუქარი

გვ. 20-21

# ...ათს რომ ექვსი აკლდა

- რომელი საათია?
- ათს ექვსი აკლია.

მეორე დღეს ისევ.

- რომელია?
- ათს აკლია ექვსი.

და ასე დაუსრულებლად.

ჩვეულებრივ არავის ახსოვს რას აკეთებდა, ათს რომ ექვსი აკლდა, ვთქვათ წინა სამშაბათს... მით უმეტეს, გასულ წელს ან ოცი წლის წინ.

იმ დღეს კი ათს ექვსი სხვანაირად აკლდა. დახედეთ ფოტოს. განა თქვენ, ვინც მაშინ ბავშვობის ფერად შუქჩრდილებს გადაცდენილი ბრძანდებით, გჭირდებათ რაიმე მინიშნება, მითითება ან შეხსენება? განა ზუსტად არ გახსოვთ, სად იჯექით, ტელევიზორიდან მარცხნივ, მარჯვნივ, შუაში, მეგობრის ოთახში, ბიძაშვილთან, ეწეოდით, ხელში ნერვულად ასანთს ათამაშებდით თუ უკვე სკამიდან წამოიწიეთ რალაც განსაკუთრებულის მოლოდინში?

მოდით, მრავალსიტყვაობით ნულა შეურაცხვყოფთ იმ ათს რომ ექვსი წუთი აკლდა.

ისე, ათს ექვსი გერმანიაში აკლდა, დიუსელდორფში. ჩვენთან პირველს აკლდა ექვსი... ვიტალი დარასელია შნუპჰაზეს ატყუებდა...

ილია გაგუნაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ღირს ახლა დინამო - კარლ ცაისი?













ზურაბ მეძველია
სარბიელი

აი პირველ გვერდზეა ძალიან მატერიალური რამ - დღევანდელი "სარბიელის" ფასი - და ამ პატარა წერილში იქნება ყველაფერი მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასებული. ამის იქით და ბოლო გვერდამდე რაზეც წაიკითხავთ, უბრალოდ შეუფასებელია. შეუფასებელი კი არა, მე თუ მკითხავთ, არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსსაც წვდება ეს ყველაფერი: ის ღამე დიუსელდორფში და "რაინშტადიონზე", ის ღამე საქართველოში და "დინამოს"სტადიონზე, ის გოლი და იმ გოლის გამტანის ხათრით დარქმეული ასობით ვიტალი, ნოდარის კოცნა, კიდევ ბევრი სხვა რამ და თვით ის ბურთიც, ანზორმა რომ გამოსტაცა რიკარდოს...

ამ გვერდზე კი რასაც ხედავთ, ყველაფერს თავისი ფასი აქვს - ეს ევროპის თასების მფლობელთა თასის იმ გათამაშების, იმ ცხრა მატჩის პროგრამები, ბილეთები და აფიშებია.

ვერ ვიტყვი, რომ საფეხბურთოატრიბუტიკისშემგროვებლობა ჩვენში დიდად გავრცელებული რამაა, თუმცა რამდენიმე ათეული კოლექციონერი მაინც არსებობს და სწორედ მათი წყალობითაა, რომ ზოგადად ამ ჩვენი ქართული ფეხბურთის და კერძოდ, ამ ჩვენთვის ისტორიული და გამორჩეული 1980-81 სეზონის ეს ბევრისთვის უბრალოდ მაკულატურა მართლა მაკულატურაში ჩაბარებული და სამუდამოდ დაკარგული არაა.

თუმცა ეს ნაკლებად ითქმის ოთხი საშინაო მატჩის პროგრამებზე: ჯერ ერთი, რომ მათი ტირაჟი მართლაც დიდი იყო ("კასტორია" და "უოტერფორდი" 10-10 ათასი, "ვესტ ჰემი" და "ფეიენოორდი" - 20-20 ათასი) და მეორეც - პროგრამებს სამახსოვროდ არამარტო კოლექციონერები იტოვებდნენ. ამიტომ მათი ფასი ამ 40 წლის გასვლის მერეც მცირეა - სადღაც 2-4 დოლარის ფარგლებში.

ამდენივე ღირს "ვესტ ჰემთან" გასვლითი მატჩის პროგრამაც (უნდა ითქვას, რომ ინგლისში მატჩის მერე მთელი სტადიონი რომ მოიაროთ, ერთ დაგდებულ ბილეთსაც ვერ წააწყდებით, არათუ პროგრამას - ყველა ინახავს სამახსოვროდ. ამიტომაც ფეხბურთის სამშობლოში ასეთი რამეები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძვირი არ ღირს). აპტონპარკულიპროგრამისგან განსხვავებით, სადღაც 7-8 დოლარი ღირს იმავე ვესტ ჰემის გამოშვებული პროგრამა, ოღონდ საპასუხო, თბილისური მატჩისთვის. დიახ, ინგლისური კლუბები, ხანდახან, გასვლით შეხვედრაზე მიმავალი ფანობისთვის ბეჭდავდნენ საგანგებო პროგრამებს, რომელიცშეთავსებით უცხო ქალაქში ერთგვარი გზამკვლევიც იყო.

რაც შეეხება დანარჩენ სამ გასვლითშეხვედრას: საბერძნეთში პროგრამა არ გამოსულა; 20-პენსიანი ირლანდიური პროგრამა ახლა სულ მცირე 70 დოლარი ღირს და როტერდამულიც სადღაც ამ ფარგლებში, 65-80 დოლარი.

რაც შეეხება ფინალს, 32-გვერდიანი პროგრამის ფასი 30-50 დოლარია - გააჩნია როგორაა შენახული.

გადავედით ბილეთებზე. ბერძნული და ირლანდიური მატჩების ბილეთები ვინმე ჩვენებურ კოლექციონერს ჰქონდეს, არ გამიგია. ლონდონური, ზემოთ ნახსენები "ინგლისური ტრადიციის" გამო, ყველაზე იაფია - გადასარევად შენახული და კონტროლმოუხეველი სადღაც 10-15 დოლარის ფარგლებში. იშვიათობაა როტერდამული და მისი ფასზე რაიმეს თქმა რთულია - ბოლოს ერთ ონლაინ აუქციონზე იყო გამოტანილი და 75 დოლარად გაიყიდა. ასევეა ფინალის ბილეთიც, მიუხედავად იმისა, რომ მატჩს სადღაც 60 ქართველი ესწრებოდა. ამათში, სავარაუდოდ, ჩვენებური კოლექციონერი ასი დოლარის გადახდაზე ყაბულს იქნება.

აი თბილისური თამაშების ბილეთების ფასის განსაზღვრა კი ყველაზე რთული ამბავია. ცხადია, ბილეთი უფრო მეტი არსებობდა, ვიდრე პროგრამა, მაგრამ ამ ვიზუალურად უსახურ ბილეთს ბევრი იქვე აგდებდა და ამიტომ არცთუ დიდი შანსია, სადმე გადააწყდე. თან გააჩნია, როგორ მდგომარეობაშია - კონტროლიანი უფრო ძვირია, ვიდრე კონტროლმოხეული და დაკუჭული. ასეა თუ ისე, ამ ოთხი თბილისური მატჩის არცერთი ბილეთი 50 ლარზე ნაკლები არ ღირს (ვესტ ჰემისა, ინგლისელთა დიდი ინტერესის გამო, გაცილებით ძვირი - სადღაც 100 დოლარამდე). და ეს ახლა, ამ პანდემიურ დროში და ეკონომიკური კრიზისისას, როცა კოლექციონერობისთვის და ჰობისთვის ადამიანებს სულ უფრო ნაკლები თანხის გაღება შეუძლიათ.

და დარჩა აფიშები. მათზე, ცხადია, თავის დროზე ძალიან ცოტა ადამიანს მიუწვდებოდა ხელი, თუმცა დღემდე არცთუ იშვიათად ჩნდება ხოლმე მავანთა გადანახულები. ორივე ნაირსახეობის - ქართულის და რუსულის - რეალური ფასი დაახლოებით 60-70 ლარია, ვინაიდან მათი შემგროვებელი ბევრი ნაღდად არაა.

medzvel@hotmail.com









# ცხადია, სარბიელი! ცხადია, დინამო!

აი, ისევ შევხვდით. ცხადია, ბეჭდურ გაზეთს ვგულისხმობთ, სალებავის ნოსტალგიური სუნი რომ ახლავს. ახლანდელ ციფრულ სამყაროში ეს სულ უფრო იშვიათი რამ ხდება.

იშვიათობა კი გამორჩეულობასაც გულისხმობს და ჩვენი სურვილიც ის არის, რომ „სარბიელის" ბეჭდური ვერსია გამორჩეული მოვლენების აღსანიშნად დავბეჭდოთ.

იმაზე უკეთესი საბაბი კი რა უნდა იყოს, რომ ქართულ საკლუბო ფეხბურთში ყველა დროის ყველაზე დიდი გამარჯვების იუბილე გაიხსენო და აღნიშნო.

დრო იმაზე სწრაფად გარბის, ვიდრე ჩვენ, ადამიანებს გვსურს და აგერ, 40 წელიც გასულა იმ ბედნიერი დღიდან - უფრო სწორად კი საღამოდან.

ასე რომ, წარმოგიდგენთ სრულიად უნიკალურ პროექტს ქართული მედიის და ქართული სპორტის ისტორიაში: არც ერთ გაზეთს და არც ერთ კლუბს ერთობლივი მონდომებით საგანგებო ნომერი აქამდე არასდროს გაუკეთებიათ.

ცოტათი წავიტრაბახებთ კიდეც: ეს თუ ვინმეს პირველს უნდა გაეკეთებინა, სწორედ „სარბიელს" და „დინამოს".

თუმცა როდესაც ამ საგანგებო ნომრის გამოცემის იდეა გაჩნდა, საკუთარ თავს ეს კითხვაც დავუსვით: ვითომ დარჩა რამე ისეთი, რაც ამ 40 წელიწადში არ თქმულა, არ დაწერილა, არ გვინახავს? და თუ ახალს ვერაფერს ვიტყოდით, გამოდის, რომ მხოლოდ ბევრჯერ ნათქვამი კიდევ ერთხელ უნდა გაგვემეორებინა?

მაგრამ ჩვენ „სარბიელი" ვართ! ეს ნომერი კი „დინამოზეა" და უნდა მოგვეხერხებინა, რომ გაზეთის ფურცლებზე ძველ და თავგადაკლულ გულშემატკივარსაც რაღაც ახალი ეპოვა და ახალგაზრდა ქომაგსაც სრულად შეეგრძნო იმ ძველი დიდების სურნელი.

ასე გაკეთდა „სარბიელის" ისტორიაში პირველად 40-გვერდიანი ნომერი, 40 წლის სიმბოლურად აღსანიშნად.

# თითქმის დეტექტიური ამბავი

## ქვეყანა, სადაც კითხვები არ უყვარდათ



გიორგი დარჯანია
სარბიელი

საბჭოთა კავშირში ზედმეტი კითხვების დასმა არ უყვარდათ. არავინ ინტერესდებოდა, რატომ მიიღეს იქ, ზევით, ესა თუ ის გადაწყვეტილება. არც არგუმენტებს და დასაბუთებას ითხოვდა ვინმე. გადაწყდა და მორჩა...

ასეთი შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ ამ ნომრისთვის ზუსტად მინდოდა აღმედგინა ის დღემდე ბუნდოვანი ისტორია, როგორ მოხვდა „დინამო" თასების მფლობელთა თასზე, როცა არც საშინაო თასის მფლობელი იყო და ვერც დამარცხებული ფინალისტის სტატუსით მოხვდებოდა, რაკი თასის მფლობელს ამავე დროს ჩემპიონობა არ მოუპოვებია.

ამბავში მეტი სიცხადის შესატანად, გულმოდგინედ გადავიკითხე იმ პერიოდის საკავშირო პრესა, მათ შორის მთავარი სპორტული გამოცემები - „სოვეტსკი სპორტი" და მისი ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლ ხოკეი". სიმართლე გითხრათ, საკითხის ბუნდოვანებაში გაცრეცილ-გაყვითლებული გაზეთების ფურცვლას განსაკუთრებული სიცხადე არ შეუტანია. ეგებ პირიქითაც - კითხვები უფრო მეტი გაჩნდა...



ЖРЕБИЙ НАЗВАЛ СОПЕРНИКОВ

СООБЩАЕМ ПОЛНЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ ЖЕРЕБЬЕВКИ ЕВРОПЕЙСКИХ КЛУБНЫХ ТУРНИРОВ, СОСТОЯВШЕЙСЯ 9 ИЮЛЯ В ЦЮРИХЕ. Впереди стоят команды, принимающие соперников в первом матче на своем поле.

КУБОК ЧЕМПИОНОВ: «ЖИНЕСС ЭШ» (Люксембург) — «СПАРТАК» (Москва)
КУБОК КУБКОВ: «КАСТОРИЯ» (Греция) — «ДИНАМО» (Тбилиси) или «ШАХТЕР» (Донецк)
КУБОК УЕФА:
«ДИНАМО» (Киев) — «ЛЕВСКИ-СПАРТАК» (Болгария)
«ЛОКЕРЕН» (Бельгия) — «ДИНАМО» (Москва)
«ДИНАМО» (Тбилиси) или «ШАХТЕР» — «ЭЙНТРАХТ» (ФРГ)

Кубок чемпионов

ფოტო №1



ЦЮРИХ, 9 июля 1980 г...

В этот день в штаб-квартире УЕФА, находящейся в Швейцарии, состоялась жеребьевка европейских клубных турниров сезона 1980—81 гг. Вот как выглядят соперничающие пары в турнире УЕФА:
Первые матчи пройдут на полях команд, указанных впереди. Ответные игры 1 октября.
«Шахтер» (Донецк, СССР) — «Эйнтрахт» (Франкфурт, ФРГ)
«Динамо» (Киев, СССР) — «Левски-Спартак» (Болгария)
«Локерен» (Бельгия) — «Динамо» (Москва, СССР)

ფოტო №3

ამბავი ასეთია: რეგლამენტით, 1980-81 წლების ევროსეზონში თასების მფლობელთა თასზე დონეცკის „შახტიორს" - საკავშირო თასის მფლობელს უნდა ეთამაშა. „დინამოს" კი, რომელმაც ჩემპიონატი მეოთხე ადგილზე დაასრულა, უეფას თასზე თამაში ერგებოდა. რაღაც მომენტში კი მოსკოვში გადაწყდა, რომ „დინამოსთვის" და „შახტიორისთვის" ადგილები გაეცვალათ.

დავიწყოთ იმით, რომ როდესაც წილისყრა გაიმართა, ეს კი 1980 წლის 9 ივლისს ციურიხში მოხდა (იმ დროს უეფას ნიონის შტაბბინა არ არსებობდა), თასის ფინალი ჯერ გამართული არ იყო. ამიტომ წილისყრისას უეფამ სწორედ ასე გამოაცხადა: „დინამო" ან „შახტიორი". ამის მტკიცებულება არქივში მოვიძიეთ: „ფუტბოლ ხოკეის" 13 ივლისის ნომერში, სადაც სწორედ ასე არის მოცემული წილისყრის შედეგები (იხ. ფოტო #1).

გავრცელებული ცნობით, უფრო კი ე.წ. „ქალაქური ლეგენდით", ფინალის დაგვიანებით ჩატარება მოსკოვის ოლიმპიადის ბრალი იყო. გაგანია მსოფლიო მასშტაბის მოვლენის დროს, საკავშირო თასის ფინალისთვის არავის ეცალაო. სწორედ ამიტომ ჩატარდა თასის ფინალი დაგვიანებით, რამაც უეფას გულისწყრომა გამოიწვია და საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ყურიც აუწიაო. აი, ამას გვეუბნება „ქალაქური ლეგენდა".

ეს სიმართლე არ არის. ოლიმპიადა არაფერ შუაშია. საკავშირო თასის ფინალი იქამდეც აგვისტოში იმართებოდა. გადავხედოთ: 1979 წელს (როცა „დინამომ" თასი ოთარ გაბელიას მოგერიებული პენალტით მოიგო) ფინალი 11 აგვისტოს ჩატარდა. 1978 წელს - 12 აგვისტოს, 1977 წელს - 13 აგვისტოს, 1976 წელს - 3 სექტემბერს...

ანუ, თასის ფინალის აგვისტოს შუა რიცხვებში ჩატარება ჩვეულებრივი მოვლენა იყო და მაინცდამაინც ოლიმპიადას არ უნდა დავაბრალოთ. თუმცა უეფასგან ყურის აწევის ამბავი, შესაძლოა სწორიც იყო, რაკი, 1980 წლის შემდეგ, ანუ 1981 წლიდან, ფინალები აგვისტოს ნაცვლად მაისში გადმოიტანეს.

ჩვენთვის საინტერესო წელს თასის ფინალი 9 აგვისტოს გაიმართა და თითქოსდა გაირკვა, რომ შედეგის მიხედვით, „დინამო" უეფას თასზე მიდიოდა, „შახტიორი" კი - თასების მფლობელთა თასზე. ამის დასტურად უნიკალურ მასალას წარმოგიდგენთ (ფოტო #2).

თასის ფინალიდან 4 დღეში, 13 აგვისტოს, „დინამო" ჩემპიონატში „ფახთაქორს" შეხვდა. ცხადია, „დინამომ" სამატჩო პროგრამაც დაბეჭდა, რომელშიც სხვა ინფორმაციებთან ერთად, მცირე ზომის წერილსაც ვკითხულობთ, რომელშიც „დინამოს" საუეფასთასო მეტოქედ ფრანკფურტის „აინტრახტია" მოხსენიებული. ამ უნიკალური პროგრამით დასტურდება, რომ 13 აგვისტოს „დინამოსთვის" და „შახტიორისთვის" ადგილების გაცვლა გადაწყვეტილი ჯერ არ იყო.

არქივში ძებნა გავაგრძელე და ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას 24 აგვისტოს „ფუტბოლ ხოკეიში" წავაწყდი. იმ ნომერში სასხვათაშორისოდ ნახსენები იყო: „იმედი გვაქვს, სტარუხინი „შახტიორს" უეფას თასზე დიდ სამსახურს გაუწევსო". აი, ასე, მოკლედ, მშრალად, თითქოს, „შახტიორის" უეფას თასზე თამაში (და შესაბამისად, „დინამოს" თასების მფლობელთა თასზე) საყოველთაოდ ცნობილი ამბავი ყოფილიყოს და არა უეცრად მიღებული გადაწყვეტილება.

მაგრამ ეს, ისევ გავიმეოროთ - საბჭოთა კავშირი იყო, ქვეყანა, სადაც ზედმეტი კითხვების დასმა არ უყვარდათ და მნიშვნელოვან ინფორმაციას, ასე, სასხვათაშორისოდ ამცნობდნენ ადამიანებს. ჰო, „შახტიორის" სამატჩო პროგრამაში, რომელიც იმავე წლის სექტემბერშია დაბეჭდილი, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წერია, 9 ივლისს უეფას წილისყრისას „აინტრახტის" მეტოქედ „შახტიორი" ამოვიდა ბურთულიდანო (ფოტო #3).

აი, ასეთი ქვეყანა იყო. კითხვები არ უყვარდათ, ამიტომ, „დინამოს" თასების მფლობელთა თასზე გადასროლის ისტორია ზუსტად რომელ დღეს და რომელ კაბინეტში გადაწყდა, არავინ იცის.







ფოტო №2 „აინტრაჰტი" — „დინამოს" მეტოქე

თბილისის დინამოელები წელს მერვედ მონაწილეობდნენ სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში და შესაძლებლობა ჰქონდათ მესამედ ელოთ საპატიო პრიზი, მაგრამ შარშანდელმა თასის მფლობელმა ძალზე დუნედ, თავიანთ შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად ითამაშა და გამარჯვება დონეცკის „შახტიორს" დარჩა — 2:1. დონეცკელთაგან ბურთები გაიტანეს სტარუხინმა და პიანიხმა, დინამოელთაგან საპასუხო გოლის ავტორია შენგელია.

მაშ ასე, 18-წლიანი შესვენების შემდეგ „შახტიორი" ძალზე დაეუფლა ბროლის თასს — ეს უკვე მესამედ! ვულოცავთ უკრაინელ ფეხბურთელებს ამ დიდ წარმატებას და ვუსურვებთ ასეთივე წარმატებით ესპარეზონ ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, სადაც, პირველ ეტაპზე, მათი მეტოქე საბერძნეთის „კასტორია" იქნება.

თბილისის „დინამო" კი მონაწილეობას მიიღებს უეფას თასის გათამაშებაში. დინამოელებს მეტად ძლიერი მეტოქე ჰყავთ — მაინის-ფრანკფურტის „აინტრახტი" — უეფას თასის მფლობელი.

ჩვენ გვწამს, რომ ქართველი ფეხბურთელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა წარმატებით იასპარეზონ საერთაშორისო სარბიელზე. გამარჯვებებს გისურვებთ, დინამოელებო!

სსრ კავშირის თასი — დონეცკის „შახტიორს"!

# რა ეწერა რეგლამენტში

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდებოდა, რის გამოც ჩემპიონთა და უეფას თასებზე გუნდები წინა წლის შედეგებით გადიოდნენ. ანუ, 1980 წლის შემოდგომაზე ევროთასების გათამაშებაში საბჭოთა გუნდები 1979 წლის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით გავიდნენ. მხოლოდ თასების მფლობელთა თასზე გადიოდა 1980 წლის სათასო გათამაშების გამარჯვებული.

ანუ, რეგლამენტის თანახმად, ჩემპიონთა თასზე „სპარტაკს" უნდა ეთამაშა, თასების მფლობელთა თასზე „შახტიორი" უნდა გასულიყო, უეფას თასზე კი, სადაც საბჭოთა კავშირს 3 ადგილი ერგებოდა, კიევის, თბილისის და მოსკოვის დინამოელებს უნდა ეთამაშათ.

„სპარტაკის", ასევე მოსკოვის და კიევის დინამოელების შემთხვევაში, ასეც მოხდა. აი, „შახტიორს" და თბილისის „დინამოს" კი საკავშირო ფედერაციაში ადგილები გაუცვალეს - „დინამო" თასების მფლობელთა თასზე გაამწესეს, „შახტიორი" კი უეფას თასზე.

სხვათა შორის, იმ სეზონში საბჭოთა ფეხბურთის მამებმა ერთი უცნაური წესიც დანერგეს - გუნდებს ფრეების ლიმიტი დაუწესეს. სეზონში 8 ფრის შემდეგ, გუნდს ქულა აღარ ეწერებოდა. ამ შეზღუდვის არსი ის იყო, გუნდები მოსაგებად უფრო მეტად იბრძოლებენო. ეგებ ასეც ყოფილიყო, თუმცა ამ წესის სამართლიანობისა, რა მოგახსენოთ.

ასე მაგალითად, ჩვენს „დინამოს", ამ წესის გადამკიდე, 4 ქულა აქვს დაკლებული და კარგად თუ დავითვლით (იმ პერიოდში მოგება 2 ქულად ფასობდა), წესით ვიცე-ჩემპიონობა ერგებოდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი მოსკოვი | 34 | 21 | 10 | 3 | 66-25 | 50 |
| შახტიორი დონეცკი | 34 | 20 | 8 | 6 | 57-33 | 48 |
| დინამო კიევი | 34 | 21 | 5 | 8 | 51-26 | 47 |
| დინამო თბილისი | 34 | 19 | 12 | 3 | 54-27 | 46 |
| დინამო მოსკოვი | 34 | 17 | 9 | 8 | 41-27 | 42 |
| დინამო მინსკი | 34 | 15 | 6 | 13 | 48-38 | 36 |
| არარატი ერევანი | 34 | 12 | 13 | 9 | 44-32 | 32 |
| ცსკა მოსკოვი | 34 | 12 | 8 | 14 | 46-46 | 32 |
| პახთაქორი ტაშკენტი | 34 | 11 | 9 | 14 | 42-53 | 30 |
| ზენიტი ლენინგრადი | 34 | 11 | 9 | 14 | 41-45 | 30 |
| ჩერნომორეცი ოდესა | 34 | 10 | 11 | 13 | 32-37 | 28 |
| ლოკომოტივი მოსკოვი | 34 | 8 | 12 | 14 | 44-57 | 24 |
| კაირათი ალმა ატა | 34 | 8 | 9 | 17 | 29-44 | 24 |
| ნეფთჩი ბაქო | 34 | 8 | 8 | 18 | 29-50 | 24 |
| სკა როსტოვი | 34 | 8 | 14 | 12 | 37-50 | 24 |
| ტორპედო მოსკოვი | 34 | 8 | 9 | 17 | 32-46 | 24 |
| ზარია ვოროშილოვგრადი | 34 | 6 | 11 | 17 | 41-62 | 20 |
| კრილია სოვეტოვი კუიბიშევი | 34 | 7 | 5 | 22 | 24-60 | 19 |

ალექსანდრე ჩივაძე

3

# პროფესორი ჩივაძე








პაატა ქვანტალიანი
სარბიელი

ის მჭირს, ერთი შეხედვით ძალიან ადვილი რომაა წერა, მაგრამ არა და არ გამოგდის - ისე არ გამოგდის, როგორც შენი ნაწერის გმირს ეკადრება. განგებამ ინება და ალექსანდრე ჩივაძე პირადად გავიცანი. ტრაბახით წავლეკე უბანი და საძმაკაცო. მას მერე წლები გავიდა, ინტერვიუებიც იყო და არაფორმალურ გარემოში სუფრასთან საუბრებიც, მაგრამ მის სიდიადეს ვერ მოვერიე და გაშინაურება ვერ შევკადრე. ძალიან დიდია. უზარმაზარი...

8 წლისა „დინამოს" სპორტსკოლაში მიიყვანეს. 18 წლისას „დინამოს" დიდ გუნდში უხმეს. 19 წლისა ძირითადის შეუცვლელი წევრია. 21 - სსრკ თასის მფლობელი. 23 - სსრკ ჩემპიონი. 24 - მეორედ იგებს სსრკ თასს. 25 - სსრკ საუკეთესო ფეხბურთელი. 26 - თასების მფლობელთა თასის მფლობელი, „დინამოს" და სსრკ ნაკრების კაპიტანი. 27 - მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე შოტლანდიის კარში გოლი გაიტანა... ფანტასტიური და თავბრუდამხვევი კარიერაა.

დღეს კი ცოტას თუ ახსოვს, რომ საშა ჩივაძე მეტსახელს 1981 წლის მარტიდან ატარებს. ლონდონში „ვესტ ჰემის" 4:1 დაბრიყვების შემდეგ ინგლისელმა ჟურნალისტებმა უწოდეს „ფეხბურთის პროფესორი"...

- „ვესტ ჰემთან" მატჩისთვის მოსამზადებელი პერიოდი გუნდთან ერთად არ გამივლია - საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვემზადებოდი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევისთვის. „ვესტ ჰემი" ძლიერი გუნდი იყო, ინგლისის მეორე ლიგაში კი თამაშობდა, მაგრამ იმხანად ლიდერობდა გათამაშებას და მომავალი სეზონისთვის, ფაქტობრივად, განაღდებული ჰქონდა რჩეულთა შორის ალზევება. თანაც, ინგლისის ლიგის თასის ფინალში იყო გასული და „ლივერპულს" უნდა შეხვედროდა, - იხსენებს ფეხბურთის პროფესორი, - ნოდარ ახალკაცს ჩვენი მომავალი მეტოქის თამაშის ვიდეოფირი ჰქონდა ნანახი და საკმაოდ დიდი შთაბეჭდილებაც დარჩა. გვაფრთხილებდა, რომ მეტად ძლიერ, ძნელად დასამორჩილებელ გუნდს უნდა გავჯიბრებოდით.

ლონდონში გამგზავრებამდე რესპუბლიკის პირველ პირს, ედუარდ შევარდნაძეს შევხვდით და ჩინებულ ხასიათზეც დავდექით. უამისოდაც წარმატების დიდი იმედი გვქონდა. გუნდში ახალგაზრდებიც ვიყავით, იყვნენ შედარებით გამოცდილებიც, მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ საერთაშორისო მატჩების გარკვეული გამოცდილება ყველას გვქონდა. თუმცა, მივუახლოვდებოდით რალაც ეტაპს და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. არადა, საშინაო ასპარეზზე ყველაფერი მოგებული გვქონდა. ახლა უკვე გაცილებით დიდ დონეზე უნდა დაგვემტკიცებინა ჩვენი შესაძლებლობები და ვგრძნობდით, ჩვენი შემჩერებელი არავინ იყო.

ნოდარ ახალკაცის საოცარი პროფესიონალიზმის წყალობით ერთ დიდი პლუსი გვქონდა - ვცდილობდით ერთმანეთის საუკეთესო თვისებების გამოყენებას და სწორედ ეს გახლდათ ჩვენი წარმატების უმთავრესი ფაქტორი. ამიტომ, გამოგიტყდებით, წილისყრის შედეგს ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა - ჩვენ მზად ვიყავით ნებისმიერი მეტოქის დასამარცხებლად...

თავიდან მეტოქემ შემოგვიტია, მაგრამ მზად დავხვდით მის იერიშებს. მალე გუცაევმა ბონდსს ააცალა ბურთი და მეკარესთან პირისპირ გასულმა მეორე გოლი გაიტანა. ძნელია, სიტყვებით იმ გრძნობის გადმოცემა, რასაცა შესვენებისას გასახდელში განვიცდიდით. მხოლოდ ფარსადანოვიჩს არ შეცვლია სახე. ახალკაცი კვლავაც შეფიქრიანებული იყო, თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ყველაფერი არ იყო დამთავრებული. აკი მეორე ტაიმის განახლებიდან ცოტა ქნის შემდეგ ქროსმა ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ ჩვენი შეჩერება შეუძლებელი იყო და შენგელიას ჯერიც დადგა. ბევრისთვის დაუჯერებელი რამ მოხდა: 68-ე წუთისთვის 4:1 ვიგებდით.

დიდი გუნდი იყო „ვესტ ჰემი" და ეს თბილისშიც დაამტკიცა. აქაც უამრავი მომენტი გვქონდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომელიმე მათგანი რომ გამოგვეყენებინა, მაინც ვერ გავტეხდით ინგლისელთა ჟინს და მონდომებას. ისინი ბრძოლისთვის იყვნენ განწყობილნი და აკი მატჩის ბოლოს თავისიც გაიტანეს. პირსონის გოლმა სტუმრებს, მიუხედავად, საერთო ჯამში დამარცხებისა, მაინც შვება და სიხარული მოჰგვარა...

როტერდამული მატჩის პერიპეტიებს, მოდი, ალარ მოვყვები, იქაურ თამაშის და მსაჯობის გახსენებაც ალარ მინდა. ხომ ისეც ყველამ ყველაფერი იცის. ფინალზე ვიტყვი...

დიუსელდორფშიც იმედიანად ჩავედით. ზურგს გვიმაგრებდა ათასობით ქომაგის მოლოდინი და მხარდაჭერა გზაზე დამდგართ რომ გვაგრძნობინეს.

მატჩის წინადღით ვარჯიში გვქონდა და ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთი მომხვდა სახეში. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ ცხვირიდან სისხლი წამსკდა, თანაც ისე, რომ ვერაფრით შემიჩერეს. გაოფლიანებული ბალახზე წამოვწექი და თავი გადავწიე. ამ გზით სისხლი კი შემიჩერდა, მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, დიდი შეცდომა დავუშვი. საღამოს 40 გრადუსი სიცხე მომცა, ლაპარაკის უნარიც წართმეული მქონდა. მედიკამენტების მიღება გამორიცხული იყო, დოპინგ კონტროლზე რომ გავეყვანე ვინმეს, ყველაფერი სავალალოდ დასრულდებოდა.

ერთი გზა რჩებოდა და ზაქარია თელიამ მამაპაპური მეთოდებით მიმკურნალა. მატჩის დღეს სიცხე ალარ მქონდა, მაგრამ მოედანზე გასვლის წინ სუსტად ვიყავი. თუმცა დაიწყო თამაში და ყველაფერი შეიცვალა, თითქმის ახალი ძალა შემოვიდა ჩემში, ისე ვგრძნობდი თავს. თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ და მთელი 90 წუთის განმავლობაში ერთხელაც არ გამჭირვებია, ოდნავადაც არ მიგრძვნია დალლა და დარწმუნებულიც ვარ, ბიჭებიც იგივეს გრძნობდნენ.

საფინალო სასტვენის შემდეგ რას ვაკეთებდი, ზუსტად ალარც კი მახსოვს, ერთი რამ მაგონდება მხოლოდ, ბიჭებთან მივირბინე და ყველამ იმ ტრიბუნისკენ გავემართეთ, მცირერიცხოვან ქართველ გულშემატკივართა განცდებს რომ ველარ იტევდა...

თასთა თასში ექვსი ბოთლი ღვინო ჩადიოდა, ცხადია, ერთ ჯერზე მისი დაცლა აზრადაც არავის მოგვსვლია, ვერც შევძლებდით, ყველამ სიმბოლურად დავლიეთ იმ თასიდან და ბოლოს წვეთიც არ დარჩენილა შიგ.

თვითმფრინავის ტრაპიდან თბილისის აეროპორტში ჩამოსვლის შემდეგ კი კარგა ხანს ვერ გავაცნობიერე თუ რა ხდებოდა ჩემს თავს, მგონი, მიწაზე არც დამიკარებია ფეხი, ხან სად ამაგდებდნენ ჰაერში, ხან სად...

სამწუხაროდ, მას შემდეგ ქართულ ფეხბურთს ამ დონის წარმატება ალარ ჰქონია და ვცხოვრობთ მხოლოდ მოგონებებით, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ ქართული ნიჭი ფეხბურთში თავის სიტყვას კვლავ იტყვის...

## ბრეჟნევი - ჩვენი მამა

ნახალოვკელი საშა ჩივაძე საპატიო თბილისელია და უეფამ სპეციალური ორდენით დააფასა, მაგრამ ქომაგის სიყვარულს ვერაფერი გადაწონის. აბა, როგორ შეიძლება, საშა ჩივაძეზე წერო და მისი იუმორის გრძნობა არ ახსენო?

ერთ ძველ ანეკდოტს თავად ბატონი საშაც სიამოვნებით ყვებოდა თურმე: 1981 წელს თასების თასის მფლობელ ახალგაზრდა დინამოელებს კომპარტიაში ურიგოდ მიღება შესთავაზეს. პირველი რაიკომის კომისიაზე ჩივაძე შევიდა და ერთ წუთში ღიმილით გამოვიდა. შემოეხვიენ დანარჩენები.

- მიმიღეს.

- რა გკითხეს?

- ლეონიდ ბრეჟნევი ვინ არისო. მე ვუთხარი, ჩვენი მამაა მეთქი. მეტი არაფერი უკითხავთ. მიმდევნო კომისიაზე ერთ-ერთი დინამოელი შევიდა და ერთ წუთში შეშინებული გამოვარდა.

- რა გკითხეს?

- ლეონიდ ბრეჟნევი ვინ არისო. მე ვუთხარი, ჩივაძის მამაა-მეთქი და ძლივს გამოვასწარი.





40 წლის შემდეგ...

საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრი.

1/16 ფინალი. პირველი მატჩი
17 სექტემბერი, 1980. სალონიკი. „კაფტაძოგლინო".
20 000 მაყურებელი
„კასტორია" (საბერძნეთი) 0:0 „დინამო"
„კასტორია": ერმიდისი, ალექსიადისი, კალაიციდის, კოპანოსი, სიაპანიდისი (პერგამინოსი 63), პარასხოსი, დინციკოსი (ვოიციდისი 63), ლიოლიოსი, სიანცისი, ცირონისი, პაპავასილიუ
მწვრთნელი: დიმტრის ტზიმასი
„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, ჩელებაძე (თავაძე 77), ყიფიანი, შენგელია (ჩქარეული 77)
მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი
გაფრთხილება: გაბელია
მსაჯი: მირჩა სალომირი (რუმინეთი)

1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი
1 ოქტომბერი, 1980. თბილისი. „დინამო".
30 000 მაყურებელი
„დინამო" 2:0 „კასტორია"
1:0 შენგელია (52), 2:0 გუცაევი (80)
„დინამო": გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი (ქორიძე 82), შენგელია (ჩელებაძე 85)
მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი
„კასტორია": ერმიდისი, ალექსიადისი, კალაიციდისი, ვოიციდისი, პერგამინოსი, პარასხოსი, დინციკოსი, პაპავასილიუ, ლიოლიოსი, ბაბოვიჩი, ცირონისი; მწვრთნელი: დიმიტრის ტზიმასი
გაფრთხილება: პარასხოსი
მსაჯი: დუშან მაქსიმოვიჩი (იუგოსლავია)

# ასე დაიწყო



ქვეყნდება პირველად... „დინამომ" ბერძნულ „კასტორიას" ბარიერი იოლად გადალახა

სოლომონ
ბულისაშვილი
სარბიელი

დინამოელთა ტრიუმფალური კამპანია ნაკლებადცნობილ ბერძნულ „კასტორია-სთან" დაპირისპირებით დაიწყო. მეტოქე უცნობი იყო, მაგრამ ფავორიტები ცხადია თბილისელები გახლდნენ, რადგან ბერძნები ევროთასების დებიუტანტები იყვნენ, დინამოელებს კი უკვე საკმაო გამოცდილება დაეგროვებინათ ევროპის საუკეთესო გუნდებთან ტოლ-სწორად შეხვედრებით.

სხვათა შორის, ახლახან გადავამოწმეთ და, „კასტორიას" ევროთასებზე მხოლოდ ეს ორი მატჩი ჩაუტარებია თავის 57-წლიან ისტორიაში.

კასტორია პატარა ქალაქია საბერძნეთის ჩრდილო-დასავლეთით, ამავე სახელწოდების ტბის გარშემო გაშენებული. თუმცა ის ნაკლებად გვაინტერესებს, რადგან პირველი მატჩი არა კასტორიაში, არამედ სალონიკიში ჩატარდა, სადაც ორშაბათს დილით გაფრენილმა დინამოელებმა, მოსკოვიდან სოფიაში და ათენში გადაჯდომებით გვიან ღამით ძლივს ჩააღწიეს.

საინტერესოა, რომ კასტორიიდან სალონიკიში ქალაქის მოსახლეობის თითქმის მეოთხედი გაემგზავრა. წითელ-ყვითელი (კლუბის ფერებია) შარფებითა და კეპებით, თუმცა ამან სტადიონი ნახევრამდეც კი არ შეავსო.

მატჩი ადგილობრივი დროით საღამოს 5 საათზე დაიწყო, ძალიან ცხელოდა და ტემპი დაბალი იყო. დინამოელთა უპირატესობა თვალსაჩინო გახლდათ, მაგრამ გოლამდე საქმე არ მისულა.

მატჩის შემდეგ მათმა მთავარმა მწვრთნელმა, ტაკის ძიმასმა თქვა: ასეთ ძლიერ და გამოცდილ გუნდთან საპასუხო შეხვედრაში დიდი შანსი არ გვაქვსო. უკმაყოფილო დარჩენილა ჩვენებურთა დამრიგებელი, ნოდარ ახალკაციც, უნდა მოგვეგო და შანსი ხელიდან გავუშვითო - უთქვამს.

ოთარ გაბელია იხსენებს: „ნოდარ ახალკაცი ჩინებული ფსიქოლოგიც გახლდათ. კარგად იცოდა ვისთვის როგორ, რა, როდის ეთქვა. „კასტორიასთან" საპასუხო მატჩისთვის ისე განგვაწყო, ახლა რომ ვფიქრობ, შეუძლებელი იყო არ მოგვეგო".

ახლკაცმა საპასუხო შეხვედრაში ნაჩვევი ტაქტიკა შეცვალა და დინამოელთა შეტევების სიმძიმემ მარჯვენა ფრთაზე გადაინაცვლა, სადაც გუცაევი ირჯებოდა. მას არც პირველ შეხვედრაში ეთამაშა და საერთოდაც, ტრავმით გამოწვეული ოთხთვიანი პაუზის შემდეგ, პირველად გამოჩნდა მინდორზე. გამოჩნდა და გამარჯვების მთავარი სულისჩამდგმელიც გახდა.

დინამოელებს დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება. ეპიზოდებში თამაში ცალკარას ემსგავსებოდა, მაგრამ ზოგჯერ არ უმართლებდათ, ზოგჯერაც სიზუსტე არ ჰყოფნიდათ. საბოლოოდ - 2:0.

პირველი მეტოქე დაძლეული იყო, მაგრამ ყველაფერი ხომ ახლა იწყებოდა.



ქვეყნდება პირველად... დავით ყიფიანი და რამაზ შენგელია ბერძენმა მცველებმა ვერ შეაჩერეს

# მატჩი, რომელიც კინაღამ ჩაიშალა

1/8 ფინალი. პირველი მატჩი
22 ოქტომბერი, 1980. უოტერფორდი. „კილკოპან პარკი". 3 000 მაყურებელი
„უოტერფორდი" (ირლანდია) 0:1 „დინამო"
0:1 შენგელია (50)
„უოტერფორდი": ტომასი, ო'მაპონი (ფიტცპატრიკი 83), გარდინერი, ფინუკანი, დანფი, ჯექსონი, მიურეი, მედიგანი, კირკი, მაკკარტი (კერი 73), მიგანი
მწვრთნელი: ტომი ჯექსონი
„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სულაქველიძე, ქორიძე, გუცაევი (ჩელებაძე 20), ყიფიანი, შენგელია (კერესელიძე 63)
მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი
გაფრთხილება: დარასელია
მსაჯი: ნორბერტ როლფსი (ლუქსემბურგი)

1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი
5 ნოემბერი, 1980. თბილისი. „დინამო". 70 000 მაყურებელი
„დინამო" 4:0 „უოტერფორდი"
1:0 დარასელია (66), 2:0 ჩივაძე (74), 3:0 დარასელია (79), 4:0 ჭილაია (87)
„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი (ჭილაია 82), დარასელია, სულაქველიძე, ჟვანია (ჯოხაძე 64), ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია
მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი
„უოტერფორდი": ტომასი, ო'მაპონი, გარდინერი, ფინუკანი, დანფი, ჯექსონი, მიურეი, მედიგანი, კირკი, მაკკარტი, მიგანი
მწვრთნელი: ტომი ჯექსონი
გაფრთხილება: მედიგანი
მსაჯი: იორდან ჟეჟოვი (ბულგარეთი)

დიდად სახელიანი არც დინამოელთა მეორე მეტოქე, ირლანდიური „უოტერფორდი" ყოფილა. პირველ წრეში მათ გათამაშებიდან მალტის თასის მფლობელი, „ჰიბერნიანსი" გამოთიშეს (0:1, 4:0). ფავორიტი, ცხადია ამ წყვილშიც ქართული კლუბი იყო, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა, მით უმეტეს, აბსოლუტურად უცნობ გუნდთან.

ირლანდიაში ჩასულებს, წვიმიანი ამინდი დახვდათ. სტადიონი კი უცნაური რამ გამოდგა. მერე გაირკვა, რომ „კილკოპან პარკი" საფეხბურთო სარბიელი არც ყოფილა. ძაღლების დოღისთვის იყო განკუთვნილი. მინდორიც ერთობ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მიუხედავად ამისა, სიტუაციის ბატონ-პატრონები ჩვენები იყვნენ. ერთადერთი გოლი კი მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ შენგელიას მეკარესთან პირისპირ დარჩენას მოჰყვა.

წინ საპასუხო, თბილისური მატჩი იყო, რომელიც კინაღამ ჩაიშალა. მიზეზი? „უოტერფორდს" გამოსამგზავრებელი ფული არ ჰქონდა...

პრობლემა უკანასკნელ წუთს მოგვარდა. ბედად, მშველელი ერთი კეთილი კაცი, მდიდარი გულშემატკივარი, პატარა სატრანსპორტო კომპანიის მფლობელი, შონ პაუერი აღმოჩნდა. მან მთლიანად საკუთარ თავზე აიღო ხარჯები.

მახსოვს, ქართულ მედიაში წერდნენ თამაშის წინ: „დინამოს" სტადიონზე სავარჯიშოდ მისული ირლანდიელები გაოცებულნი დარჩენილან სარბიელის გრანდიოზულობით. ვერ იჯერებდნენ, რომ ტრიბუნები მთლიანად გაივსებოდა.

მთლიანად არა, მაგრამ 70 ათასი მაყურებელი მივიდა. მაშინ ჩვენი მთავარი სტადიონი ოფიციალურად 75 ათას მაყურებელს იტევდა. მათი უცნაური სარბიელის შესახებ კი ზევით ვთქვით.

მასპინძლები ბევრს უტევდნენ, ორჯერ ძელსაც გაარტყეს ბურთი. მაგრამ პირველ ტაიმში გოლი არ გასულა.

შესვენების შემდეგ სცენარი არ შეცვლილა. ნავსი კი 66-ე წუთზე გატყდა, როცა დარასელიამ ულამაზესი გოლი გაიტანა მაღალ კუთხეში. თუ აქამდე სტუმრებს კიდევ რაღაცის მცირე იმედი ჰქონდათ, ვთქვათ, კონტრშეტევაზე ჩვენების გამოჭერისა, ახლა უკვე საბოლოოდ მოიშალნენ, შეცდომებს უმატეს და მალე ჩივაძემ მეორედ აიღო მათი კარი. ამას დარასელიას დუბლი და ჭილაიას გვიანი გასროლა მოჰყვა - 4:0...

„დინამო" ისტორიაში პირველად გავიდა ევროთასების მეოთხედფინალში. გაზაფხულზე რაღაც ახალი, მანამდე უჩვეული გამოცდილება უნდა დაწყებულიყო...

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ოთარ გაბელია

1

# ვეჯინელი ქურდი, წარმატების საიდუმლო და დალეჭილი კარლ ცაისი





**40 წლის შემდეგ...**

დღეს მწვრთნელია, თუმცა უმუშევარი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დელეგატი ეროვნული ლიგის მატჩებზე.




გიორგი ვაშაკიძე

სარბიელი


*ლეგენდარული „დინამოს" ლეგენდარულ მეკარეს „დინამოს" სტადიონზე შევხვდით, შეგნებულადაც და სიმბოლურადაც - ოთარ გაბელიასთან სასაუბროდ და დაუვიწყარი 13 მაისის გასახსენებლად სხვა, უკეთესი ადგილი ნამდვილად არ გვეგულებოდა...*

... 40 წელი გავიდა, მაგრამ ასე მგონია, რომ გუშინ მოხდა ეს ყველაფერი. რა თქმა უნდა, გასახსენებელი ბევრია და შეიძლება, ბევრი რამ გამომრჩეს კიდეც, ან ისეთი რა უნდა გავიხსენო, რაც აქამდე არ თქმულა და არ დაწერილა - მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ უშუალო მონაწილე ვიყავი...

... მგონია, რომ იმ „დინამოს" წარმატების საიდუმლო თვითონ ნოდარ ახალკაცი იყო, რომელმაც გუნდში შეგვკრიბა ის ფეხბურთელები, ვინც მის გეგმებს, ტაქტიკურ მონახაზს მოერგებოდა და მოყავდა კიდეც ასეთი ბიჭები მთელი საქართველოდან - რამაზი, თამაზი, ზაური და მე 1977 წელს ერთად მოვედით ქუთაისის „ტორპედოდან", ვიტალიც მაგ დროს მოვიდა ოჩამჩირედან, მერე „ჭომაც" დაგვემატა, ყიფო, საშა და ვოვა უკვე „დინამოში" იყვნენ. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ეს წარმატება ერთ დღეს ნამდვილად არ მოსულა, ჩვენ აქამდე ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდით; ჩემპიონატის მატჩებთან ერთად უკვე გვქონდა საერთაშორისო გამოცდილებაც.

... ფინალი ხომ ფინალი იყო, მაგრამ მანამდეც გვქონდა რთული თამაშები - „ვესტ ჰემს" 4:1 კი მოვუგეთ სტუმრად, მაგრამ ინგლისურ გუნდთან თამაში, მით უმეტეს გასვლაზე, როგორია? უფრო რთული იყო „ფეიენოორდთან" მეორე თამაში იმ საშინელი მსაჯობის გამო, მისი გახსენება ახლაც რომ მზარავს...

... ადრე მაქვს ნათქვამი, „კასტორიასთან" თამაშის მერე ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, „დინამო" იმ წელს ბოლომდე გავიდოდა და მით უმეტეს თასს აიღებსო, ცხადია, არ დავუჯერებდი, მაგრამ აი, „ვესტ ჰემის" მერე კი უკვე ნამდვილად ვფიქრობდი, რატომაც არა? ინგლისური გუნდის გაგდებამ, რომელსაც ნაკრებშიც ჰყავდა ფეხბურთელები და მერე „ფეიენოორდის" დამარცხებამ - მიუხედავად იმისა, რომ მაინც საბჭოეთის გუნდად ვითვლებოდით და დიდად გულზე არავის ვეხატებოდით - დამარწმუნა და დაგვარწმუნა ყველა, რომ „დინამო" მზად იყო ტრიუმფისთვის...

... დიუსელდორფში მაშინდელი ცეკას-ს მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ გაგვაცილა. გუნდს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შოთა გორგოძე გამოაყოლა და თან შევარდნაძემ ხუმრობით დაამატა, შოთა, თუ წააგეს ფინალი, დაიმახსოვრე, გაგიშვებ სამსახურიდანო. ყველას გაგვეცინა და ამ დროს შევარდნაძეს დათო ყიფიანმა შეჰბედა, თუ მოვიგეთ, მაშინ? დააწინაურებთო? ფინალიდან რამდენიმე ხანში გორგოძე მართლაც გახდა შინაგან საქმეთა მინისტრი, მაგრამ მერე უკვე მანამდელი მინისტრი, ბატონი გურამ გვეტაძე გაგვინაწყენდა ხუმრობით, ეს რა მიქენით, როგორ მომხსენითო, მაგრამ მერე ღიმილით დასძინა, მთავარია, ხომ მოვიგეთ და მთელი ქვეყანა გაახარეთ და ჯანდაბას, ჩემი სამსახურიო...

... „კარლ ცაისზე" მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვით, რატომღაც ადრეც ბევრს უთქვამს და დღესაც ამბობენ, რა გუნდი იყო ასეთი, რომ გადაგვაყოლეთ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთი უბრალო გუნდი იყო, გრანდი ხომ არაო. ცხადია, გულს მტკენს ასეთი ლაპარაკი და მათ გასაგონად ვიტყვი თუ რა გუნდიც იყო: „კარლ ცაისი" გრანდი თუ არ იყო, აბა, როგორ გააგდო ფინალამდე „ვალენსია", „რომა", „ბენფიკა"?! თანაც გდრ-ის ნაკრებში 6 ფეხბურთელი ჰყავდა და იმავე გდრ-მ მოუგო 1980 წელს ჩეხოსლოვაკიას ოლიმპიადის ფინალი მოსკოვში. ეს ხომ ცოტა არაა და ფინალში, მით უმეტეს სუსტი გუნდი იმ დროს, შემთხვევით ნამდვილად ვერ გავიდოდა...

... ფინალზე, რა თქმა უნდა, მოსაგებად წავედით, სხვანაირად არც და ვერც იქნებოდა. აბა, წასაგებად ხომ არ წავიდოდით?! ვთვლი, რომ მთლიანობაში კარგი ფინალი იყო, მით უმეტეს, გერმანიაში ვეთამაშებოდით გერმანულ გუნდს. ბატონმა ნოდარმა ყველანაირად მოგვამზადა - ტაქტიკურად, ფსიქოლოგიურად. ფაქტობრივად, „დაგვილეჭა" მეტოქე, თამაშზე გასვლამდე გასახდელში ჩვენი პატრიარქის, ილია II-ს გამამხნევებელი წერილიც წაგვიკითხა და ამ ყველაფერმა ისეთი მუხტი მოგვცა, რომ ჩვენც შიში არ ვიცოდით, რა იყო - ერთნი ვიყავით, ერთმანეთის იმედად და ერთმანეთის თანადგომისთვის მზად. მე რა მითხრა? იდექი მშვიდად და გოლი არ გაუშვაო, მაგრამ მაინც გამიტანეს. მიუხედავად ამ გაშვებული გოლისა, მაინც ბოლომდე მჯეროდა და დარწმუნებული ვიყავი ჩვენს გამარჯვებაში, ბოლომდე მჯეროდა, რომ ძირითად დროში თუ ვერა, ბოლოს გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩებოდა და საბედნიეროდ, ასეც მოხდა...



... იცით, რომ თამაშის დროს ხშირად მეძალებოდა ემოციები, მაგრამ 13 მაისს ყველაფერს მოვერიე. ეს არ იყო მხოლოდ ფინალი, ეს იყო ისტორიული მატჩი არა მხოლოდ „დინამოსთვის", არამედ, სრულიად საქართველოსთვის. და ამის შემდეგ გეკითხებით, მქონდა კი უფლება, რომ ემოციებს ავყოლოდი, შეცდომა დამეშვა? ფინალია, ერთი თამაშია, ერთი შეცდომა, ემოციებს აყოლა და ყველაფერი წყალშია ჩაყრილი, მაგრამ ვგრძნობდი მოედანზე ბიჭების თანადგომას ყოველ წამს და ამან მართლაც კარგად იმოქმედა...

... მსაჯის საფინალო სასტვენი და სიხარულისგან ვინ, რას ვაკეთებდით, კი ნახა კადრებით საქართველომ, ანზორ გაბიტაშვილმა, ჩვენი გუნდის ადმინისტრატორმა როგორ გამოგლიჯა ხელიდან ფინალის ბურთი მსაჯს და გაიქცა. მერე გაბიტაშვილს ხუმრობით „ვეჯინელი ქურდიც" შევარქვით, ვეჯინში ცხოვრობდა იმ დროს. რა თქმა უნდა, დაუვიწყარი ემოციები იყო და უკვე ვფიქრობდით იმაზე თუ რა ხდებოდა ამ დროს თბილისში: ყველას მაგრად გვინდოდა თბილისში ყოფნა, ჩვენც სიხარულისგან გაგიჟებულ ხალხთან ერთად გვეზეიმა. მერე რომ დავბრუნდით, აეროპორტში უამრავი ხალხი დაგვხვდა და იყო ზღვა ბედნიერება, ზღვა სიხარული. ამ ხალხმა, რომ იტყვიან, მიწაზე ფეხი არ დაგვადგმევინა, პირდაპირ თვითმფრინავის ტრაპიდან აგვიტაცეს ხელში და ასე ხელდახელ გვატარეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამაზ კოსტავა

2

# ნაბახუსევი თასი ვერ დაფრინავს





ვაჟა ხუციშვილი
სარბიელი


„დინამოს" დიდებულ მარჯვენა მცველს და იმ გუნდის წევრს, რომელმაც „რაინშტადიონზე" თასების თასი აღმართა, 65 წლის თამაზ კოსტავას ვთხოვეთ გაეხსენებინა ფინალური ამბები 40 წლის დაძველებით, რასაც ქვემოთ გთავაზობთ.

„... ნოდარ ახალკაცი შემადგენლობის სტაბილურობის მომხრე იყო, ამიტომაც ფინალისთვის რაიმე განსაკუთრებული ტაქტიკური ცვლილებები არ გვქონია. იმ მომენტისთვი მთავარი გახლდათ განწყობა და ფსიქოლოგიური მომზადება. ჩვენ ხომ პირველად ვიყავით ასეთი ტურნირის ფინალში.

„...თამაშის წინა დღეს ჩვენი ვარჯიშის მერე „კარლ ცაისის" ფეხბურთელებიც მოვიდნენ. ნამდვილი ათლეტები, კუნთმაგრები და ჯანიანები. მათგან 7-8 მოთამაშე გდრ-ის ( გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ) ნაკრების წევრი იყო. ეს ნაკრები წინა წელს ოლიმპიადის ფინალში გავიდა და ჩეხოსლოვაკიასთან ნააგო. „კარლ ცაისმა" ჩვენამდე „რომა", „ვალენსია" და „ბენფიკა" გამოიარა და არ წაუგია არც ერთი მატჩი, რომელშიც პირველმა გაიტანა."

„...ეს ათლეტები რომ დავინახე, ცოტა შიშმა გამკრა, ესენი ძვლებს დაგვამტვრევენ-მეთქი, მაგრამ ნოდარ ახალკაცი ფსიქოლოგიც მაგარი იყო. გვამშვიდებდა და განწყობას გვიქმნიდა. ზოგადადაც, არ დაიზარებდა რომ თუ საჭირო იყო, ცალკე დალაპარაკებოდა მცველებს ან ნახევარმცველებს".

„...თამაშამდე საქართველოს პატრიარქის ტელეგრამაც მოვიდა. გვამხნევებდა და გამარჯვებას გვისურვებდა. ესაც დიდად დაგვეხმარა საბრძლო განწყობის ამაღლებაში."

„...მატჩის დაწყებიდან მალევე მომეხსნა დაძაბულობა და მიუხედავდ იმისა, რომ მეტოქემ გახსნა ანგარიში, ისეთი განწყობით ვიყავით, რომ ამას გუნდზე დამთრგუნველად არ უმოქმედია და ისტორიული გამარჯვება მოვიპოვეთ".

„... ფინალის შემდეგ გულშემატკივრებთან ერთად გემრიელად მოვულხინეთ იმ სასტუმროს ხეივანში, რომელშიც გუნდი დაბინავდა. სასმელი რომ შემოგვაკლდა, სასტუმროს პატრონმა შემოგვაშველა ჩვენგან გეკუთვნით, ევროთასების მომგები გუნდი ჩვენი სტუმარი აქამდე არასოდეს ყოფილაო.

„... მეორე დღეს დიუსელდორფიდან ავტობუსით წაგვიყვანეს ფრანკფურტში, საიდანაც მოსკოვში და შემდეგ თბილისში უნდა დავბრუნებულიყავით. მახსოვს, რომ ფრანკფურტის ქუჩებში სიარულისას ვიტრინებში ჩართულ ტელევიზორებში ჩვენი ფინალური მატჩის მომენტებს აჩვენებდნენ".



**40 წლის შემდეგ...**

სფფ-ის აკადემიის თანამშრომელი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დელეგატი ეროვნული ლიგის მატჩებზე.



betlive.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ ეს შეგვიძლია!

1/4 ფინალი. პირველი მატჩი
4 მარტი, 1981. ლონდონი. „აპტონ პარკი". 40 000 მაყურებელი
„ვესტ ჰემი" (ინგლისი) 1:4 „დინამო"
0:1 ჩივაძე (24), 0:2 გუცაევი (31), 1:2 ქროსი (54), 1:3, 1:4 შენგელია (56, 67)
„ვესტ ჰემი": პარქსი, სტიუარტი, ლამპარდი, ბონდსი, მარტინი, დევონშაირი (ალენი 46), ნეიბურგი, გუდარდი, ქროსი, ბრუკინგი, პაიკი
მწვრთნელი: ჯონ ლაიოლი
„დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია
მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი
გაფრთხილება: ხინჩაგაშვილი
მსაჯი: ანტონიო ჟოზე და სილვა გარიდო (პორტუგალია)

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი
18 მარტი, 1981. თბილისი. „დინამო". 90 000 მაყურებელი
„დინამო" 0:1 „ვესტ ჰემი"
0:1 პირსონი (87)
„დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, ქილაია (მუჯირი 77), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია
მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი
„ვესტ-ჰემი": პარქსი, სტიუარტი, ლამპარდი, ბონდსი, მარტინი, ალენი, ნეიბურგი, გუდარდი (პირსონი 65), ქროსი, ბრუკინგი, პაიკი
მწვრთნელი: ჯონ ლაიოლი
მსაჯი: ვალტერ ეშვაილერი (გფრ)



სოლომონ
ბუღისაშვილი
სარბიელი

„ვესტ ჰემთან" შეხვედრა უმნიშვნელოვანესი გამოდგა „დინამოს" და მთლიანად ქართული ფეხბურთის ისტორიაში. ერთი რომ, დინამოელებს პირველად უწევდათ ევროთასების საგაზაფხულო ეტაპზე ასპარეზობა. იწყებოდა რაღაც ახალი, აქამდე არნახული და არგანცდილი.

პრობლემა ისიც იყო, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდებოდა. ლამის მთელი ევროპა შემოდგომა-გაზაფხულზე თამაშობდა და ამ პერიოდში ფორმის პიკში იყვნენ, ჩვენთან კი ამ დროს სეზონი ჯერ დაწყებულიც არ იყო ხოლმე.

მეორეც, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 4 მარტს „აპტონ პარკზე" ახალი „დინამო" დაიბადა. „დინამო," რომელიც უკვე მზად იყო ნებისმიერი მოწინააღმდეგე დაემარცხებინა. გუნდს გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩამოუყალიბდა.

არა მარტო ფეხბურთელებს. ჩვენც, ჩვეულებრივ გულშემატკივრებსაც გაგვიჩნდა განცდა, რომ შეიძლებოდა მართლაც მოგვეგო ევროთასი. თავიდან ამ განწყობას საკუთარ თავსაც ვერ ვუმხელდით. რაღაც მიუწვდომელ, ფანტასტიკურ ამბავს წააგავდა. მაგალითად ისეთს, პეკინზე, მუსიკალურ მაღაზია „მელოდიაში" რომ შესულიყავი და იქ ჯიმი ჰენდრიქსის, ჯენის ჯოპლინის ან პინკ ფლოიდის ვინილის ფირფიტები დაგხვედროდა გაყიდვაში... ვერის ბაღში იყიდებოდა ხოლმე „ხელზე", 100 მანეთად, ზოგი უფრო მეტადაც.

მაგრამ ნელ-ნელა დავიჯერეთ და ბოლოს ვთქვით: ჩვენ ეს შეგვიძლია!!!

„ვესტ ჰემი" მაშინ ინგლისის მეორე დივიზიონში (ახლანდელი ჩემპიონშიფი) თამაშობდა, მაგრამ ამან არ უნდა მოგვატყუოს. „ჩაქუჩებმა" ინგლისის თასის 99-ე გათამაშების ფინალში მაშინ აღორძინების გზაზე მდგარი „არსენალი" ტრევორ ბრუკინგის გოლით 1:0 დაამარცხეს.

ლიგის თასის ფინალში კი „ლივერპულთან" დამარცხდნენ ორრაუნდიან ბრძოლაში. პირველი შეხვედრა „უემბლიზე" 1:1 დამთავრდა. გადათამაშებაში, ბირმინგემში, მერსისაიდელებმა 2:1 იმარჯვეს. ანუ, „ვესტ ჰემმა" იმ სეზონში ორივე თასის ფინალში ითამაშა.

გაზაფხულზე კი პირველი დივიზიონის (ახლანდელი პრემიერლიგა) საგზური მოიპოვეს, თანაც მეორე ადგილზე გასულ „ნოთს ქაუნთის" 13 ქულით გაუსწრეს, რაც ასევე შთამბეჭდავია.

თანაც, სამ მოთამაშეს მათი შემადგენლობიდან (ფრენკ ლამპარდ უფროსს, ბილი ბონდსს და ტრევორ ბრუკინგს) თასთა თასის ფინალში თამაშის გამოცდილება უკვე ჰქონდათ როცა 1976 წლის მაისში, ბრიუსელში, „ანდერლეხტთან" 2:4 წააგეს.

და რაც მთავარია, მათ ჰყავდათ ტრევორ ბრუკინგი, ინგლისური ფეხბურთის ჯენტლმენი და ლეგენდა, მაშინ კი ქვეყნის ნაკრების ლიდერი.



„დინამო"-„ვესტ-ჰემი" 0:1. ლონდონში მოგებული 4:1-ის შემდეგ თბილისურმა მატჩმა აზრი დაკარგა

პირველ ორ წრეში ლონდონელებმა გათამაშებიდან ესპანური „კასტილია" და რუმინული „პოლიტექნიკა" გამოთიშეს. განსაკუთრებით სკანდალური ესპანელებთან პირველი მატჩი გამოდგა, როცა მადრიდის სტადიონზე არეულობების გამო გუნდი კინაღამ გათამაშებიდან მოხსნეს. მაშინ 50 ჩხუბისთავი სტადიონიდან გააძევეს, 30 დააპატიმრეს. ერთი 18 წლის ქომაგი დაიღუპა კიდეც.

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა „ვესტ ჰემი" 30 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა და საპასუხო მატჩში მაყურებლების დასწრება აუკრძალა.

მაშ ასე. 4 მარტი. „აპტონ პარკი." „ვესტ ჰემი" – „დინამო" 1:4. გოლები: ჩივაძე, გუცაევი, შენგელია (2); ქროსი.

აქ საინტერესო იქნება აწგანსვენებული, საბჭოთა ფეხბურთის ლეგენდის, მაშინ კი გაზეთ „ფუტბოლ ხოკეის" რედაქტორის, ვიკტორ პონედელნიკის წერილიდან მოვიყვანოთ ამონარიდი.

„გადაუჭარბელად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის დინამოელებმა ერთ-ერთი საუკეთესო თამაში აჩვენეს ბოლო წლებში - როგორც იერიშში, ისე დაცვში. საფეხბურთო აზროვნება მათ გუნდურ თამაშში ლონდონში მთელი სილამაზით წარმოგვიდგა. ხოლო ისეთი ბრწყინვალე სოლისტების ოსტატობამ, როგორებიც არიან დავით ყიფიანი და ალექსანდრე ჩივაძე, დინამოელთა კლუბის ყველა კომბინაციას განსაკუთრებული ელფერი შესძინა.

თბილისელი ფეხბურთელების მოულოდნელი, არასტანდარტული, მახვილგონივრული მოქმედება, ხშირად ჩიხში ამწყვდევდა ათლეტური აღნაგობის ინგლისელ მცველებს. სტიუარტს, ლამპარდსა და მარტინს, რომლებიც იძულებულნი იყვნენ როგორმე განემუხტათ ვითარება საკუთარ კართან. ბურთს საითაც მოუხდებოდათ, იქით იგერიებდნენ. ასე დაერღვა „ვესტ ჰემს" ჩვეული კავშირები და აი, კლუბი, რომელიც ინგლისურ ფეხბურთში, ტექნიკურ, სხვათაგან განსხვავებულ სტილს ქადაგებს, იძულებულია ისევ ტრადიციულ ჩაწოდებებზე გადავიდეს ფლანგებიდან იმ იმედით, რომ მისმა ტანმაღალმა ფორვარდებმა კარგად იციან ბრძოლა „მეორე სართულზე."

ჩემი აზრით, დინამოელთათვის ყველაზე რთული ორივე ტაიმის პირველი 15-20 წუთი იყო, დროის ამ მონაკვეთში „ვესტ ჰემის" ძალოვანი დაწოლა მაქსიმუმს აღწევდა.

გაბელია, მცველები, ნახევარმცველები და თავის საჯარიმოსთან უკან დახეული ყიფიანიც კი უკიდურესი დატვირთვით თამაშობდნენ. საჭირო იყო ამ წუთებში გაეძლოთ და ჩვენი ფეხბურთელები უძლებდნენ, უშეცდომოდ და მშვიდად მოქმედებდნენ. ზუსტი გადაცემებით შეძლებისდაგვარად ანელებდნენ ტემპს.

ჩივაძე, ყიფიანი, დარასელია, ხინჩაგაშვილი, თავაძე, ხიზანიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გაბელია, უდავოდ ქებას იმსახურებენ.

არ თვლემდა წინ დარჩენილი ორი ფორვარდი - გუცაევი და შენგელია. ისინი ყოველი ბურთისთვის ებმებოდნენ ბრძოლაში და გამუდმებით იცვლიდნენ ადგილებს კონტრშეტევებისას.

მაინც რა საუცხოო გრძნობაა, როცა საკუთარი ღირსების შეგრძნებით წარმართავ გუნდურ თამაშს. არავითარი სიჩქარე, არავითარი უმისამართო დარტყმები დაცვაში. და აი, მოთმინებისა და ბურთის კონტროლის საზღაურად გაჩნდა კონტრშანსები. კიდევ დიდ ხანს გვემახსოვრება მწვავე კონტრიერიშების დროს ჩივაძის გატანილი პირველი გოლი. გვემახსოვრება მისი თავდაჭერილობა, დახვეწილი ტექნიკური ოსტატობა და ბრწყინვალე ყუმბარისებური დარტყმა 25-27 მეტრიდან, რომელმაც ტრიბუნების ალტაცება გამოიწვია.

ანდა აილეთ ყიფიანის ნატიფი გადაცემა შენგელიასადმი, რომელიც მეოთხე გოლით დაგვირგვინდა. ჩვენი ფორვარდი ამ მომენტშიც დარწმუნებული იყო თავის ძალაში. არავითარი ფუსფუსი. შენგელია შეიჭრა საჯარიმო მოედანზე, შეყოვნდა, კარიდან გამოიტყუა მეკარე და ამის შემდეგ დაარტყა კუთხეში."

ისიც კარგად გვახსოვს, როგორი ოვაციებით გააცილა ინგლისელმა მაყურებელმა სტუმარი გუნდი მოედნიდან. როგორი აღტაცებული წერილები დაიწერა ბრიტანულ მედიაში თბილისელებზე...

სწორედ მაშინ იყო ბრიტანელებს საქვეყნოდ რომ ათქმევინეს: ქართველებმა გვასწავლეს როგორ უნდა შექსპირის დადგმა და ფეხბურთის თამაში... საქმე ის არის, რომ ზუსტად იმ დროს ლონდონში რუსთაველის თეატრის გასტროლები მიმდინარეობდა.

საპასუხო შეხვედრაში ლონდონელებმა პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილეს. 1:0 მოგვიგეს თბილისში. თუმცა, ეს ვისლა ახსოვდა, წინ ნახევარფინალი იყო!




როგორც ყოველთვის... ვიტალი დარასელია შეუჩერებელი იყო



მარცხნიდან დგანან: ული შტილიკე, მარიანო რამონი, ანდრეს საბიდო, რაფელ გარსია კორტესი, ფრანსისკო ერნანდესი, ხოსე ანტონიო კამაჩო; სხედან: ხუანიტო, კარლოს სანტილიანა, ანხელ დე ლოს სანტოსი, ფრანსისკო პინედა, რიკარდო გალიეგო

# დიდი სახელები დიდი თამაშის წინ




ილია ბაბუნაშვილი
სარბიელი

რა თქმა უნდა, სტადიონზე ვიყავი და სხვა თამაშზე ვფიქრობდი. ეს იყო 1981 წლის 4 მარტი, ოთხშაბათი. თბილისის „დინამოს" სტადიონზე, ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში, მოსკოვის „სპარტაკი" „რეალს" მასპინძლობდა.

ჩვენს ცხოვრებაში დიდი ფეხბურთის ეპოქა იდგა, ხოლო იქ, სადაც დიდი ფეხბურთია, დიდი გუნდები იყრიან თავს.

„რეალი"!

და „სპარტაკი", რომელშიც ქართველი ფეხბურთელები, ძმები, მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები თამაშობდნენ. ადრე მანუჩარი თბილისის „დინამოს" კაპიტანი იყო, დიდი კაპიტანი. იგი „დინამოდან" 1980 წელს წავიდა, თუმცა ეს უკვე სხვა ისტორიაა.

იმხანად, გვიანი შემოდგომისა და ადრეული გაზაფხულის თამაშებს საბჭოთა გუნდები ხშირად თბილისში ატარებდნენ. თბილისური გაზაფხული ჩრდილოურთან შედარებით ლმობიერია და იმიტომ.

განსაკუთრებით „სპარტაკს" უყვარდა ჩვენთან თამაში, თუმც ყოფილა, თბილისელ გულშემატკივარს მოწინააღმდეგისთვის დაუჭერია მხარი. ოღონდ, ესეც სხვა ისტორიაა.

იმ დღეს კი „სპარტაკი" „რეალს" მასპინძლობდა და მე, რასაკვირველია, ჩემი აბონემენტის ადგილზე ვიჯექი, მაგრამ სხვა მოლოდინით ვიყავი შეპყრობილი. ამ შეხვედრის დამთავრებიდან ორ საათში, ლონდონში, თბილისის „დინამოს" „ვესტ ჰემთან" უნდა ეთამაშა.

„სპარტაკის" და „რეალის" შეხვედრა 0:0 დასრულდა. მე როგორც მახსოვს, დიდი არაფერი თამაში იყო. კიდევ მახსოვს, რომ ბოლო წუთებში ხალხი ტრიბუნებს ტოვებდა, შინ, მთავარი მატჩის რეპორტაჟისთვის რომ მიესწრო.

მე სტადიონთან ახლოს ვცხოვრობდი და არ მიჩქარია.

და კიდევ, იმ დღეს „რეალის" შემადგენლობაში ბევრი ვარსკვლავი თამაშობდა (ხოსე ანტონიო კამაჩო, ული შტილიკე, ხუანიტო, კარლოს სანტილიანა), მაგრამ ბოლო ხუთი წუთით მოედანზე შევიდა კაცი, რომლის ვინაობაც ათწლეულების შემდეგ გავიგე: „თეთრებისა" და ესპანეთის ნაკრების მომავალი თავკაცი, განუმეორებელი ვისენტე დელ ბოსკე.

საპასუხო თამაში „რეალმა" 2:0 მოიგო.



ვისენტე დელ ბოსკე შეცვლაზე შევიდა

# იმ საღამოს მათი დამარცხება შეუძლებელი იყო

## ტრევორ ბრუკინგი და თოვლში ჩამარხული მოსკოვი






ვესტ ჰემის ქომაგები თბილისში

ნებისმიერმა ქართველმა გულშემატკივარმა იცის, ვინ არის ტრევორ ბრუკინგი. ის გახლავთ ინგლისელი ვეტერანი, რომელმაც, როგორც მის ქვეყანაში იტყვიან, ნაკრებში 47 კეპი მოაგროვა და მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა. მაგრამ ჩვენთვის ბრუკინგი, უპირველეს ყოვლისა, იმით არის მნიშვნელოვანი, რომ 1981 წლის 4 და 18 მარტს, თასების თასზე, თბილისის „დინამოსა" და „ვესტ ჰემის" დაუვიწყარ მეოთხედფინალურ დაპირისპირებებში ითამაშა.

**ტრევორ ბრუკინგის წიგნში, My life in football („ჩემი ცხოვრება ფეხბურთში") არის მონაკვეთი, სადაც ავტორი დინამოელებს იხსენებს და ამბავს საინტერესო, ჩვენთვის უცნობი კუთხით ჰყვება. რაც მთავარია, მას, როგორც ნამდვილ რაინდს და დიდ ფეხბურთელს თავისი მჯობნის შექება და დაფასება არ უჭირს.**

**„ვესტ ჰემი" თბილისის „დინამომდე" რუმინულ გუნდს, „პოლტექნიკას" შეხვდა, ქალაქ ტიმიშოარადან. ამონარიდი, რომელიც „დინამოს" ეხება და რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, სწორედ რუმინელების ხსენებით იწყება.**

ტიმიშოარას გამოცდილებამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ მნიშვნელოვანია, როდესაც მოწინააღმდეგის შესახებ ინფორმაციით ხარ შეიარაღებული, მაგრამ შემდეგ ეტაპზე ჩვენ უბრალოდ გაკვეთილი მივიღეთ. თურმე უცნობ მეტოქესთან თამაში შეიძლება ძალიან ძვირადაც დაგიჯდეს. საბჭოთა საქართველოს გუნდი თბილისის „დინამო" სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნებოდა და თან მასთან მარტამდე არ გვიწევდა თამაში.

თბილისელებს ბრწყინვალე გუნდი ჰყავდათ, ხოლო ის, რომ რუსეთის (სსრკ-ს) ჩემპიონატი ზამთრის არდადეგების შემდეგ ახალი დაწყებული იყო, ნიშნავდა, რომ ჩვენ იგი საქმეში არ გვყავდა ნანახი. იძულებულები გავხდით შემოვფარგლულიყავით წინა სეზონში „ლივერპულთან" მათი (ორი შეხვედრის ჯამში 4:2) მოგებისა და თასების თასის მიმდინარე გათამაშებაში „უოტერფორდთან" რამდენიმე თვის წინანდელი 5:0 გამარჯვების კადრებით.

ტექნიკურად „დინამო" ბრწყინვალე გუნდი იყო და პირველ შეხვედრაში, „აპტონ პარკზე", სუნთქვისშემკვრელი სისწრაფით გვიტევდა. უყურებდი მათ და სწავლობდი. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ალექსანდრე ჩივაძის, ვიტალი დარასელიას, დავით ყიფიანის და რამაზ შენგელიას გადაადგილებებმა და ინდივიდუალურმა ოსტატობამ. „დინამო" დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ ევროპულ გუნდად, რომლის თამაშიც ოდესმე მინახავს და რა სამწუხაროა, რომ ფეხის ტრავმამ დავით ყიფიანს კარიერა მალევე დაასრულებინა. თუმცა, შემდეგ მოხდა კიდევ უფრო დიდი ტრაგედია. ერთი წლის თავზე, მთიან გზაზე, ავტოკატასტროფაში დაიღუპა 25 წლის ვიტალი დარასელია.



დავით ყიფიანი




მაგრამ, იმ საღამოს, „აპტონ პარკზე", მათი დამარცხება შეუძლებელი იყო. იმ ეპიზოდიდან მოყოლებული, როდესაც 23-ე წუთზე ჩივაძე ჩვენი კარისკენ გამოიჭრა და 25 იარდიდან გაგვიტანა, მათ წინააღმდეგობას ვეღარ ვუწევდით. 4:1 მოგვიგეს, თუმცა ექვსი ან შვიდი გოლის გატანაც შეეძლოთ. საფინალო სასტვენის შემდეგ ჩვენი მაყურებელი მათ ფეხზე წამოუდგა და ოვაცია მოუწყო.

ვიცოდით რა, რისი შემოთავაზებაც შეეძლო მეტოქეს, მეორე თამაშისთვის უკეთ მოვემზადეთ მაგრამ, ორი შეხვედრის ჯამში ჩვენი გამარჯვების შანსი უკიდურესად მცირე იყო და მას ნამდვილად არ შეუწყო ხელი დამღლელმა მოგზაურობამ 4 000 მილით მოშორებული თბილისისკენ. თან, ჩვენ მოგვიწია ფრენა მოსკოვის გავლით, სადაც, სატრანზიტო ზონაში, გაქვავებული სახის მქონე მესაზღვრემ კატეგორიულად განაცხადა, რომ ბობი ბარნსი თავისი ახალი ვარცხნილობით სხვა პიროვნება იყო და არ გახლდათ ის ყმაწვილი, რომელიც მას პასპორტის ფოტოდან უყურებდა.

თუმცა, მოსკოვში ყველაზე დიდი პრობლემა მაინც თოვლი აღმოჩნდა. ყინულის გამლღობი მანქანა თვითმფრინავის ფრთებს ხანგამოშვებით რაღაც სითხეს ასხამდა, მაგრამ სამსაათიანი ლოდინის შემდეგ გამოგვიცხადეს, რომ აეროპორტი იხურებოდა. ჩვენ ისევ სატრანზიტო ლაუნჯში გაგვიყვანეს სადაც, კლუბმა, დიდი წვალების შემდეგ, ადგილობრივი პერსონალი აიძულა, რომ აეროპორტის სასტუმროში მოვეთავსებინეთ. ჩვენ თოვლის გორაკებს შორის გვატარეს, რის მერეც, როგორც იქნა, დაგვარეგისტრირეს სასტუმროში, სადაც 4-5 საათით მოვახერხეთ ძილი.

დილის 6 საათზე კვლავ აეროპორტში დაგვაბრუნეს და იქ, თბილისში გაფრენამდე, კიდევ 6 საათი გვაყურყუტეს.

ასეთი თავგადასავლის გათვალისწინებით, თბილისში 80 000 მაყურებლის წინაშე კარგად ვითამაშეთ. ამჯერად ტაქტიკურად ჩინებულად ვიყავით მზად და სტიუარტ პირსონმა, რომელიც ძირითადში იშვიათად ხვდებოდა, შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა.

**პაპუნა კედია**



1981 წლის 4 მარტი. ლონდონი. ვესტ ჰემი-დინამო თბილისი 1:4

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნოდარ ხიზანიშვილი

4

# ქართული ფეხბურთის ყველაზე მაგარი კოცნა



ნოდარ ხიზანიშვილი 1973 წელს ბათუმის „დინამოდან" ჩამოვიდა თბილისში. უწევდა თამაში როგორც ცენტრალურ, ასევე მარჯვენა მცველად. ფინალში ალექსანდრე ჩივაძესთან ერთად იდგა ცენტრში.

ooo

ხიზანიშვილმა 1982 წელს უეფას თასზე გოლი გაუტანა „ნაპოლის".

ooo

საბჭოეთის ნაკრებში მხოლოდ ერთხელ, არგენტინასთან ითამაშა. ის შეხვედრა 1:1 დასრულდა. ხიზანიშვილმა ლეონიდ ბურიაკი შეცვალა 82-ე წუთზე... ის ათიოდე წუთი დიეგო მარადონას წინაალმდეგ მოუწია ბრძოლა.

ooo

ნოდარ ხიზანიშვილის შვილებიც ფეხბურთს გაჰყვნენ. ზურაბმა 91 მატჩი ჩაატარა საქართველოს ნაკრებში, იყო „გლაზგო რეინჯერსში", „ნიუკასლში", „ბლექბერნში" და სხვადასხვა გუნდებში. ამჟამად კი საქართველოს ნაკრების მწვრთნელ ვილი სანიოლის თანაშემწეა. გიორგიც ასაკობრივ ნაკრებში მუშაობს მწვრთნელად.


ილია ნანობაშვილი
სარბიელი

*ქართული ფეხბურთის ყველაზე დასამახსოვრებელი კოცნა: 13 მაისის ფინალის დამთავრებისთანავე ნოდარ ხიზანიშვილმა რომ გამოუგზავნა მთელ საქართველოს. ის ფინალი მშვენივრად ჩაატარა, თუმცა თვითონ მორიდებით აღნიშნავდა ხოლმე, ისეთი ფეხბურთელების გვერდში ვიყავი, ავტომატურად კარგი თამაში გამოდიოდა.*

- ჯერ დიუსელდორფში ჩასვლა მახსოვს. იქ ქალაქგარეთ, მშვენიერ ადგილას ვცხოვრობდით. ზაფხულის დასასვენებელ კურორტადაც გამოდგებოდა. გულშემატკივრებისგან ვიცოდით, რომ დიუსელდორფში საფეხბურთო აჟიოტაჟი არ იყო და ანშლაგს ნუ ელოდებითო, - იხსენებს ნოდარ ხიზანისვილი, - დასავლეთგერმანელებს აღმოსავლეთგერმანელების ამბები არ აინტერესებდათ, ამიტომაც ამხელა დონის მატჩს პატარა რეკლამაც კი არ გაუკეთეს.

... ანშლაგი კი არა, რაც იმ ფინალზე ხალხი იყო, ათი იმდენი „დინამოს" დუბლების მატჩებზე დადიოდა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებზე ცოტანი იყვნენ, მაინც აჯობეს ჩვენმა გულშემატკივრებმა. ისმოდა შეძახილები და ეს თითქოს ძალას გვმატებდა.

... ნოდარ ახალკაცის როლი იყო უდიდესი. მან იცოდა წერტილოვანი მიდგომა ფეხბურთელებთან და ისეთ ნიუანსს დაგანახვებდა, რაც აუცილებლად გამოგადგებოდა. ახალკაცს „კარლ ცაისი" მშვენივრად ჰყავდა შესწავლილი. დღეს ადვილია მეტოქეზე ინფორმაციის შეგროვება, შეხვალ ინტერნეტში და ეგაა, იმ დროს კი ბრმად ვიცნობდით ერთმანეთს. თუმცა ახალკაცი დადიოდა, აგროვებდა დეტალებსაც კი. ახლა ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ „კარლ ცაისზეც" ბევრი საინტერესო მოგვიყვა, როგორ იწყებდნენ დაცვიდან შეტევაზე გადასვლას და პირიქით.

... გოლი რომ გავუშვით, რა გავიფიქრე? ჩვენი ძალა იმაშიც იყო, რომ ფსიქოლოგიურად ძლიერად ვიყავით მომზადებულები. ერთი წამითაც არ ჩამომიყრია ყურები. პატარა ბიჭიც არ ვიყავი, უკვე 28 წლის. საერთაშორისო გამოცდილება მქონდა, ასეთ დროს რომ გავტეხილიყავით, მაშინ ამ ფინალამდეც ვერ მივიდოდით. რაღაცნაირად ვგრძნობდით, რომ მოვიგებდით. მოედანზე როცა ხარ, უპირატესობას გრძნობ. „კარლ ცაისი" სუსტი მეტოქე არ იყო, მაგარი გუნდები გამოთიშა, თუმცა ჩვენს ძალებში დარწმუნებულები ვიყავით.

... დაძაბულობა ფინალებს თან ახლავს. მაშინაც დაძაბულობა იგრძნობოდა, მაგრამ თვითონ თამაში უხეში არ იყო. ერთმანეთს პატივს ვცემდით, ზედმეტი არავის არაფერი უკადრებია. ის ჰოპეს ჟესტიც, მაშინ ცოტა ცუდად გამოჩნდა, თორემ მანაც მოგვილოცა თამაშის მერე. მაშინ ემოცია ვერ შეიკავა. არაუშავს, დღეს ისეთი აღნიშვნებია, ჰოპესი რა გასაკვირი იყო.

...მერე, გასახდელიდან რომ გამოვედით, „კარლ ცაისის" ფეხბურთელებმა მოგვილოცეს, მაგრამ მშრალად, ძალიან უხასიათოდ. გვესმოდა მათი. იგებდნენ და წააგეს. არაგერმანულად დაემართათ. კლუბის იუბილეზე მოგვიანებით დაგვპატიჟეს და ვეტერანებმა ვითამაშეთ. კიდევ მოვუგეთ.

... ფინალის მერე ყველას მოგვცეს ბარათები და დაგვარეკინეს თბილისში, ოჯახში. შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრის მოადგილე შოთა გორგოძემ იზრუნა ამაზე. რომ დავრეკე, ისეთი ყვირილი და ხმაური იყო, იმხელა ხმაზე მილოცავდნენ, კინაღამ ყურმილი გამივარდა ხელიდან.

...კოცნას რაც შეეხება, მთელ საქართველოს გავუგზავნე. კონკრეტულად არავის. სიხარულისგან არ ვიცოდი, რა მექნა, რაც უცებ მოვიფიქრე, ეს იყო, არც წინასწარ განზრახული და რამე ამის მსგავსი.

...არადა, დღეს რომ ვუყურებ და ჩემდროინდელ ამბებს ვადარებ, ელემენტარულად, ბუცების პრობლემა გვქონდა. მაისურებიც კი, როცა ირეცხებოდა, პატარავდებოდა. „ადიდასის" მაისურები მოჰქონდათ და ლოგოს პლასტირს აწებებდნენ, რომ დაეფარათ.

...ბურთები წვიმის დროს მძიმდებოდა, ფერი გადასდიოდა და მერე ლებავდნენ.

...ბუცებზე ვთქვი, უხარისხოებით ვთამაშობდით. ჩვენი სახსრებით ვყიდულობდით უცხოეთში, რომელიც დაახლოებით ერთი თვის ხელფასი ჯდებოდა. აბა, უცხოურს თუ არ ჩაიცმევდი, შეიძლებოდა ტრავმა მიგეღო, ისეთი შვერილები ჰქონდა. ეს 1978 წლამდე, მერე კი ცოტა ამოვისუნთქეთ, რადგან კონტრაქტებს აფორმებდნენ ფირმასთან და ისინი გვაცმევდნენ.

...მინდორიც დიდი პრობლემა იყო. „დინამოს" სტადიონზე უხარისხო იყო, გადამხმარი. იმ პერიოდში მხოლოდ დნეპროპეტროვსკში და კიევში იყო კარგი გაზონები, იქ თამაში მოგვწონდა. რომ არა ასეთი ამბები, „დინამო" ალბათ მეტსაც მიაღწევდა.

...ქართველებს გვაქვს ხასიათში, რომ მიღწეულით ვკმაყოფილდებით. 1982 წელსაც შეგვეძლო თასების თასის ფინალში გასვლა. ნახევარფინალში ბელგიის „სტანდარდთან" მოვიგებდით, რომ არა ცოტა მოშვებულობა. პირადად ჩემს თავზეც ვიტყოდი, ისეთი შემართება და ანთებული თვალები არ მქონდა, როგორც წინა წელს.

...თან იმანაც იმოქმედა, რომ „სტანდარდთან" მეორე თამაშის წინ დინამოს 5 ფეხბურთელი არგენტინაში ვიყავით სსრკ ნაკრებთან ერთად. იქ ამხანაგური ჩავატარეთ და პირდაპირ ბელგიაში ჩავედით, მესამე დღეს კი თამაშზე გავედით. ამდენი ფრენა, დაღლილობა... ცოტა იმოქმედა. თორემ „სტანდარდი" ჩვენზე ძლიერი გუნდი არ იყო.



40 წლის შემდეგ...

უმუშევარი



ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ნოზაძე
სარბიელი

ზოთა ხინჩაგაშვილი

# 4 ოფიცერი

შოთა ხინჩაგაშვილზე წერა ძალიან ძნელია. ერთი მხრივ, კაცი, რომელმაც თბილისის „დინამოს" ეპოქალურ წარმატებებში საკვანძო როლი ითამაშა და მეორე მხრივ, ადამიანი, რომელსაც არ უყვარს მედიასთან საუბარი. ახლაც ასე მოხდა - რა უნდა გითხრათ ახალი, რაც არ მითქვამს და არ დაწერილაო. ჰოდა, შოთა ხინჩაგაშვილზე საუბარი მცირე რეტროსპექტივად გვექცა, სადაც მისი კარიერის უმთავრესი მომენტებია გამოკვეთილი:

... დუშეთელ ბიჭს რუსთავის „მეტალურგში" გატარებული ერთი სეზონი ეყო, რომ 19 წლისა თბილისის „დინამოში" გამოეძახათ. მაშინ ქვეყნის უმთავრეს გუნდში ძალიან ძლიერ თაობა მივიდა და დაცვის ცენტრში ხინჩაგაშვილმა ჩივაძესთან იდეალური დუეტი შექმნა.

შოთა „კაცზე თამაშობდა" და სამი-ოთხი სვლით ადრე კითხულობდა მეტოქის შეტევას, მაგრამ თუ საქმე პირისპირ ბრძოლას ეხებოდა, მტრისას! რა საჭიროა იმის მოყოლა, რამდენჯერ დაასახელეს სსრკ-ის 33 საუკეთესოს შორის და როგორი დებიუტი ჰქონდა ნაკრებში არგენტინასთან. მერე? მერე ის ყველაფერი იყო, რაც „დინამოს" გადახდა...

რა შეიძლებოდა გაგეკეთებინა საბჭოთა ფეხბურთში, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოს სახელი გრგებოდა? ჩემპიონობა - იყო! ვიცე-ჩემპიონობა - იყო! სსრკ-ის თასი - ორჯერ იყო! სსრკ-ის ბრინჯაოს მედლები - კილოგრამობით! და ერთი ყვითელი ბარათი არ აპატიეს ჰოლანდიურ „ფეიენოორდთან". ფინალზე არ წაიყვანეს კაცი, რომელმაც გუნდი საკუთარი მხრებით 12 წელი ატარა. გული დაწყდაო, იოლად ნათქვამია. ტელევიზორში უყურა იმას, რაც მისივე ნაოფლარი იყო.

ჰოდა, წავიდა. იცით, რამდენის იყო?

სულ 31 წლის და იმ მხრებზე „დნამოს" ტარება კიდევ დიდხანს შეეძლო.

გემოვნებაზე არ დავობენო, მაგრამ ჩივაძე-ხინჩაგაშვილზე მაგარი წყვილი „დინამოს" არც მანამ და არც მერე, არ ჰყოლია.

საშა ჩივაძე იმ იშვიათ მცველთაგანი იყო, თავდასხმაში წასვლა რომ უყვარდა და გამოსდიოდა კიდეც. შოთა ხინჩაგაშვილი კი თავს ამ ფუფუნების უფლებას ვერ აძლევდა. იდგა თანაგუნდელების ზურგს უკან ბოლო მეციხოვნედ და სიტუაციას აკონტროლებდა.

ამასობაში კი ყიფიანიც და შენგელიაც, გუცაევიც და დარასელიაც, სულაქველიძეც და ჩივაძეც გაცილებით მხარგაშლილნი და თამამნი უტევდნენ მეტოქის კარს. თამამნი, რადგან იცოდნენ, რომ მოედნის ცენტრში შოთა იდგა, ყველაფერს აკონტროლებდა და გაბელიას საჯარიმოს სიახლოვეს არავის გააჭაჭანებდა. თან ამ ყველაფერს ისე ელეგანტურად და თავადურადაც კი აკეთებდა, ფეხებში ვარდნები ან „ჭუჭყიანი" ილეთები არ სჭირდებოდა. ეგ კი არა, თითქოს მეტოქეებიც ვერ ჰკადრებდნენ უხეშობას - პირქუშ და დაუძლეველ წინაღობად იდგა.

სანაკრებო კარიერა როგორღაც ვერ აეწყო. არადა, თითქოს ჩივაძისთვის უკეთეს მეწყვილეს ვერ იპოვიდი. მხოლოდ ერთი მოკლე პერიოდი იძახებდნენ ნაკრებში, როცა მას ნიკიტა სიმონიანი თავკაცობდა, სხვები კი არ სწყალობდნენ. ვინც სულ ცოტათი მაინც იცნობს შოთა ხინჩაგაშვილს, დაგვეთანხმება, რომ ჩინ-მედლებისა და რეგალიების მდევარი არასოდეს ყოფილა. სამაგიეროდ, ყველაზე დიდი რეგალია აქვს - ყველა დროის ყველაზე წარმატებულ „დინამოს" ზუსტად ისევე ჰქვია შოთა ხინჩაგაშვილისა, როგორც დათო ყიფიანის, ვოვა გუცაევის, რამაზ შენგელიასი.

სხვა თემაა მისი და მსაჯების ურთიერთობა. ვერასოდეს იტანდა უსამართლობას და რამდენჯერმე მკაცრადაც დაისაჯა. ციურიხის „გრასჰოპერსთან" მატჩი გასახსენებლადაც არასასიამოვნოა. ერთ მომენტში მსაჯის უსინდისობა ზღვარს რომ გადასცდა, შოთა ხინჩაგაშვილმა იფეთქა, ჯერ ყვითელი ბარათი გააგდებინა ხელიდან და მერე...

მერე რა საჭიროა გახსენება. და განა როტერდამის ავადმოსაგონარ მატჩში ეგრე არ იყო? მერე ფინალის გამოტოვებად რომ დაუჯდა, ის ყვითელი კი მიიღო, მაგრამ ნერვების თამაშში ნერვები მოთოკა და თავი არ გაანითლებინა.

მაშინ უკვე დაღვინებული იყო და რომ ეფეთქა, ათკაციან „დინამოს" ავსტრიელი მსაჯი ვიორერი დიუსელდორფის ფინალამდე ნამდვილად არ მიუშვებდა. მერე წავიდა...

დასამახსოვრებელი მატჩით „ნაპოლისთან", ტრავმიანი რომ გავიდა მოედანზე და სუპერვარსკვლავ რამონ დიასს მანამ ეომა, სანამ შესაცვლელი არ შეიქნა. მერე წავიდა და წავიდა. ადრე, მაგრამ მიზეზთა გამო ასე ულირდა. სხვისი თამაში არასოდეს უთამაშია და არც სხვის დაკრულზე უცეკვია.

ჰო, „დინამოში" 12 წლის თამაშის მანძილზე ერთადერთი გოლი ლევ იაშინს გაუტანა ...

***P.S. 9 მაისს, შოთა ხინჩაგაშვილის დაბადების დღე იყო. ლეგენდარულ დინამოელს, 70 წელი შეუსრულდა, რასაც გულითადად ვულოცავთ...***



**40 წლის შემდეგ...**

უმუშევარი



1981 წლის 8 აპრილი. დინამო თბილისი-ფეიენოორდი 3:0

მალხაზ დათიკაშვილის ფოტო

betlive.com

სარბიელი ბიბლიოთეკა

გია თავაძე

# 5 ფინალის წინ...

# 25 კილომეტრში 27 წლის ქალთან



ტრიუმფატორი „დინამოს“ მცველი გია თავაძე 1955 წლის 21 ივნისს დაიბადა. 7 წლიანი ლანჩხუთური კარიერი შემდეგ, 1979 წელს „გურიადან“ თბილისის „დინამოს“ შეუერთდა და ქართული ფეხბურთის ფლაგმანში თასების თასთან ერთად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორობაც მოიპოვა. გია თავაძემ უმაღლეს ლიგაში 76 მატჩი ჩაატარა და 4 გოლის გატანაც შეძლო. საფეხბურთო კარიერა ქუთაისის „ტორპედოში“ დაასრულა და მწვრთნელობას მიჰყო ხელი.

პაატა ქვანტალიანი
სარბიელი

ზიზლით იფურთხებოდნენ იმის გაგებისას რომ, ეს მოხდენილწარმოსადეგი ხალხი „სოვიეთ უნიონის“ ჯორჯიადან იყო...

ლონდონი. 1981 ელი. თასების მფლობელთა თასის გათამაშების მომავალი ტრიუმფატორი ნისლიან ალბიონს სტუმრობს „ვესტ ჰემთან“ სათამაშოდ და უმრავლესობის აზრით უპირობო აუტსაიდერიც გახლავთ. ეს პირველი შემთხვევა იყო გია თავაძისთვის, როცა, ასე მკაფიოდ წააწყდა საბჭოთა დერჟავისადმი აშკარა ზიზლს. მიუხედავად ამისა, ლონდონი და „ვესტ ჰემთან“ ის მეოთხედფინალური მატჩი, უდიდეს ტკბილ მოგონებად იქცა მისთვის.

გია თავაძემ სწორედ იმ, „კაპიტალუსტური ზიზლის“ გახსენებით დაიწყო საუბარი ჩვეული გურული იუმორით...

- რუსო ბრეჟნევს გვეძახდნენ ლონდონის ქუჩებში, ვერც ვუხსნიდით რომ ქართველები ვიყავით, როგორც კი „სოვიეთ უნიონ ჯორჯიას“ ვახსენებდით, ზიზლით იფურთხებოდნენ...

„ვესტ ჰემამდე“ „კასტორია“ იყო. ბერძნებს არც ალვიქვამდით სერიოზულ მეტოქედ. სალონიკიში ვეთამაშეთ, რადგან ხეირიანი სტადიონიც კი არ ჰქონდათ და ძალის მაქსიმალური დაზოგვით გავედით შემდეგ წრეში.

გიგლა იმნაძესთან ერთად ვიყავი სასტუმროს ნომერში, ახალკაცი რომ შემოვიდა... რამე რომ იყოს, ითამაშებო, მკითხა. ხუმრობად მივიღე, ფარსადანოვიჩ, მაგისთვის ვარ აქ ჩამოსული-თქო. ჰოდა, გაემზადე, შენი იმედი მაქვსო. ყურებს არ ვუჯერებდი, თუმცა, ამ მომენტმა რალაცნაირი თავდაჯერება შემმატა და მგონი ურიგოდ არ მითამაშია.

**- იმ პერიოდში ლონდონი, რუსთაველის თეატრის მიერ დადგმული „მეფე ლირის“ შთაბეჭდილების ქვეშ იყო. ამას დაერთო თქვენი ტრიუმფიც...**

- ზუსტად ასე იყო. ქართველებმა ჯერ სცენაზე ვასიამოვნეთ ლონდონელები და შემდეგ მოედანზე... და მაინც, ყველაზე მეტად რაც იმ თამაშიდან მახსოვს, გულშემატკივართა საოცარი თანადგომაა. 1:4-ს აგებდნენ და მაინც ერთგულად ქომაგობდნენ თავის გუნდს. ჩვენთან, ანალოგიურ სიტუაციაში გინებით აგვიკლებდნენ.

**- შემდეგ კი იყო „ფეიენოორდი“ და წარმოუდგენლად ბინძური მსაჯობა საპასუხო როტერდამულ მატჩში...**

- სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით: ცემა-ტყეპით გვეთამაშებოდნენ. ორი ასპროცენტიანი გოლი არ ჩაგვითვალეს და მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ერთი წამითაც არ დამიშვია რომ გავვარდებოდით. მტკიცედ მწამდა რომ ფინალში გავიდოდით.

**- მოგება ჯეროვნად ალნიშნეთ? ზოგადად ქართულ-ტრადიციულად ალნიშნავდით გამარჯვებებს?**

- რამდენადაც მახსოვს, ორი-სამი ჭიქა შამპანური მოვწრუპეთ. მეტის საშუალებას გამოფიტული ორგანიზმი არ გვაძლევდა. წარმოუდგენლად დიდი დატვირთვები გვქონდა, ყოფილა შემთხვევა, სამი-ოთხი კილოც დაგვიკლია მატჩისას.

**- ფინალის წინ როგორი განწყობა გქონდათ?**

- ძალიან ამაღლებული და სხვათაშორის საამისოდ, ჯერ კიდევ ავტობუსში, აეროპორტიდან სასტუმრისკენ მიმავალ გზაზე იზრუნა საქართველოს მაშინდელმა შსს მინისტრმა, ბატონმა შოთა გორგოძემ. მან იმდენი მოახერხა რომ, ქართული სიმღერები ჩაგვირთო გერმანულ ავტობუსში და ეს მოულოდნელი და ძალიან სასიამოვნო იყო.

**- რამდენადაც ვიცი, ადაპტაციის პერიოდი არ გქონიათ და მატჩის წინა დღეს ჩაფრინდით გერმანიაში...**

- ასე იყო, კომუნისტები ზედმეტ ფულს დახარჯავდნენ? მაგრამ ის ერთი დღე ზღაპრულ გარემოში ვიყავით. ტკბილად მახსოვს, დიუსელდორფიდან 25 კილომეტრში მდებარე ძველებურ, რეტრო სტილში გაწყობილი სასტუმრო და მისი 27 წლის მეპატრონე ახალგაზრდა ქალბატონი...

**- ფინალი თავის სიდიადით, ალბათ სამუდამოდ დაილექა მაშინდელი ქომაგის გონებაში და ამის შემოქმედი პირველ რიგში ნოდარ ახალკაცი გახლდათ. რა გითხრათ გადამწყვეტი მატჩის წინ?**

- ზუსტად მახსოვს რომ საათნახევარი გვესაუბრა, თითოეული დეტალი ზედმიწევნით აგვიხსნა. დაწვრილებით გაარჩია მეტოქის სუსტი და ძლიერი მხარე. ჩვენც იდეალურად შევასრულეთ მისი დავალება, რამაც საოცარი ტრიუმფი მოგვიტანა, არც მახსოვს რას ვაკეთებდი ნამატჩევს. ვერ გავიხსენე, როგორ მივილე შხაპი, როგორ ჩავიცვი, ბედნიერებისგან უბრალოდ გაოგნებული ვიყავი



40 წლის შემდეგ...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დელეგატი ეროვნული ლიგის მატჩებზე.



გია თავაძე (მარჯვნივ) ვესტ ჰემთან მატჩში, ტრევორ ბრუკინგის წინააღმდეგ

დენტოკლუბი DENTOCLUB
სტომატოლოგია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არარატი და 100 ლიტრი სასმელი

## ...ეს რეებს მიჰქარავს?!



გიორგი ნოზაძე
სარბიელი



კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებების და რეგალიების ჩამოთვლას რამდენიმე თაბახი არ ეყოფა, მაგრამ როცა საუბარი ფეხბურთზეა, თბილისის „დინამოს" ლეგენდარული ჰიმნის ავტორი მთელი ცხოვრების სიყვარულზე - „დინამოზე" დაუღალავად საუბრობს:

...ძალიან ბევრს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს დღემდე ჰგონიათ, რომ „დინამო! დინამო! დინამო" 1981 წელს თასების მფლობელთა თასის აღებას მიეძღვნა. ვიღაცამ ეს სიმღერა 1978 წელს სსრკ-ის ჩემპიონობას მიაწერა. არადა, მორის ფოცხიშვილმა ტექსტი 1976 წელს დაწერა, როცა თასის ფინალში ერევნის „არარატს" 3:0 მოვუგეთ. მანამდე თასის ხუთი ფინალი გვქონდა წაგებული რუსულ გუნდებთან და ეს გამარჯვება ძალიან ემოციური იყო.

...მაშინ საქართველოში ორი მაგარი ანსამბლი გვყავდა - „ივერია" და „ორერა". არ მქონდა გადაწყვეტილი, რომლისთვის შემეთავაზებინა სიმღერა, მაგრამ გარემოებებმა იქონიეს გავლენა. „ორერა" იმ პერიოდში გასტროლებზე იყო, მე კი ქუჩაში შემთხვევით ჯემალ ბაღაშვილი შემხვდა. ავედით ალექსანდრე ბასილაიასთან, რომელმაც მაშინვე გაანაწილა ხმები. თემურ წიკლაური ინყებდა და მას ზურაბ ცისკარიძე მიჰყვებოდა - უმაგრესი მომღერალი, რომელიც მერე აშშ-ში ემიგრაციაში წავიდა. ასე ჩაიწერა ეს სიმღერა და მაშინ ვერავინ ვიფიქრებდით, რომ ასეთი პოპულარული გახდებოდა.

...მყავდა თუ არა ფეხბურთელებში „ლუბიმჩიკი"? როგორ შეიძლებოდა, დათო ყიფიანი არ გყვარებოდა?! არადა, იმ თაობის ვარ, პაიჭაძე, ჯეჯელავა და იამანიძე რომ მახსოვს. ძმაკაცობით ყველაზე მეტად „სვისტუნასთან", ანუ ჯემალ ზეინკლიშვილთან ვძმაკაცობდი. სტვენით ისეთ მელოდიას შეგისრულებდა, ნებისმიერი კომპოზიტორი მოაწერდა ხელს.

...დიუსელდორფის ფინალზე წასვლა ცოტა გავრისკე. მქონდა შანსი, გუნდს როტერდამში ნახევარფინალზეც გავყოლოდი, მაგრამ გამაფრთხილეს, რომ ამ შემთხვევაში ფინალზე ვერ წავიდოდი. იმდენად მჯეროდა ჩვენი ბიჭების ფინალში გასვლა, როტერდამი ვიუარე. ბევრნი არ ვიყავით, მაგრამ გულიანად კი ვქომაგობდით ჩვენებს. გურამი იყი ფანჯიკიძე, დემიკო ლოლაძე, გოგი დემეტრაძე... ქართველი ებრაელები მოვიდნენ და კაცურად უქომაგეს „დინამოს". ყველაზე მოულოდნელი და სასიამოვნო იყო საქართველოს დიდი მეგობრის, რეჟისორ ჰერმან ვედეკინდის დანახვა - გერმანელთა ჯგუფი მოიყვანა თამაშზე და სულ „დინამო, დინამო!" აძახებინა.

... მოგეხსენებათ, ფეხბურთს ემოცია უხდება და განსაკუთრებით მაშინ ამოხეთქა, როცა ჰოპემ ჩვენს კარში გატანილი გოლი უხამსი ჟესტით აღნიშნა. ყველაზე კულტურულად რომ გამოვხატო ჩვენი რეაქცია, დაახლოებით ასეთი იყო - „ეს რეებს მიჰქარავს"?! მიჰქარა კიდეც და ჩვენი ბიჭები მოსაგებად დაქოქა.

... არ მოგატყუებთ, თითქოს თასების თასიდან შამპანური დავლიე, მაგრამ ქომაგებმა დილამდე კი გემრიელად ვიქეიფეთ. სასმელი რა პრობლემა იყო? ერთი ასი ლიტრი მაინც გვქონდა ჩატანილი. არც ჩვენს მესაზღვრეებს შეუქმნიათ პრობლემა. მათაც მშვენივრად იცოდნენ, სად და რატომ მივდიოდით. ასე რომ, რაღაც-რაღაცებზე თვალი დახუჭეს.

... ფარსადანოვიჩზე როგორ არ ვთქვა? ცოტა ფიცხი კაცი კი იყო, მაგრამ მასზე განათლებული ცოტა მინახავს. თავი დავანებოთ, რომ სკოლა და ინსტიტუტი ფრიადზე დაამთავრა, მისი კაბინეტი ერთი დიდი ბიბლიოთეკა იყო. საფეხბურთო ლიტერატურას პირველი ყიდულობდა და ეცნობოდა. ფეხბურთელებში აშკარად გაუმართლა, მაგრამ ესეც ხომ მისი სელექციის შედეგი იყო. თუ მკითხავთ, ვინ იყო დიუსელდორფის მთავარი გმირი, გეტყვით - ნოდარ ახალკაცი.



დაასკანერეთ
QR კოდი თქვენი
სმარტფონით

ვაჟა აზარაშვილის
უკვდავი
დინამო, დინამო!..

www.sarbieli.com



გიო ახვლედიანის

## სვეტი

ერთმა ჩემმა მეგობარმა თამაშის ვიდეოს ძებნა დაიწყო. ფირის, როგორც ძველად იტყოდნენ. პირდაპირ ამოიჩემა. კი, ორმოცი წლის წინანდელი თამაშის სრული ჩანაწერი უნდოდა, მაგრამ სამყაროში უფრო ადრინდელი თამაშების საუცხოო ჩანაწერები არსებობს და ამ შემთხვევაში, რაღა ეს თამაში უნდა გამქრალიყო.

მოგეხსენებათ, იუთუბი და სხვადასხვა სპორტული გვერდები გამოტენილია ძველი ფეხბურთით: სრული მატჩებიცაა და ნაწყვეტებიც. მაგრამ, ცხადია იქ ყველაფერი არ არის. უფრო, ასე რომ ვთქვათ, არის განთქმული თამაშების რაღაც ნაწილი და ეგაა, თორემ რაც დედმაიწაზე ბურთი გაგორებულა, იმას ვინ დათვლის.

წარსულის დიდი მატჩების ხარისხიანი, ან თუნდაც უხარისხო ფირებით, ჩვენი ქვეყანა მდიდარი სულაც არ არის. ძველ სატელევიზიო არქივებში ძნელად რომ რაიმე იყოს იმის გარდა, რაც იუთუბზე დევს. სრულ მატჩებზე მოგახსნებეთ. ადრე ვილაც ყვებოდა, რომ მას შემდეგ, რაც ვიდეოკასეტობა გაჩნდა, ტელევიზიაში ძველ რამეს ახალს გადააწერდნენ ხოლმეო. ხარჯის ამბავი ყოფილა, მოკლედ.

ოდესღაც, ერთ უფროს გულშემატკივარს შევხვედრივარ, რომელიც თავად რომ სტადიონზე მოდიოდა, შინ ვიდეოს ჩართულს ტოვებდა და იმ თამაშს იწერდა, რომელსაც სტადიონზე ესწრებოდა, შინ დაბრუნებული კი უყურებდა, არჩევდა და ინახავდა კიდეც. დიახ, იყვნენ ასეთი გულშემატკივრებიც. ფეხბურთი ძლიერი სიყვარული და გატაცება იყო.

ჰოდა, ამ ჩემმა მეგობარმა ერთი თამაში ამოიჩემა: „ფეიენოორდი" „დინამო", 1981 წლის 22 აპრილი, როტერდამი, წავაგეთ 0:2, მაგრამ თასების თასის ფინალში კი გავედით, რახან თბილისში 3:0 გვქონდა მოგებული. საქმე ესაა, რომ ამ როტერდამში წაგებულ თამაშს, ბევრი გულშემატკივარი მოგებულად თუ არა, ფრედ მაინც თვლიდა, რადგან გოლები არ ჩაგვითვალეს და პენალტიც არ მოგვცეს. მსაჯი იყო ავსტრიელი, ფრანც ვერერი, თუ ვიორერს ვამბობდით მაშინ. ადრეც ემსაჯა ჩვენთვის და დიდი მწარე მსაჯი იყო.

მაშინ ეგრე იყო, რომ რახან საბჭოთა კავშირი ყველას სძულდა, ევროპულ თამაშებში მსაჯებიც არ გვწყალობდნენ. რაც იყო, ეგ იყო, გავედით, ძალიან სახიფათო კი იყო. რა გასაკვირია და ეს ჩემი მეგობარიც მოგებულად თვლის იმ წაგებას.

იუთუბზე ამ შეხვედრის რამდენიმე მოზრდილი ჰაილაითია. ასე, ოცწუთიანები. ის ჩაუთვლელი გოლებიცაა და მოკლედ ყველფერი, მაგრამ უხარისხოა და ჩემს მეგობარს არ აკმაყოფილებს. ადგა და მისწერა „ფეიენოორდს", ეგრეო, დავეძებ ამ მატჩის ფირსო, უბრალოდ მაინტერესებს, არსებობს, თუ არაო. კლუბმა თავისივე არქივარიუსის ელექტრო მისამართი გამოუგზავნა და ამან ახლა იმას მისწერა, თუ დამეხმარებით, მადლიერი დაგრჩებით, კერძო ინტერესი მაქვს, არაკომერციული და ეგებ მითხრათ, გაქვთ, თუ არაო. იქედან, სტანდარტული წინადადებით გაეპასუხნენ, ვაფასებთ თქვენს ინტერესსაო. შემდეგ წერილს კი აღარ უპასუხეს.

მოკლედ, ისიც არ უთხრეს, კარგი, სრული, ხარისხიანი ჩანაწერი შემორჩენილია, თუ არა.

მე კიდევ ის ვიფიქრე, რა მაგარი იქნებოდა, თვითონ „დინამოს" რომ ჰქონდეს ასეთი არქივი. კლუბს წარსულის მნე კაცი ჰყავდეს, რომელიც ძველი თამაშების ვიდეობს დაეძებს, აგროვებს, მიმოწერა აქვს მსოფლიო კლუბებთან, ვისთანაც კი გვითამაშია ესესერში და მის გარეთ და ყველაფერს კეთილი ურთიერთობებით მოიპოვებს. ასე ხომ მთელი დინამო-კინოდარბაზის გახსნა შეიძლება.

ძველი თამაშების ყურება ვის არ დააინტერესებს?

ახალგაზრდებს კლუბის ისტორიაც უკეთ ეცოდინებათ.

ერთი დრო იყო და ეს იუთუბობა სულ არ არსებობდა. იესპიენს ერთი განხრა ქონდა, გოლდ. რაც რომ ბავშვობაში არ მიყურებია, ყველაფერი იქ ვნახე, ჩემპიონთა თასის ფინალები და სხვა ათასიც.

რა ვიცი, ეგება მეჩვენება და სულ არ არის საინტერესო, მაგრამ კი მეჩვენება და...

# ვიტალი დარასელია

# 6



სლავა გასპაროვი
სარბიელი



# ვიტალი

## როგორი ფეხბურთელი იყო

ალბათ ყველას ახსოვს, 13 მაისის მატჩის პირველ ნახევარში მარჯვენა ფლანგზე რეიდის შემდეგ მოედნის პირითი ხაზიდან მარჯვენა, არასამუშაო ფეხით როგორი გასწვრივი პასი გააკეთა - რიუდიგერ შნუპჰაზეს ბურთი თავში მოხვდა და ექიმებმა დანოკაუტებული გერმანელი ძლივს მოასულიერეს...

დღეს ბავშვები ეზოში ბურთზე მოხდენილად, 360 გრადუსით რომ დატრიალდებიან, უხარიათ - „ზიდანი ჩავატარეო", და არ იციან, რომ ამ უნატიფეს ილეთს დარასელია ჯერ კიდევ 70-იან წლებში იყენებდა.

## ვიტალი და მარინა

იმ უბედნიერესი 1981 წლის შემოდგომიდან დღემდე საბურთალოზე ვიტალი დარასელიას ოჯახის მეზობლად ვცხოვრობ, ვიტალის მეუღლეს - ქალბატონ მარინა მამალაძეს და შვილებს - კრისტინას და ვიტალის ახლოს ვიცნობ.

მარინა მამალაძე: „ყოველ დილას, ბავშვობიდანვე სკოლის მაგივრად სახლიდან პორტამდე 3 კილომეტრს დარბოდა, თან გზაზე კი არა - სანაპიროს ქვიშაზე. ვიტალი ჩემზე ორი წლით იყო უფროსი, მაგრამ რადგან მე სკოლაში ერთი წლით ადრე შემიყვანეს, ჩვენს შორის ერთი კლასი სხვაობა იყო. ძალიან ცუდად სწავლობდა, შეიძლება ითქვას საერთოდ არ სწავლობდა, მხოლოდ ფეხბურთი და ვარჯიში აინტერესებდა, გათენებიდან დაღამებამდე სტადიონზე ბურთს აგორებდა.

ჰოდა, მე-8 კლასში ჩატოვეს თუ განზრახ ჩარჩა, კლასელები გავხდით. იმ დროს ერთმანეთს უკვე ვიცნობდით. ჩემი თაობის ყველა ბავშვი რაღაც სპორტით იყო დაკავებული, მე ცურვაში თანრიგოსანი ვიყავი და ხშირად გოგოები სკოლის ეზოში ბიჭებთან ერთად ვბურთაობდით. ერთ-ერთი ასეთი თამაშისას ჩემმა ბიძაშვილმა, მითხრა: „მგონი ამ ბიჭს მოსწონხარ, პასებს სულ შენ გაძლევს". ის ბიჭი ვიტალი იყო...

დავმეგობრდით. სხვათა შორის, მე-9 და მე-10 კლასებში სწავლა დაიწყო და სკოლაც ნორმალურად დაამთავრა.

მთელი ეს პერიოდი სიყვარული იმდენად სერიოზულ რამედ მიგვაჩნდა, რომ მხოლოდ ვმეგობრობდით.

მერე ვიტალი „დინამოში" მიიწვიეს, 19 წლისა იყო... და აი, ამ მომენტში ვიგრძენით ორივემ, რომ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეგვეძლო. გავიპარე, თან არ იკითხავ, როგორ? მამასთან ერთად ოჩამჩირიდან თბილისისკენ მატარებელს გამოვყევი, რომელშიც ვიტალის მეგობარი ვალერა ძებისაშვილიც მგზავრობდა. მითხრა, გორში ჩახვალ მატარებლიდან, იქ დაგხვდებიან და თბილისში ვიტალისთან ჩაგიყვანენო.

მამაჩემს რომ გაეგო, რას ვაპირებდი, მომკლავდა, ამიტომ ბარგი კუპეში დავტოვე და პასპორტის ამარა წამოვედი. ზამთარი იყო და ლამის გავიყინე, მაგრამ სადგურთან გორის გუნდის მწვრთნელი დამხვდა და თბილისში თავისი „ჟიგულით" წამიყვანა. დილომში კი, ვიტალისთან მთელი მისი სამეგობრო შეიკრიბა - შამპანურების ბათქა-ბუთქით დამხვდნენ".



## კრისტინა და ვიტალი-უმცროსი

„მერე დაიბადა ჩვენი უფროსი შვილი", - აგრძელებს ქალბატონი მარინა, - „ბიჭს ველოდებოდით, მაგრამ გოგო დაიბადა.

სხვათა შორის, სახელი მასაც ვიტალიმ შეურჩია. მასაც იმიტომ, რომ ბიჭს ვიტალი როგორ დაარქვა, ყველამ კარგად იცის - ნეაპოლში თამაში ჰქონდათ და დათქვა, ვინც დღეს გოლს გაიტანს, ჩემს ახალშობილ ბიჭს იმის სახელს დავარქმევო და თავად გაიტანა...

გოგო რომ შეგვეძინა, მომზადებულები არ ვიყავით, წესით თემური უნდა დაბადებულიყო - ჩვენი მეჯვარის, თემურ ესებუას საპატივცემულოდ. ამიტომ გოგოს სახელი მოსაფიქრებელი გაგვიხდა, ვიტალიმ მალევე გადაწყვიტა - კრისტინა იქნებაო. სახლში კედელზე უზარმაზარი პლაკატი გვეკიდა, რომელიც მან გერმანიიდან ჩამოიტანა. ზედ ულამაზესი ქალი იყო გამოსახული, ეტყობა მსახიობი იყო, სახელად კრისტინა, გვარი აღარ მახსოვს. იდეა მეც მომეწონა და ასე დაერქვა ჩვენს გოგონას სახელი. ვიტალი ოცნებობდა, ჩემს კრისტინასთან ერთად რუსთაველზე რომ გავივლი, ვერავინ იფიქრებს, რომ ჩემი ქალიშვილიაო. მაშინ თავად ხომ მხოლოდ 19 წლის იყო...".

## საკუთარ თავზე განუწყვეტლივ მუშაობდა

იმ დროს დილომში, ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდით და დიუსელდორფში წასვლამდე ჩვენთან ვიტალის მეგობრები შეიკრიბნენ. მეკარე იურა მამინაშვილმა და „დინამოს" დუბლებში მოთამაშე, უკვე ხსენებულმა ვალერა ძებისაშვილმა ვიტალის მთელი სერიოზულობით უთხრეს - თუ წააგეთ, აღარ ჩამოხვიდე, არ გაპატიებენ, გინებით სიცოცხლეს გაგიმწარებენო და ვიტალიც აჰყვა - ჰო, თუ წავაგეთ, ალბათ დავრჩებიო. პატარა გოგო ვიყავი, გამოუცდელი. ლამის გადავირიე - დავიჯერე, იმიტომ რომ ყოველი წაგების მერე გულშემატკივარი ბიჭებს მართლაც არ ინდობდა, ზოგიერთი გინებასაც არ ერიდებოდა. შეამჩნიეს, რომ სერიოზულად მივიღე მათი ხუმრობა და სიცილი აუტყდათ.

მაგრამ გულში მაინც ჩამრჩა. ირგვლივ ხალხმა იცოდა, რომ ამა და ამ ბინაში ვიტალი დარასელია ცხოვრობს და როცა ფინალის ტრანსლაცია დაიწყო, ფარდები საგულდაგულოდ გადმოვწიე - არ მინდოდა, წარუმატებლობის შემთხვევაში გინება გამეგო.

## ფინალი, თასი, მცირე თასი და დახვედრა აეროპორტში

ვიტალიმ თავისი გიჟური გოლი გაიტანა და მომდევნო ოთხი წუთი მთელმა საქართველომ ლოცვაში გაატარა, მოხდა ის, რაზედაც ქართველ ფეხბურთელთა და მათ გულშემატკივართა მრავალი თაობა ოცნებობდა!

„დინამომ" თასი მოიგო, რომელიც საშა ჩივაძემ აღმართა, ხოლო ვიტალი დარასელიას, როგორც გადამწყვეტი გოლის ავტორს, გადაეცა ინდივიდუალური ჯილდო - თასების მფლობელთა თასის მცირე ზომის ასლი. ცნობისთვის, ამ თასში 450 გრამი შამპანური ან ღვინო ეტევა, ხოლო ამობრუნებულ მდგომარეობაში, თასის სადგამში 50 გრამი კონიაკი ჩადის - გააჩნია, ვინ რითი ილოცებოდა. თბილისში ჩამობრძანების შემდეგ ამ ჯილდოს კარგა ხანი მოუწია სასმისის ფუნქციის შესრულება.

„აეროპორტში დასახვედრად ვიტალის ერთ-ერთი ძმაკაცის „ვოლგით" 3 საათით ადრე წავედით. მისი კიდევ ერთი ძმაკაცი და ჩვენი კრისტინას ნათლია აეროპორტის საბაჟოს უფროსი იყო და მან სწორედ საბაჟოს ოთახში შეგვიყვანა. თანდათან იქაურობა ხალხით გაივსო, აეროპორტის ძველი შენობის წინამდებარე მოედანი მანქანებით გადაიჭედა. მოედანი კი არა, ხალხი წინ რომ ველარ მიიწევდა, მანქანებს ტრასაზევე ტოვებდა. მთელი ეს ხალხი აეროპორტის შენობაში და მოედანზე ხომ ვერ დაეტეოდა და საბაჟოზეც შემოაღწიეს, თან ისე, რომ ფანჯარაზე მიგვაჭყლიტეს.

თბილისში რომ ჩამოფრინდნენ, აეროპორტმა ერთიანად იხუვლა და ის არანორმალური ხმაური დღესაც ჩამესმის ყურში. საბაჟოს ფანჯრიდან გადმოგვახტუნეს და თვითმფრინავთან როგორღაც მივედით. იქ ხომ სრული სიგიჟე სუფევდა - ბიჭები ხელში აიტაცეს და ასე კარგა ხანს აზურთავეს. [illegible] ლამის ხელიდან გამოვგლიჯეთ ამ გაგიჟებულ ადამიანებს, საბაჟო კონტროლიც გამოვიარეთ და მანქანაშიც ვსხდებოდით უკვე, როცა ვიღაცამ განწირული ხმით დაიყვირა: „ვიტალი დარასელია მიდიიის!!!". ჰოდა მთელი ეს მასა ახლა ჩვენსკენ წამოვიდა. ყველა ვიტალის ეფერებოდა, ხელებს უკოცნიდნენ, ვიღაც მოხუცმა საათი მოიხსნა ხელიდან და ვიტალის აძლევდა. გადაირია ბიჭი, ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს. როგორღაც მანქანაში ჩავსხედით, ვიტალის მეგობარმა მანქანა დაქოქა, მაგრამ ვერ დაძრა. თურმე უკან ხალხს აუწევია ეს ამხელა „24" და ბორბლები ჰაერში ტრიალებდა. ხვეწნა-მუდარის შემდეგ „გაგვათავისუფლეს" მაგრამ ალბათ ასე 100 მანქანა მაინც აგვედევნა. სახლში კი ძმაკაცები დახვდნენ ყანწებით.

## საკრალური რიცხვი 13

ვიტალი დარასელიას რიცხვი „13" უყვარდა - ჩემთვის ბედნიერება მოაქვსო. 13 მაისი ხომ ცალკე თემაა და ყველა ნაკრებში - ახალგაზრდულ თუ ეროვნულში ცდილობდა, 13-ნომრიანი მაისურა დაესაკუთრებინა. მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატზეც, ესპანეთშიც სწორედ ამ ნომრით ითამაშა.

მაგრამ იმავე წლის 13 დეკემბერს ვიტალი დაიკარგა...

ჩემს სკოლაში ყველამ იცოდა, რომ დარასელიების მეზობლად ვცხოვრობ და დილით ლამის მთელი სკოლა გარეთ მელოდებოდა ხოლმე. „ხომ არ გამოჩენილა? რამე ახალი ხომ არაა?" - დაახლოებით ასეთი შინაარსის კითხვებით მხვდებოდნენ. რა უნდა მეთქვა? მე კი არა, ქვეყანამ არაფერი იცოდა. საკმაო ხანი იყო გასული, მაგრამ ვიტალი არ ჩანდა. ერთ დღესაც, სკოლაში წასვლამდე აივნიდან დარასელიების სადარბაზოსკენ გადავიხედე და ჰოი, საოცრებავ! დავინახე წითელი „06", ზუსტად ისეთი, როგორიც მას ჰყავდა, თან ამ მანქანიდან თავად გადმოვიდა თავისი ყავისფერი „დუბლიონკით". აღარც დავაკვირდი, სკოლაში თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი და ყველას სასიხარულო ამბავი მოვახსენე. შვებით ამოვისუნთქეთ, მაგრამ სკოლიდან მობრუნებულმა აღმოვაჩინე, რომ უნებლიე ტყუილი გამომივიდა: ის „06" დავით მუჯირისა იყო, მანქანიდანაც ისეთივე „დუბლიონკით" სწორედ ის გადმოვიდა და მე სასურველი რეალურად აღვიქვი. იქვე საშა ჩივაძის ცისფერი „07" იდგა, ოდნავ მოშორებით - ყიფიანის „24", ხოლო თავად დათო დარასელიების სადარბაზოსთან სკამზე იჯდა და ტიროდა...

ყველაფერს მივხვდი. 13 დეკემბრიდან 13 დღე იყო გასული...



ვიტალი დარასელიას მემორიალი ტრაგედიის ადგილას, სოფელ უბისაში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბაბუაწვერას თასი

ილია ბაბუნაშვილი
სარბიელი


ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

„ბაბუაწვერას ღვინო" წაგიკითხავთ? ბავშვობის სურნელით გაჟღენთილი რომანია. ყლაპავ სტრიქონებს და, მართალია იქ აღწერილი ამბებიდან ერთიც არ გადაგხდენია, ხვდები, რომ შენზეა. გენიოსის დაწერილია, რეი ბრედბერის.

იგივეა ხდება „ამარკორდს" რომ უყურებ. სად მუსოლინის დროინდელი იტალია და სად შენი ბავშვობა, მაგრამ... მისჩერებიხარ ეკრანს და ხედავ, რომ ზუსტად ის არის. იმიტომ, რომ ესეც გენიოსის გადაღებულია, ფედერიკო ფელინის.

მარკ ტვენის ტომ სოიერზე საერთოდ აღარაფერს ვამბობ.

— ტომ!

პასუხი არ არის.

— ტომ!

პასუხი არ არის.

— რა დაემართა ნეტავ ამ ბიჭს? ტომ!...

აუ, როგორ მიყვარდა ბეკი ტეთჩერი და როგორ მეშინოდა ინდიელი ჯოსი, განსაკუთრებით ბოლოს, ლაბირინთში.

საბედნიეროდ, ჩემს ცხოვრებაში კიდევ იყვნენ გენიოსები, რომელმაც ბრედბერის, ფელინისა და მარკ ტვენის მსგავსად სიყრმე გამიფერადეს. გენიოსები, რომელთაც ცოცხლად ვხედავდი, რომლებიც ხელის განვდენაზე მყავდა. გენიოსები, რომლებიც...

...მე და გიას, ჩემს ძმაკაცსა და კლასელს, ყოველი საერთაშორისო თამაშის დღეს, გაკვეთილების შემდეგ, მასთან შევლა და გიტარაზე დაკვრა კარგად გვქონდა დაცდილი. მეათეში ვიყავით, აბიტურიენტები. მე სმენა არ მაქვს, ვერ ვუკრავდი, გია კი აუცილებლად დაამღერებდა ხოლმე ნაკლებად ცნობილ ქართულ სიმღერას მორის ფოცხიშვილის ლექსზე: „ჭალაში ბალანაშლილი თეთრი სეტერი ქრის..."

გია გიტარას ჩქარა აჟღარუნებდა. მერე, მე სახლში მოვდიოდი და ახლანდელი ცაბაძის, მაშინდელი ტელმანის ქუჩაზე მილიციის კორდონი მხვდებოდა. მილიციელებს ვეუბნებოდი, რომ სახლში მივდიოდი და მიშვებდნენ. ანკი, რატომ უნდა შეჰპაროდათ ეჭვი, გაკვეთილების დასრულების დრო იყო და სახლსაც ვუთითებდი, აი, იქ ვცხოვრობ, მეთქი. თუ სწორედ მახსოვს, ერთადერთხელ მაწვალეს, ნაღდად სტადიონზე გინდა შეპარვაო, მაგრამ მაინც გამიშვეს. ბილეთი სკოლაში ცხადია არ დამქონდა, შინ ვტოვებდი. და რატომღაც სულ მზიანი დარი იყო.

საღამოს კი, ჩემი ბავშვობის გენიოსები მოედანზე გადიოდნენ და იგებდნენ. ვინ იცის, ბევრ მიზეზთან ერთად იმიტომაც რომ დღისით გია სეტერზე მღეროდა...

იმ სეზონში, თასების თასზე, გიამ ცხრაჯერ იმღერა.

პირველად როდის, იცით? 1980 წლის 17 სექტემბერს, როდესაც პოლონეთის ქალაქ გდანსკის პორტში გაფიცვებმა შედეგი გამოიღო და საქვეყნოდ ცნობილი პროფკავშირი „სოლიდარობა" დაფუძნდა. მაგრამ, მაშინ ჩემთვის ეს ამბავი მაინცა და მაინც მნიშვნელოვანი არ იყო. ლეხ ვალენსას შესახებ რასაკვირველია მსმენოდა, ჩემი მშობლები სულ „ამერიკის ხმას" უსმენდნენ, მაგრამ იმ დღეს ჩემი ბავშვობის გენიოსებმა საბერძნეთში „კასტორიასთან" 0:0 ითამაშეს და... ბოდიში, „სოლიდარობავ"!

მეორედ, გიამ 1 ოქტომბერს იმღერა, როდესაც ლონდონში „ასოშიეთიდ ნიუსპეიპარსმა" გამოაცხადა, რომ დაიხურა გაზეთი „ივნინგ ნიუსი" და ის „ივნინგ სტანდარტს" შეუერთდა. აუფ, როგორ არ მადარდებდა ეს ამბავი. საერთოდ, ახლა გავიგე. ანდა, რა დროს „ივნინგ ნიუსი" იყო, როდესაც იმ დღეს თბილისში „კასტორია" ჩამოვიდა, 0:2 წააგო და წავიდა. მე, რასაკვირველია, სტადიონზე ვიყავი.

შემდეგი თამაში კი იყო 22 ოქტომბერს, როდესაც ლონდონში, „თომპსონ კორპორეიშენმა" განაცხადა, თუ მყიდველი არ გამოჩნდება, 1788 წლიდან გამომავალ „თაიმზს" დავხურავო. ჩემი ბავშვობის ფერმწერებმა ირლანდიაში „უოტერფორდს" 5:0 მოუგეს. „თაიმზი" არა, ის.

5 ნოემბერს, ეს „უოტერფორდი" თბილისში ჩამოვიდა. ალბათ, თეთრი სეტერის ამბავი არ იცოდა, თორემ რა ჩამოიყვანდა. მიიღო კიდეც 4:0. და იმ დღეს, — თუმცა მთლად იმ დღეს არა, უფრო მაშინ, როდესაც ატლანტის ოკეანის გადაღმა 4 ნოემბერი იდგა, — აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში, თეთრ სახლში, ოვალური კაბინეტი რონალდ რეიგანმა დაიკავა. წითელ იმპერიის მეკუბოვე ცეხში შევიდა!

შემდეგ იყო 1981 წლის 4 მარტი. ჩემი ბავშვობის მხატვრებმა ლონდონში „ვესტ ჰემს" 4:1 მოუგეს. იმ დღეს მსოფლიოში ყურადსაღები არაფერი მომხდარა. ამაზე მნიშვნელოვანი რაღა უნდა მომხდარიყო.

18 მარტი. მართალია, „ვესტ ჰემმა" თბილისში 1:0 მოგვიგო, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. არც მსოფლიოში მომხდარა რამე.

8 აპრილს „ფეიენოორდი" ჩამოვიდა: 3:0! მსოფლიო კვლავ დუმდა.

22 აპრილს „ფეიენოორდმა" ფეხბურთითა და თაღლითი მსაჯით სცადა ჩემი ბავშვობის დასამარება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — 2:0 არ ეყო. მსოფლიო ისევ დუმილით დასცქეროდა ამ ამბავს.

და აი, ბოლოს მოახლოვდა 13 მაისი.

მე და გიამ გიტარაზე დაკვრა აღარ ვიკმარეთ. გია სამხატვრო აკადემიაში აბარებდა და რამდენიმე დღით ადრე ჩემთან სახლში, მამაჩემის პერანგის ჩამონაჭერზე დიდი თასების თასი დახატა. მაგრა გამოუვიდა. პლაკატი აქეთ-იქიდან ტარზე მივამაგრეთ და 8 მაისს, „დნეპრთან" შეხვედრაზე წავიღეთ. ეს იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბოლო მატჩი დიუსელდორფში გამგზავრების წინ. ჩვენებმა 4:0 მოიგეს, მე და გიას კი ვიღაც „ვზროსლებმა" (მაშინ ასე ვეძახდით) პლაკატი გამოგვართვეს და დაიფიცეს, თასს რომ ავიღებთ, აი, აქ, ამ ადგილას მოგიტანთო — ჩრდილოეთის ტაბლოსთან, რამდენიმე რიგით დაბლა.

ხანდახან, ახლაც ავდივარ ხოლმე იმ ადგილას. ვიცი, რომ არ მომიტანენ, მაგრამ...

და 13 მაისს, ჩემი ბავშვობის გენიოსებმა „კარლ ცაისს" 2:1 მოუგეს.

იმ დღეს, მეჰმეთ ალი აგჯამ რომის პაპის იოანე პავლე მეორის მოკვლა სცადა.

არაფერი გამოუვიდა.

# სამხედრო სალამი მოსკოვში


ალექსანდრე ჩივაძე „შერემეტიევოს" აეროპორტში

მაშინ ხომ სსრკ-დან უცხოური რეისები უმეტესად მოსკოვიდან სრულდებოდა. „დინამოც" თბილისიდან დიუსელდორფში მოსკოვის გავლით გაემგზავრა და უკანაც იგივე მარშრუტით დაბრუნდა.

გერმანიიდან გუნდის თვითმფრინავი „შერემეტიევოს" აეროპორტში დაეშვა. ცხადია, ტრიუმფატორებს პირველები მესაზღვრეები შეხვდნენ, თუმც ეს უფრო საზეიმო დახვედრა იყო. მოსაცდელ დარბაზში ფეხი არ ჰქონდათ შედგმული, რომ საბჭოთა ჯარისკაცებმა ჩვენებს სამხედრო სალამი მისცეს და ხალხიც აიყოლიეს. ამაღელვებელი დახვედრა გამოუვიდათ. მებაჟეები, მესაზღვრეები, მილიციელები, აეროპორტის თანამშრომლები, მგზავრები - გაუთავებელი ტაში და შეძახილები ესმოდათ.

„ამ ამბავს რომ ვყვები, ახლაც ტანში მაჟრიალებს", - ამბობს ნუკრი კაკილაშვილი, რომელიც მაშინ 20 წლის იყო.

არანაირი შემოწმება, არანაირი ბარგის ჩხრეკა - გარეთ გუნდს უკვე მოსკოველი ქართველები დახვდნენ და „დომოდედოვოს" აეროპორტამდე, საიდანაც თბილისის რეისი სრულდებოდა, უკვე მათ მიაცილეს.


ქვეყნდება პირველად...
დინამოელებს მოსკოვში დიდი დახვედრა მოუწყვეს

# ყველაფერი მინახავს, მაგრამ ასეთი უსამართლობა არასოდეს

1/2 ფინალი. პირველი მატჩი
8 აპრილი, 1981. თბილისი. „დინამო". 80 000 მაყურებელი
„დინამო" 3:0 „ფეიენოორდი" (ჰოლანდია)
1:0 სულაქველიძე (24), 2:0 გუცაევი (30), 3:0 სულაქველიძე (51)
„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე (ხიზანიშვილი 61), გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ყვანია 65)
მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი
„ფეიენოორდი": პილე, ნილსენი, ტროოსტი (ბრარდი 76), სტაფლიუ, ვეინსტეკერსი, ბოუენსი, ვერმაელენი, ბუდინგი, ნოტენი, პეტერსონი (დე ლეუვი 55), ვან დეინსენი
მწვრთნელი: ვაცლავ იეჟეკი
გაფრთხილება: სტაფლიუ
მსაჯი: ერიკ ფრედრიკსონი (შვედეთი)

1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი
22 აპრილი, 1981. როტერდამი. „დე კუიპი". 35 000 მაყურებელი
„ფეიენოორდი" 2:0 „დინამო"
1:0 ბოუენსი (43), 2:0 ნოტენი (57 პენ)
„ფეიენოორდი": ვან ენგელენი, ნილსენი (დე ლეუვი 67), ბრარდი, ბუდინგი (პეტერსონი 80), ვეინსტეკერსი, ბოუენსი, ვერმაელენი, ვან ტიპი, ნოტენი, პეტერსი, ვან დეინსენი; მწვრთნელი: ვაცლავ იეჟეკი
„დინამო": გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი 75), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია
მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი
გაფრთხილება: ხინჩაგაშვილი
მსაჯი: ფრანც ვიორერი (ავსტრია)



„დინამო"-„ფეიენოორდი" 3:0. ფინალის საგზური ჩვენებმა თბილისშივე გაინაღდეს



თამაზ კოსტავამ ნიდერლანდელ მცველებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა



სოლომონ
ბულისაშვილი
სარბიელი

ნახევარფინალში კიდევ ერთხელ კარგად გამოჩნდა, რამდენი სუბიექტური დაბრკოლების გადალახვა უწევდათ დინამოელებს წარმატების მისაღწევად, რაც მათ გამარჯვებას ერთი-ორად დასაფასებელს ხდის.

არახალია, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მოსკოვის წარმომადგენლებისთვის რომ გვჯობნა, მხოლოდ ოსტატობა არ კმაროდა. გაცილებით ძლიერი უნდა ყოფილიყავი და ესეც არ გაძლევდა ტიტულის გარანტიას.

თუნდაც 1953 წელი გავიხსენოთ, როცა უკვე ჩემპიონ „დინამოს" რაღაც აბსურდული მიზეზით გადაათამაშებინეს მატჩი და პირველ ადგილზე მოსკოვის „სპარტაკი" გაიყვანეს.

ეს ერთი. მეორე ის არის, რომ ცივილიზებულ დასავლეთს მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა სოციალისტური ქვეყნები, მათთვის ხომ საბჭოთა კავშირი რუსეთი იყო, ვინ იცოდა მაშინ საქართველო, უკრაინა თუ ბელარუსი. ყველას რუსებად აღგვიქვამდნენ. ცხადია, „დინამოც" მათთვის რუსული გუნდი იყო. ამიტომ, დამოკიდებულებაც შესაბამისი გახლდათ.

აბა, რა შეიძლება დავარქვათ იმ უმსგავსობას, რაც საპასუხო მატჩში „ფეიენოორდის" სტადიონზე მოხდა და რეები ჩაიდინა მაშინ ავსტრიელმა არბიტრმა, ფრანც ვიორერმა...

მაგრამ მივყვეთ თავიდან. „ვესტ ჰემისგან" განსხვავებით, „ფეიენოორდი" გაცილებით ტიტულიანი კლუბი გახლდათ: ჩემპიონთა, საკონტინენტთაშორისო და უეფას თასების მომგები.

მწვრთნელიც სახელიანი ჰყავდათ - ვაცლავ იეჟეკი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში კარგი მუშაობითაც გვახსოვს. მისთვის „ვესტ ჰემი" – „დინამოს" ლონდონური მატჩის ვიდეოჩანაწერი უჩვენებიათ და თბილისელთა თამაშის მნახველი კარგ ხასიათზე ნამდვილად არ დამდგარა. მაგრამ ფირს ბოლომდე არ ენდო და მარტის ბოლოს ჩვენს დედაქალაქს ესტუმრა, საკავშირო ჩემპიონატის მატჩს დაესწრო „დინამოსა" და მაშინდელი ლენინგრადის „ზენიტს" შორის.

მატჩის შემდეგ იეჟეკმა პროგნოზებისგან თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ იმედიანად იყო განწყობილი.

ვალში არც ჩვენიანები დარჩენილან. დინამოელთა მთავარი (მაშინ უფროსს ეძახდნენ) მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი ჰოლანდიაში გაემგზავრა და „ფეიენოორდი" - პსვ-ს შეხვედრას დაესწრო. მერე ჟურნალისტებს უთხრა: გამოცდილი, თანამედროვე მანერით მოთამაშე გუნდია, ძნელი ბრძოლა გველისო.

მატჩის წინ დინამოელებს მცირე პრობლემები შეექმნათ ძირითადი შემადგენლობის მხრივ. შენგელიას საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ორ მატჩში არ ეთამაშა, ხინჩაგაშვილს - სამში. დარასელიას და ხიზანიშვილს კი მოსკოვის „დინამოსთან" 4 აპრილის შეხვედრის შემდეგ აღარ ევარჯიშათ („ფეიენოორდთან" მატჩი 8 აპრილს გაიმართა).

თამაშს გდრ-ის ტელევიზიაც იღებდა. მეორე ნახევარფინალში ხომ იქაური „კარლ ცაისი" პორტუგალიურ „ბენფიკას" ხვდებოდა, გერმანელები კი, მოგეხსენებათ, თადარიგიანი ხალხია.

რაც შეეხება თამაშს, ის დინამოელთა სრული უპირატესობით წარიმართა დაახლოებით 70 წუთის განმავლობაში, ბოლოსკენ კი ჰოლანიელებმა იძალეს და ცოტა დააკლდათ გასატანად. ასე ვთქვათ: დინამოელებმა ჰოლანდიელები მათივე გამოგონილი ტოტალური ფეხბურთით დაამარცხეს. დროის უმეტეს ნაწილს მასპინძლები ექვსი, შვიდი, ზოგჯერ რვა ფეხბურთელითაც უტევდნენ. ხოლო როცა ვითარება მოითხოვდა, იგივენი წარმატებით ირჯებოდნენ დაცვაში.

საბოლოოდ - 3:0. დუბლი მიითვალა სულაქველიძემ, ერთიც გუცაევმა შეაგდო. შეუდარებელი იყო ყიფიანი.

აი, ბოლო წუთებში კი დინამოელები თითქოს მოდუნდნენ. მაშინდელი ფეხბურთზე მწერლები ამის რამდენიმე მიზეზს ასახელებენ. ერთს - გადატვირთულ გრაფიკს. ორ კვირაში დინამოელებმა ხუთი მატჩი ჩაატრეს. მეორეს - ტრავმაგადატანილი მოთამაშეების უკმარ მზადყოფნას.

ჩვენიანები ბოლოსკენ ორჯერ გადარჩნენ, ერთხელ წვეროსანმა ნოტენმა მოარტყა ბურთი ძელს, შემდეგ კი გაბელიამ იყოჩაღა.

„ვიცოდი როგორი ოსტატები იყვნენ ყიფიანი, ჩივაძე, გუცაევი და მათი თანაგუნდელები. ახლა ეს ჩემმა ფეხბურთელებმაც ნახეს. თუმცა, ფინალში გასვლის იმედს არ ვკარგავთ," - განაცხადა შემდეგ იეჟეკმა.

მაგრამ მანამდე ორიოდ სიტყვა დახვედრაზეც ვთქვათ. ჰოლანდიელებს ჩვენებურები ცუდად არ მიუღიათ, ერთ-ერთმა არხმა ოთხსაათიანი გადაცემა მიუძღვნა საქართველოს, ტექსელის აჯანყებას. ამ დღესვე საზეიმოდ გაიხსნა ტექსელში „ქართველთა აჯანყების მუზეუმი."

უნდა გაგვეძლო და გავძელით.

მასპინძლებმა თავიდანვე ხისტ, ჯარიმის ზღვარზე თამაშს მიმართეს, მაგრამ დინამოელები ამისათვის მზად იყვნენ. თბილისელთა არჩეული ტაქტიკა დაცვაში მკაცრ, საიმედო და გუნდურ თამაშს ითვალისწინებდა. თანაც სწრაფი კონტრშეტევები უნდა მოგვეხერხებინა.

აი, ავსტრიელი მსაჯი, ვიორერი კი „სასწაულებს" სჩადიოდა. ჩვენ გოლებს არ გვითვლიდა და პენალტებს არ გვინიშნავდა, მასპინძელთა უხეშობას კი „ვერ ამჩნევდა" და ყველაფრის უფლებას აძლევდა.

აი, ასეთ პირობებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა დინამოელთა სიმტკიცე და ოსტატობა. ყოველგვარი პანიკისა და ფუსფუსის გარეშე მიიყვანეს მატჩი სასურველ შედეგამდე. უკვე იცოდნენ, რომ მათი შემჩერებელი არავინ იყო.

მოკლედ, ჰოლანდიური ბარიერი დაძლეული იყო. წინ მთავარი მატჩი გველოდა: 13 მაისს, ფინალი, დასავლეთგერმანულ დიუსელდორფში, აღმოსავლეთგერმანულ „კარლ ცაისთან".



„ფეიენოორდთან" მატჩს „დინამოს" სტადიონზე 80 000 მაყურებელი დაესწრო

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ვიორერულები...

„მახსოვს, თამაში რომ დამთავრდა, ვცდილობდი გონებაში ორთაბრძოლის პერიპეტიები აღმედგინა, მაგრამ დაძაბულობისგან გამოფიტულს, თითქმის აღაფერი მახსოვდა. მხოლოდ მეორე დღეს დალაგდა ყველაფერი თავის ადგილზე. ქართველი ფეხბურთელების მიერ გატანილი სამი გოლიდან პირველი და მესამე იოტისოდენა ეჭვსაც არ იწვევდა.

არც ორი ნაღდი პენალტი დავივიწყოთ.

ასეთი ტენდენციური მსაჯობა არც მინახავს და არც გამიგონია.

მივხვდი, საშველი მარტო დროში იყო!" - იხსენებს გურამ ფანჯიკიძე როტერდამულ მატჩს თავის წიგნში „დინამო," „დინამო," „დინამო!"

ზოგადად როგორ არის ხოლმე: წლების გასვლის შემდეგ მატჩის პერიპეტიების დიდი ნაწილი გვავიწყდება და გონებას თითო-ოროლა გამორჩეული ფრაგმენტი რჩება. როგორც წესი, ყველზე დასამახსოვრებელი - გოლებია. „ფეიენოორდი" „დინამოს" მთავარი დამახასიათებელი ნიშანი კი არა გოლები, არამედ მსაჯის უსინდისობები გახდა.


1973 წლის 28 ნოემბერი. თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. „დინამო"-"ტოტენჰემი" 1:1. ფრანც ვიორერი მურთაზ ხურცილავასა და მარტინ პიტერს შორის

არადა, ფრანც ვიორერი დაბალი კვალიფიკაციის არბიტრი ნამდვილად არ ყოფილა. მერე, 1986-ში, ამავე ტურნირის ფინალი იმსაჯა, რომლშიც კიევის „დინამომ" მადრიდის „ატლეტიკო" 3:0 დაამარცხა. მსაჯობდა ესპანეთის 1982 წლის მუნდიალზე. მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების შესარჩევებზე აღარაფერს ვამბობთ. მოკლედ, საკმაოდ მოთხოვნადი არბიტრი გახლდათ. პენსიაზე 1987 წელს გავიდა. ახლა 81 წლისაა და ვენაში ცხოვრობს.

სხვათა შორის, ვიორერს იმ როტერდამული მატჩის გარდა, დინამოს კიდევ ორი შეხვედრა აქვს ნამსაჯი. პირველად თბილისში, როდესაც 1973 წელს უეფას თასზე „ტოტენჰემს" შევხვდით და 1:1 ვითამაშეთ. მეორედ კი მილანში გადავეყარეთ, როდესაც 1977 წელს, დინამომ უეფას თასზე სან სიროზე „ინტერს" ყიფიანის გოლით მოუგო.

# ლურჯი აპრილი



გიორგი დარჯანია
სარბიელი

*რას ამბობ, უკვე 40 წელი გავიდა?! - ასეთი იყო დავით აბესაძის პირველი რეაქცია, როდესაც დავურეკე და როტერდამული თამაშის გახსენება ვთხოვე.*

*ლეგენდარული „ცისფერი ტრიოს" პირველი ხმა იმ ოცამდე ქართველს შორის იყო, ვინც უმძიმეს მატჩს თვალს ტრიბუნიდან ადევნებდა და იმ რამდენიმე ქართველს შორის, ვინც ნამატჩევს გასახდელში ჩავიდა.*

*ეს ფაქტი, დავით აბესაძის მოგონებებს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად აქცევს...*

რაღაც შეხვედრაზე ვიყავით. მთავრობის რომელიღაც წევრმა გვკითხა, როტერდამში „დინამოს" თამაშზე ხომ არ წახვალთ, შეგვიძლია გაგიშვათო. თამაზ სეფერთელაძემ კითხვა შეუბრუნა, ფინალზე თუ გაგვიშვებთო. უკვე გავედით ფინალშიო? - გაგვეხუმრნენ და როტერდამში ასე გაგვიშვეს.

ჩვენს გარდა ვინ იყო დელეგაციაში? გავიხსენებ: გიგლა ფირცხალავა, ჯანსულ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, ნანა მჭედლიძე, ალექსანდრე ბასილაია, ალექსანდრე მეტრეველი, კოტე მახარაძე, სოფიკო ჭიაურელი, თენგიზ ჩანტლაძე, მორის ფოცხიშვილი...

გუნდთან ერთად ვიმგზავრეთ: თბილისიდან ჯერ ვარშავაში გავფრინდით, იქიდან - ამსტერდამში. როტერდამში უკვე მანქანით ჩავედით. თვითმფრინავში, სადილის შემდეგ, ვიტალი დარასელია ცუდად გახდა, რაღაცამ აწყინა. „დინამოს" ექიმს, ზაქრო თელიას სასწრაფოდ ჩარევა მოუხდა.

ცხადია, ფეხბურთელებს ვაკვირდებოდი. ყველანი მშვიდად იყვნენ. რაიმე განსაკუთრებული მღელვარება არ ეტყობოდათ. ერთადერთი, ოთარ გაბელია მომეჩვენა უფრო მეტად ჩაფიქრებული.






ბილეთები სასტუმროში მოგვიტანეს. მახსოვს, ფერადი ბილეთები იყო. ძალიან ძვირი იყო, მგონი 17 დოლარი ღირდა, რაც იმ დროისთვის სოლიდური თანხა იყო. თუმცა ჩვენ ბილეთები გვაჩუქეს.

ტრიბუნებზე სასწაული ხდებოდა. ლუდის ქილებს ისროდნენ. ოღონდ იმასაც ვერ ვიტყვი, რომ მაინცდამაინც ჩვენ გვიმიზნებდნენ. მაინც ფრთხილად ვიყავით. თენგიზ ჩანტლაძემ იხუმრა, პირველი მოხვედრაა ძნელი, მერე შევეჩვევითო.

როგორი თამაში იყო და როგორი მსაჯობა, აღარ მოვყვები, ისედაც ყველამ ვიცით. მსგავსი არსად არაფერი გვინახავს. პირადად მე ბოლო 20 წუთი საათს ვუყურებდი, ერთი სული მქონდა, ეს საშინელება მალე დასრულებულიყო. ამიტომ თამაშის ბოლო წუთები საერთოდ აღარ მახსოვს.

შოთა ხინჩაგაშვილს სახეში საშინლად ჩაარტყეს. იმ ადგილიდან ახლოს ვისხედით და ეპიზოდი ძალიან კარგად დავინახე. თამაშის მერე გასახდელში რომ ვნახე, თვალი საერთოდ აღარ უჩანდა.

თამაშის მერე ჩვენი კარი საითაც იყო, იმ ტრიბუნის მხარეს, ხალხი მოაწვა. ჯებირი მოტყდა და ვილაცები გადმოცვივდნენ. თუმცა, როგორც ვიცი, სერიოზულად არავინ დაშავებულა. ისე კი, ბოლოს „დინამოს" ტაშიც დაუკრეს.

გასახდელში ყიფიანმა ჩაილაპარაკა, ბუცებზე ბრიტვები ხომ არ ჰქონდათ მიმაგრებულიო. გეტრები რომ ჩაიწია, ფეხები სულ დასერილი ჰქონდა.

დარასელია საშხაპიდან გამოვიდა პირსახოცშემოხვეული. ბიჭები სათითაოდ მიადგნენ და მადლობა ვიტალიო, ეუბნებოდნენ. ყიფიანს ვკითხე, რისთვის უხდით მადლობას მეთქი. მიპასუხა, თუ დააკვირდი, მოედანზე სადაც გვიჭირდა, იმ წამს იქ ჩნდებოდა, ვერ წარმოიდგენ, რამხელა შვება იყოო.

გასახდელში მრავალჟამიერი ვიმღერეთ. სამი კაცის ნამღერი მრავალჟამიერი რა იქნებოდა და ალექსანდრე ბასილაია შემოგვეშველა.

იმ თამაშის მერე გუნდს აღარ გავყოლივარ. ამდენი ნერვიულობა არ შემეძლო. საშინელი გრძნობაა, აქეთ 20 შენიანი და იქით - მთელი სტადიონი...




**„დინამოს" საფეხბურთო სკოლა აცხადებს 6-დან 12 წლამდე (2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014 და 2015 წლებში დაბადებული) ასაკობრივ გუნდებში ბავშვების მიღებას. ვარჯიშებზე გათვალისწინებულია ჯანმრთელობის სამინისტროს რეკომენდაციები და წერთნა რეგულაციების დაცვით მიმდინარეობს.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ტელ: +995 577 670725**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ სვანაძე

7

# ქუთაისი-თბილისი: სვანაძის ზღაპარი



გიორგი ნოზაძე
სარბიელი

ზაურ სვანაძე ფეხბურთელთა იმ კატეგორიიდანაა, მოედანზე მისი არყოფნ აძალიან რომ ჩანს - შემთხვევით ხომ არ იყო, რომ 21 წლის ასაკში უკვე ლეგენდარულ „დინამოში" უხმეს:

**- ბატონო ზაურ, ვერაფრით გავიხსენე სხვა ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც თბილისის „დინამოში" გადასვლაზე უარი თქვა...**

- ისე მოხდა, რომ 1979 წლის ბოლოს დამიძახეს თბილისში. ნოდარ ახალკაცი მივლინებაში იყო. ბაზაზე კახი ასათიანი და გივი ნოდია დამხვდნენ. „დინამოში" გადასვლა შემომთავაზეს, მაგრამ ვიუარე და ახლაც ვთვლი, რომ სწორად მოვიქეცი. მაშინ ქუთაისის „ტორპედოში" სტაბილური სათამაშო პრაქტიკა მქონდა, „დინამოში" კი უშანსოდ ვიყავი. ჩემს პოზიციაზე ხან დარასელია თამაშობდა და ხან ჭილაია. ვუთხარი, ერთი წელიც მომეცით, რომ ცოტა მოვმაგრდე და თუ მერე საჭიროდ ჩათვლით, სიამოვნებით წამოვალ მეთქი. შევატყე, კახი ასათიანს ცოტა ეწყინა და ვიფიქრე, აღარასოდეს დამიძახებდნენ.

**- დაგიძახეს და მერე რა დროს - პირველი ოფიციალური შეხვედრა, მერე ვისთან და მერე სად...**

- ეგ ყველაფერი ზღაპარს ჰგავდა. „დინამოში" 1980 წლის 21 დეკემბერს გადმოვედი, რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა მოვასწარი და ერთბაშად „ვესტ ჰემთან" შემიშვეს მოედანზე.

**- ბევრი ფეხბურთელისგან მსმენია, ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მატჩის წინ მუხლები მიკანკალებდაო. „აპტონ პარკზე" სავსე ტრიბუნებმა ხომ არ შეგაშინათ?**

- სიმართლე გითხრათ, ვერც მოვასწარი შეშინება. ნოდარ ახალკაცი დიდ მწვრთნელთან ერთად დიდი ფსიქოლოგიც იყო. თამაშის წინა დღით რომ ეთქვა, ძირითადში ხარო, ღამე რა დამაძინებდა?! თამაშამდე 10 წუთით ადრე მითხრა გასახდელში, მოედანზე გადიხარო. მერე კი მოხდა ის, რაც მოხდა და უბედნიერესი დებიუტი მქონდა.

**- მაშინ „დინამოში" ბევრმა ქუთაისელმა მოიყარა თავი: კოსტავა, სულაქველიძე, შენგელია... ალბათ, ამასაც ჰქონდა, მნიშვნელობა.**

- ბუნებრივია, ამან გამიადვილა ადაპტაცია, მაგრამ ზოგადად გუნდი იყო ძალიან მეგობრული. ერთ ოჯახად აღვიქვამდით თავს.

**- მოდით პირდაპირ ფინალზე გადავიდეთ. რა განწყობით გახვედით „რაინშტადიონზე"?**

- გაგიკვირდებათ და ნერვიულობის მისხალიც კი არ იყო. ჩვეულებრივი საბრძოლო განწყობით გავედით მოედანზე. გამარჯვებაში ეჭვი მაშინაც არ შეგვპარვია, როცა ანგარიშში ჩამოვრჩით. საფინალო სასტვენის შემდეგ კი უბრალოდ ზღაპარი იყო.

**- ზღაპარი მთელ საქართველოში იყო, მაგრამ გასახდელში თასების თასში ჩასხმული შამპანური თუ იყო?**

- იყო, იყო! რა თქმა უნდა, იყო. ბოლომდე ჯერ ვერც აღვიქვამდით იმ დღის მნიშვნელობას, მაგრამ სასწაული ეიფორია იყო.

**- მერე თბილისის აეროპორტი იყო, სადაც ასფალტზე ფეხი არ დაგადგმევინეს.**

- რაღაც უცნაური შეგრძნება იყო. რამდენიმე თვეში იმხელა გზის გავლა მომიხდა, წარმოდგენაც ძნელია. სხვა დინამოელებს უზარმაზარი გამოცდილება და ტიტულები უმაგრებდათ ზურგს და 23 წლის ქუთაისელ ბიჭს რა დამემართებოდა?

**- ინერციით მეორე წელსაც გახვედით თასების თასის ნახევარფინალში, მაგრამ „სტანდარტთან დამარცხდით. რა დაემართა „დინამოს"?**

- ვერ ვიტყვი, რომ ეს ვარსკვლავური დაავადება და თავში ავარდნა იყო. უბრალოდ, ერთბაშად მოინდომეს გუნდის გაახალგაზრდავება. უნიჭიერესი თაობა მოდიოდა, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო გეგმაზომიერად აჯობებდა გადახალისება.

**- თუ რამეზე დაგწყდათ იმ სეზონში გული?**

- შოთა ხინჩაგაშვილზე! უმაგრესი მცველი იყო. საბჭოთა კავშირშიც ბევრი რომ ვერ შეედრებოდა, ისეთი და თუ გუნდი ფინალში გავიდა, მისი დიდი წვლილიც იყო. დიუსელდორფში უნდა წამოეყვანათ, მან კი ფინალი ტელევიზორში ნახა.

**- ნოდარ ახალკაცის სიმკაცრე?**

- როგორ გითხრათ, ახალკაცი მკაცრიც იყო და სამართლიანიც. ხანდახან ერთი ალემატებოდა მეორეს. ვერ განსჯი. რომ განსაჯო, მისი მასშტაბის ფიგურა უნდა იყო.

## ვეტერანის ტვირთი

როცა „დინამოში" პირველ სეზონებს ატარებდა, ზაურ სვანაძე ერთი თითქოს უჩინარი, მაგრამ უაღრესად საჭირო ფეხბურთელი იყო, რომელიც ვარსკვლავი თანაგუნდელებისთვის შავი სამუშაოს შესრულებას არ ერიდებოდა. მერე გუნდში ერთბაშად დაიწყო გაახალგაზრდავების პროცესი და თითქოს გუშინდელი ახალწვეული ერთ-ერთ ვეტერანად იქცა.





40 წლის შემდეგ...

დინამო თბილისის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი

მაშინ სულ რაღაც 25-26 წლის იყო. იტვირთა ერთ-ერთი ლიდერის როლი და „დინამოში" სულ ბოლო მატჩის ჩათვლით საიმედოობის განსახიერება იყო. ეგ კი არა, გოლძვირი სვანაძის შესრულებული დუბლიც გვახსოვს, ეს ხარკოვის „მეტალისტთან" მოხდა. გუნდიდან მაშინ წავიდა, როცა საკუთარი მისია ამოწურულად ჩათვალა, მერე კი, წლების შემდეგ „დინამოსვე" მწვრთნელის ამ პლუაში დაუბრუნდა. თუმცა, ეს უკვე სხვა ისტორიაა..




betlive.com

ეროვნული ბიბლიოთეკა








დაასკანერეთ QR კოდი თქვენი სმარტფონით

დინამო თბილისის აკადემია

www.sarbieli.com

# ეს დინამოს აკადემიაა

## ლევან გვანცელაძე: აქ არა მხოლოდ დინამოსთვის, მთლიანად საქართველოსთვის იზრდებიან

დიღმის მასივში, ლუბლიანას ქუჩის ბოლოს არის ადგილი, სადაც ისეთი საფეხბურთო აჟიოტაჟია, თბილისში სხვაგან რომ ვერ ნახავ. ამ ტერიტორიაზე ვარჯიშობდნენ, გოლები გაჰქონდათ, მაგარ პასებს აკეთებდნენ და ფინტაობდნენ ბიჭები, რომლებიც დღეს საქართველოს ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები არიან. ხვიჩა კვარაცხელია, გიორგი ჩაკვეტაძე და კიდევ ბევრი.

ეს ვიტალი დარასელიას სახელობის თბილისის „დინამოს" აკადემიაა. დარასელიას სახელს კი ცუდი აკადემია არ ეკადრება... „დინამოს" პრეზიდენტმა რომან ფიფიამ გახსნაც კარგი ჩაატარა: აი, იმ პორტუგალიელმა გახსნა, თვითონ ფეხბურთის მეფე პელემ რომ მიულოცა გოლებში აბსოლუტური რეკორდი. ფოტოც არის, რონალდუ აკადემიის გახსნისას, იქვეა ანდრეი შევჩენკო და ჯერ კიდევ ბავშვი ჩაკვეტაძე.

„დინამოს" აკადემიაზე ბევრია საწერ-სალაპარაკო. აკადემიის დირექტორი ლევან გვანცელაძე გვიყვება:

- 6 მაღალი ხარისხის ხელოვნურსაფარიანი მოედანია. 2 სტანდარტული, 2 საშუალო და 2 მინი. რა თქმა უნდა, გვაქვს სატრენაჟორო დარბაზები. დიდი ყურადღება ექცევა სწორ კვებას, რაციონს. ყველაფერი გაწერილია, რათა ფეხბურთელმა სწორად იკვებოს. ამასთან, ძილის რეჟიმს დიდი მნიშვნელობა აქვს. აკადემიაში 17 ფეხბურთელი ცხოვრობს, მათგან ყველაზე უფროსი 2004 წელს არის დაბადებული. საუბარია რაიონიდან ჩამოსულ ბიჭებზე, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როცა აქ თბილისელებიც ცხოვრობდნენ. მათ შორის, ჩაკვეტაძე და კვარაცხელიაც. რატომ? ჩაკვეტაძე ქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობდა და ყოველდღიურად მგზავრობა უჭირდა. აკადემიაში მცხოვრებ დინამოელებს ინდივიდუალური ვარჯიშებიც უტარდებათ.

...მთლიანობაში, ამჟამად 70 კონტრაქტიანი ფეხბურთელი გვყავს. ჩვენი სისტემა აგებულია ეტაპობრივად, 6 წლის ასაკიდან გვყავს გუნდები. ასევე, ფასიანი სკოლაც. თუ სკოლაში ფეხბურთელი თავს გამოიჩენს, აკადემიის კარი ღია აქვს. ანუ, კონკურენციაა. თითოეულ ასაკში ერთი წლით უმცროსები გამოგვყავს, თუმცა ამას დოზირებულად ვაკეთებთ, რათა არ მოხდეს მათი გადაწვა. ამაზე უკვე მწვრთნელები უშუალოდ მუშაობენ. ჩვენი აკადემიის მთავარი მწვრთნელი კვალიფიცირებული გიორგი ტულუშია.

...ბატონი რომან ფიფია თავის ოჯახად თვლის „დინამოს" და ასეც არის. ყურადღებასა და თანადგომას სულ ვგრძნობთ. შარშანაც, პანდემიის დროს აქ არაფერი ჩამკვდარა და ფინანსური მდგომარეობაც იგივე დარჩა.

...„დინამოს" აკადემია გამორჩეულია იმ კუთხით, რომ პირველ გუნდს სისტემატურად აწვდის ფეხბურთელებს და თავადაც იცით, ეს როგორ ამართლებს. საქართველოს ნაკრებებში დინამოელების რიცხვი წლიდან წლამდე იზრდებოდა, ეგაა, შარშან პანდემიის გამო 17 და 19-წლამდელთა ჩემპიონატის ელიტ-რაუნდები არ ჩატარებულა. 2017 წელს „დინამოს" აკადემიის 62 ფეხბურთელი იყო სხვადასხვა ნაკრებში, 2018 წელს უკვე 73, ხოლო 2019 წელს - 85.

...აკადემიის მთავარი მონაპოვარიც სწორედ ესაა. რომ გადავხედოთ ეროვნულ ნაკრებს, იქ საკმაოდ არიან ჩვენი აკადემიაგამოვლილი ფეხბურთელები. ეს კი, ვფიქრობთ, პატარა საქმე არაა.

...როგორც იცით, წლეულს „დინამოს" მთავარ გუნდში ფეხი მოიკიდეს და ეროვნულ ლიგაში თამაშობენ ნახევარმცველი ლუკა გაგნიძე და მცველი საბა ხვადაგიანი. შარშანაც არა ერთი დაწინაურდა, მათ შორის, ანზორ მექვაბიშვილი, რომელიც შარშანვე 21-წლამდელთა ნაკრებში მოხვდა და საკმაო პროგრესი აქვს. უკვე მნიშვნელოვანი ფეხბურთელია გიორგი ნემსაძის გუნდისთვის. აღვნიშნავდი საყრდენ ნოდარ ლომინაძესაც, რომელიც 2002 წელს არის დაბადებული. დიდი იმედები გვაქვს მცველ ზურაბ ერაძის.

...გულდასაწყვეტი მომენტები: არის შემთხვევები, როცა ჭაბუკები გამორჩეულები არიან თავიანთ ასაკში, მერე კი კონკურენციაში იჩაგრებიან, რაღაც აკლდებათ და ვანათხოვრებთ. სხვა კლუბებში კი იმას ვერ უსრულებენ, რასაც „დინამოში" მიჩვეულები იყვნენ. ელემენტარულ პრობლემებს აწყდებიან და ფსიქოლოგიურად ეცემიან. შემდეგ თავს ანებებენ ფეხბურთს. ამ ტენდენციას ვერ ვიცილებთ თავიდან, მაგრამ ეს ფეხბურთის პროცესია და მხოლოდ საქართველოში არ ხდება. სამწუხაროდ, ასეთები გვხვდება.

...სხვადასხვა უცხოურ ტურნირებზე დავდიოდით. დორტმუნდში მოვიგეთ კიდეც 19-წლამდელებში. დორტმუნდის ტურნირზე ორჯერ ვიყავით, ერთხელ „ბარსელონაც" დავამარცხეთ. ვილნიუსში ატეიტის თასი, სანკტ-პეტერბურგის ტურნირები და არაერთი სხვა. საკმაოდ წარმომადგენლობით შეჯიბრებებში ვიღებთ მონაწილეობას და მოხარული ვარ, რომ „დინამოს" აკადემიას კარგი სახელი აქვს. თუმცა ამ მოგებებზე მეტად იმას აღვნიშნავდი, რომ ფეხბურთელებმა გამოცდილება მიიღეს.

...რა თქმა უნდა, ერთ-ერთი უმთავრესი პროექტია დარასელიას თასი. მისი ჩატარება. შარშან პანდემიის გამო ვერ მოხერხდა, თუმცა 2016 წლიდან სისტემატურად ვმასპინძლობდით აკადემიის მინდვრებზე და საკმაო პოპულარობაც მოიპოვა. რაში ვჯობდით უცხოელებს და რაში ჩამოვრჩებოდით? უფრო ვჯობდით ინტელექტში, რაც ქართველ ჭაბუკებს სისხლში აქვთ. ზოგიერთმა უცხოურმა კლუბმა მოისურვა კიდეც ჩვენი ჭაბუკები. უარყოფითს რაც შეეხება, გვაკლია საერთაშორისო გამოცდილება. წელიწადში ორიოდე ტურნირი მაინც არაა საკმარისი. ამასთან, ჩვენს ბავშვებსა და ჭაბუკებს შიდა კონკურენცია აკლიათ. ბევრი სუსტი გუნდია და დიდი ანგარიშით სისტემატური მოგება განვითარებას აფერხებს. ვისურვებდი, რომ ქართულმა კლუბებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდულ სექტორს.









...დარასელიას ტურნირზე აქ ითამაშეს „ინტერმა", „ჯენოამ", „ემპოლიმ", „ესპანიოლმა", „ალკმ-აარმა", „ტრაბზონსფორმა", „გენტმა", კიევის „დინამომ" და სხვებმა. დისციპლინის მხრივ კიეველების თამაშს გამოვარჩევდი. ტექნიკური თვალსაზრისით „ესპანიოლის", გუნდური თამაშითა და ტაქტიკით „ალკმაარი" მომეწონა. იტალიელებმა გამაოცეს, 15-16 წლის ბიჭები მსაჯებზე ზემოქმედებდნენ და მახსოვს, „ჯენოას" მოთამაშემ სპეციალურად ჩუმად მაისურა გახია, მსაჯთან მიირბინა და უჩვენა, აი, ნახე, როგორ მეუხეშნენო.

...პირადად ჩემზე ვიტყოდი, რომ 23 წელია, სამწვრთნელო საქმიანობას ვეწევი. მამაჩემის, გურამ გვანცელაძის ასისტენტი ვიყავი თბილისის „მერანი 91"-ში. მერე „მერანი 2"-ს ვწვრთნიდი. 2001 წლიდან „ოლიმპის" სკოლაში ვიყავი, გოჩა ტყებუჩავასა და ნოდარ აკობიას თანაშემწედ ვიმუშავე. მერე „ოლიმპი 2"-ს ვხელმძღვანელობდი. „დინამოს" აკადემიაში 2011 წლიდან ვარ, 14-წლამდელებს ვედექი სათავეში, დირექტორად კი 2018 წლიდან ვმუშაობ.

...„დინამო 2"-ის და ასევე, „დინამოს" 19-წლამდელების გუნდის მწვრთნელები ლადო კაკაშვილი და ვალერი გაგუა კლუბმა პროლიცენზიაზე მიავლინა. „დინამო 2"-მა შარშან რეგიონალლიგიდან დაიწყო და ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა, ანუ ლიგა 4-ში გადაინაცვლა. იქ შეგვეძლება გამოვიყენოთ ფეხბურთელები, რომლებსაც პირველ გუნდში პრაქტიკა ნაკლებად ექნებათ. ორი კაცის დამატების უფლებაა, თუმცა რამდენიმე ახალგაზრდა დაბალ ლიგაში გვყავს დარეგისტრირებული. აქტივობა გვაქვს წიგნის საერთაშორისო დღეზე; ვიღებთ მონაწილეობას სოციალურ პროექტებში, ასევე ხეების დარგვაში და ასე შემდეგ.

...„დინამოს" აკადემიის ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელი? ჩემი აზრით, ჩაკვეტაძე. თუმცა ასევე დავასახელებდი ნინუას, კუციას, კობოურს, ლოჩოშვილს...

# სარბიელი



ქვედა რიგში, მარცხნიდან: ზაურ სვანაძე, თამაზ კოსტავა, რამაზ შენგელია, ნუკრი კაკილაშვილი, ვლადიმერ გუცაევი, გია თავაძე, ვიტალი დარასელია.
ზედა რიგში: ნოდარ ახალკაცი (მთავარი მწვრთნელი). ალექსანდრე ჩივაძე, ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, დავით ყიფიანი, ამირან ანდღულაძე, თენგიზ სულაქველიძე, გიორგი ჭილაია, ვაჟა ჟვანია, კარლო მჭედლიძე, სერგო კუტივაძე (მწვრთნელი), ზაქარია თელია (გუნდის ექიმი)

# ლესელიძეში დაწყებული სიყვარულის ისტორია

*დაბა ლესელიძე. აფხაზეთი. საქართველო.*

*"დინამოს" ბაზა. რესპუბლიკის საუკეთესო გუნდი შეკრებას ტრადიციულად აქ გადის.*

*ბაზის ღობეს კი ადგილობრივი ბავშვები შესევიან. კერპების ვარჯიშს უყურებენ. ცდილობენ, არაფერი გამორჩეთ, ყველაფერი დაიმახსოვრონ და შემდეგ იგივე ფინტების გაკეთებას თავიანთ ეზოებში შეეცადონ.*

*და თუ შემთხვევით, რომელიმე დინამოელის დარტყმული მეტისმეტად ძლიერი გამოდგება და ბურთი ღობეს გადმოაფრინდება... უბრალოდ წარმოუდგენელია, რა შეიძლება იყოს ბავშვისთვის ამაზე დიდი გამართლება და საჩუქარი.*

*ვინ იცის, ბავშვების რამდენი თაობა ყოფილა მიჯაჭვული იმ ღობეს, როდესაც შეკრების გასავლელად ლესელიძეში "დინამო" ჩადიოდა.*

*იმ ბიჭებს შორის იყო რომან ფიფია. ისიც ზუსტად სხვებივით ადევნებდა თვალს დინამოელების ვარჯიშს და სხვებივით ოცნებობდა ბურთის გადმოვარდნას.*

*ბევრი წლის შემდეგ რომან ფიფია "დინამოს" მეპატრონე გახდება...*





ირაკლი ბუხალი

## ის 13 მაისი

13 მაისს, "დინამო" - "კარლ ცაისის" ფინალს ლესელიძეში ოჯახის წევრებთან და მეზობლებთან ერთად ვუყურე. ყველა, დიდი თუ პატარა, ამ მატჩის მოლოდინში იყო და მახსოვს, თითო ტელევიზორის გარშემო ათეულობით ადამიანი იყო შეკრებილი. რა თქმა უნდა, ემოციები და სიხარული განსაკუთრებული და განუმეორებელი იყო. ირგვლივ ყველას უზომოდ უხაროდა.

## ფეხბურთი გაგრაში

იმ პერიოდში პრაქტიკულად არ არსებობდა ბიჭი, რომელიც ფეხბურთელობაზე არ ოცნებობდა. რა თქმა უნდა, ეს დიდწილად იმ დროინდელი "დინამოს" დიდი დამსახურება იყო. ლესელიძის სპორტულ ბაზაზე "დინამოს" ვარჯიშებს არ ვტოვებდი და სულ იმის მოლოდინში ვიყავი, რომ იქნებ ბურთი გარეთ გადმოვარდნილიყო. რა თქმა უნდა, სკოლაშიც სულ ვთამაშობდით.

## საკუთარი კლუბი

ბევრი წლის შემდეგ "დინამო" ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. ამაში დიდი კვალი "სოკოლში" მუშაობის პერიოდმა დატოვა. გუნდმა, არსებობის 60-წლიან ისტორიაში, ჩემი ხელმძღვანელობით, პირველად მოახერხა პრემიერლიგაში დაწინაურება და იქაც ღირსეულად გამოსვლა. ამის მერე იყო, თბილისში მცხოვრებმა ერთმა პიროვნებამ რომ მთხოვა, "დინამოსთვის" შემეხედა, რომელიც მაშინ ფაქტობრივად სულს ღაფავდა. მახსოვს, დილომში რომ მივედით, ბაზაზე შესასვლელი კარი მავთულით იყო შეკრული და გარე ფასადიც, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოდ გამოიყურებოდა. ამ ყველაფრის ნახვამ ჩემზე იმდენად იმოქმედა, რომ დავფიქრდი - რატომ არ მომეკიდა ხელი და გამეკეთებინა რამე იმ გუნდისთვის, რომელსაც ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ.

## კლუბი, როგორც ბიზნესი

კომპანიების მართვის დიდი გამოცდილება მაქვს. განსხვავება ისაა, რომ კომერციულად კლუბის მართვა რთულია, ხშირი ადამიანური ურთიერთობებია საჭირო. საერთოდ, რომ ეცადო და გაიყვანო კლუბი მოგებაზე - ესაა მნიშვნელოვანი და "დინამო" ამას ახლო პერიოდში მიაღწევს. ისე კი ვიტყვი, ძალიან რთულია დღევანდელ ვითარებაში, რომ ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთი ბიზნესი გახდეს.

## შორია ევროპამდე?

ევროპულ ელიტაში შესვლა... გარკვეული (უფრო მეტი) სახსრებია საჭირო, რაც უკვე სამწუხაროდ მეექვსე წელია, თავის ნეგატიურ კვალს ტოვებს. მე ისე ველარ ვაფინანსებ გუნდს, როგორც 5-6 წლის წინ ხდებოდა, მიზეზი კი ყველას მოეხსენება, "აზოტთანაა" დაკავშირებული. ეს უკანონობა და სასამართლოები... ყველას ახსოვს როგორ იყო დაკომპლექტებული გუნდი, მაგრამ იმ პერიოდში იღბალმა შეგვაქცია ზურგი. თუმცა დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი ახლო მომავალში გამოსწორდება. გუნდს ჩვეული ინვესტიციები დაუბრუნდება და უფრო ძლიერი დაბრუნდება ეროვნულ ჩემპიონატსა და ევროპულ ასპარეზზე.

## დინამო და გულშემატკივარი

სამწუხაროდ, ეროვნული ლიგის თამაშებზე დიდი რაოდენობით გულშემატკივრის დასწრებით ვერ დავიკვეხნით, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მნიშვნელოვან მატჩებზე რამდენიმე ათასი გულშემატკივარი მოდის. ყველას მოგეხსენებათ, დედაქალაქში არის ეს პრობლემა. სამაგიეროდ ყველაფერი რადიკალურად იცვლება ევროთასებზე და გეხსომებათ, პლეი ოფის ეტაპებზე "დინამო არენა" ფაქტიურად სავსე გახლდათ. ჩვენს გუნდს ჰყავს ერთგული გულშემატკივარი, ჩვენი ფანები, რომელიც ყველა თამაშზე "დინამოს" გვერდით არიან და გულმხურვალედ გულშემატკივრობენ კლუბს.

## ეროვნული ჩემპიონატი

კარგია, რომ ეროვნული ლიგა ათგუნდიანია. ასევე კარგია, რომ ფედერაცია საფეხბურთო აკადემიებს ხსნის, მაგრამ აუცილებელია ამ საქმეს ყველა კერძო კლუბი აკეთებდეს. ფული იდებოდეს ინფრასტრუქტურაში და ახალი თაობის აღზრდაში. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - ფეხბურთს კარგ საფარზე უნდა ვთამაშობდეთ. ეს უნდა იყოს მთავარი პრინციპი.

## დინამოს აკადემია

ჩვენი აკადემიით ძალიან ვამაყობ და ვფიქრობ, მთელ ქვეყანას შეუძლია ამით იამაყოს. გეტყვით, რომ ჩვენს აკადემიას ევროპული ყველა ტოპ კლუბი უკვე კარგად იცნობს და კარგად იციან მის შესახებ.

დინამო ისეთი გუნდია ჩვენი ქვეყნისთვის, რომლის წარმატებასაც და წარუმატებლობასაც ყველა განიცდის. ისტორიული და ტრადიციული კლუბია, ამიტომ დინამო ყოველთვის არის იქ სადაც მნიშვნელოვანი მომენტია და დინამო გამოხატავს თავის სიტყვას და მხარდაჭერას.

***"დინამო" საზოგადოებრივად აქტიური კლუბია. დინამოელებს ნახავთ ყველგან, სადაც ადამიანები თავისუფლების და ქვეყნის ერთიანობის იდეით იკრიბებიან. დინამოელებს ნახავთ 9 აპრილის მემორიალთან, ნახავთ, როგორ აპროტესტებენ ოკუპაციას... რა გასაკვირია, რომ გაგრაში გაზრდილი კაცისთვის ქვეყნის გაერთიანების იდეა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს.***



„დინამოს" საფეხბურთო სკოლა აცხადებს 6-დან 12 წლამდე (2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2014 და 2015 წლებში დაბადებული) ასაკობრივ გუნდებში ბავშვების მიღებას. ვარჯიშებზე გათვალისწინებულია ჯანმრთელობის სამინისტროს რეკომენდციები და წვრთნა რეგულაციების დაცვით მიმდინარეობს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ტელ: +995 577 670725

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვენ ყველგან ვიყავით საქართველო

ელენე ბილიხოძე
სარბიელი



გაზეთში, რომელიც 40 წლის წინანდელ ამბავს ეძღვნება, ცხადია, სევდიან ამბებს ვერ ავცდებოდით. აღარ არიან დათო ყიფიანი, ვიტალი დარასელია, რამაზ შენგელია, ამირან ანდღულაძე, ნოდარ ახალკაცი...

ეს კი სულ სხვა სევდაა. „დინამოზე" მოგონებებისგახსენებაანზორერქომაიშვილსაც ვთხოვეთ. რა გასაკვირია: დიდი ლოტბარი იმ დიდი დინამოელების მეგობარი იყო და ვინ მოთვლის, დილმის ბაზაზე ვარჯიშით გადაქანცულ ფეხბურთელებსაც რამდენჯერ დაუსვენიათ სწორედ ბატონი ანზორის სიმღერების თანხლებით.

ან გინახავთ ოდესმე ნოდარ ახალკაცის ცრემლი? ალბათ - არა, არადა, სწორედ ანზორ ერქომაიშვილის სიმღერები იყო, „გაუცინარ ხელმწიფეს" თვალზე ცრემლს რომ წამოადენდა.

ანზორ ერქომაიშვილი ამ ინტერვიუს ჩაწერიდამ რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. ამდენად, ეს მონოლოგიც ერთდროულად „დინამოზე" მისი მოგონებებიც არის და თავად მისი მოგონებაც...

1981 წელი. 13 მაისის მატჩი უკვე მოგებულია და ესპანეთში გვაქვს გასტროლები. კონცერტზე სპორტული ჟურნალისტები მოვიდნენ. გავისაუბრეთ, შემდეგ კი ჩვენთან სასტუმროში დავპატიჟეთ და თითო ჭიქა ღვინო დავლიეთ. საუბრისას გაირკვა, რომ ნანახი ჰქონდათ თბილისის „დინამოს" ნახევარფინალური და ფინალური მატჩები - ამბობს ანსამბლ „რუსთავის" ხელმძღვანელი, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ანზორ ერქომაიშვილი და დასძენს, რომ სწორედ ამ ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ ანსამბლ „რუსთავის" წევრებმა პირველებმა შეიტყვეს ლეგენდარული არგენტინელი მწვრთნელის სესარ ლუის მენოტის მოსაზრება: -„თბილისის „დინამო" ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, დავით ყიფიანი და ვლადიმერ გუცაევი მსოფლიო დონის ვარსკვლავები, რაც შეეხება ამ გუნდის მთავარ მწვრთნელს ის უდიდესი ტაქტიკოსია, რომელიც ნებისმიერ კლუბს გამარჯვებამდე მიიყვანსო".

რაც დრო გავა ნოდარ ახლაკაცის სახელი უფრო და უფრო დაფასდება. ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო ნოდართან ერთად გატარებული წლები და მეამაყება, რომ მისი მეგობარი ვიყავი. ის თავის თავზე არასდროს საუბრობდა. იყო საოცარი ტაქტიკოსი და სწორედ ამ ტაქტიკური გათვლებით იყო იმ მწვრთნელთა შორის, რომლებსაც წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ, იმ დროს მეორე ნახევარი მოგებული ჰქონდა.

როდესაც „დინამომ" „ვესტ ჰემს" 4:1 მოუგო, აღფრთოვანებულები ვიყავით ყველანი. ამ გამარჯვებას ინგლისურ პრესაშიც ძალიან დიდი გამოხმაურება მოყვა და როდესაც თბილისში დაბრუნდნენ დურმიშხან ცინცაძემ მითხრა: - წავიდეთ ბაზაზე და ნოდარი ვნახოთო. მის კაბინეტში მატჩის შესახებ ემოციურად ვსაუბრობდით, ეს როგორ მოხდა და ის როგორ იყოო, გაიცინა და გვითხრა - არაფერიც არ მოხდა, რამდენიც დავარტყით იმდენი გავიტანეთო.

მას უნდოდა, მისი ფეხბურთელები დიდი პატრიოტები ყოფილიყვნენ... იმ პერიოდში ჩამომქონდა ბევრი ჩანაწერი უცხოეთიდან, რომლებიც სხვადასხვა არქივებში აღვადგინეთ, მოვიპოვეთ და ამ ისტორიებს დინამოელებთან შეხვედრებისას ხშირად ვყვებოდი, ხოლმე.

რამდენჯერმე ვანო სარაჯიშვილი მოვასმენინე... დიდებული დედას ლევანა, იგივე ლევან ასაბაშვილი... ეს ძალიან დამღლელი ვარჯიშების შემდეგ იყო, მაგრამ ისეთი ანთებული თვალებით მიყურებდნენ, რომ ამაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის არაფერი იყო. ბატონი ნოდარი ამ დროს თავისთვის კუთხეში იჯდა და მის თვალებზე ცრემლი კიაფობდა...

როდესაც მადლობას ვეტყოდი, აქით მაქებდა და დღეს, როდესაც დინამოელებს ვხვდები ამ მომენტებს ყოველთვის სიხარულით ვიხსენებთ.

არასდროს დამავიწყდება 13 მაისის ღამე... მე ასეთი გაბრწყინებული საქართველო არ მინახავს... ყველას ერთმანეთი უყვარდა... თამაშის დასრულების შემდეგ გამოვედით ქუჩაში... „ვოლგით" მივუყვებოდით გზას და თურმე, ჩვენს მანქანაზე დაახლოებით 10 კაცი იყო შემომჯდარი და ასე მივდიოდით რუსთაველზე....

რალაცით ძალიან ჰგავს ჩემს ანსამბლს ის გუნდი, რომლის სახელი თბილისის „დინამოა".

ისიც გუნდია და ესეც. კონცერტის შემდეგ გამარჯვებული, რომ გამოდიხარ და ოვაციით გხვდება სამყარო, ეს სიცოცხლეა და სწორედ ასეთ ოვაციებს იმსახურებდა თბილისის „დინამო" და ანსამბლი „რუსთავი" ყველგან და ყოველთვის.

ჩვენ ყველგან ვიყავით საქართველო და ეს ჩვენი გამარჯვებები იმ საბჭოური წყობის ქართული მოძახილი იყო.

# დინამო და სხვები

ირაკლი ბუხალი
სარბიელი

**1980 წელს დაწყებულ ევროსეზონში „დინამო" თბილისის გარდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდანმონაწილეობამოსკოვის „სპარტაკმა", მოსკოვის „დინამომ", კიევის „დინამომ" და დონეცკის „შახტიორმა" მიიღეს. ვნახოთ რა შედეგი აჩვენა თითოეულმა გუნდმა იმ გათამაშებაში.**

1979 წლის ჩემპიონატის გამარჯვებული მოსკოვის **„სპარტაკი"** გახდა, შესაბამისად ჩემპიონთა თასზე ასპარეზობის უფლებაც მიიღეს. პირველ წრეში 17 სექტემბერს, ჩრდილოელთა გუნდს არ გასჭირვებია ლუქსემბურგის ჩემპიონის - „ჟენეშის" ბარიერის დაძლევა და საფეხბურთო ტერმინი, რომ გამოვიყენოთ „სპარტაკმა" „იოლად გაისეირნა". რუსულმა გუნდმა წყვილში გამარჯვებულის ბედი ფაქტობრივად პირველივე თამაშის პირველ ტაიმში გადაწყვიტა, საერთო ჯამში კი „სპარტაკმა" 9-0 მოიგო.

მეორე ეტაპზე დანიის ჩემპიონს გადაეყარა. არც „ესბიერგი" იყო ყველაზე ძლიერი მეტოქე და შემდეგი ეტაპის საგზურიც „სპარტაკმა" მიიღო.

მეოთხედფინალში კი „სპარტაკის" მეტოქე მადრიდის „რეალი" იყო. პირველი მატჩი, თბილისში, გატანილი გოლების გარეშე დასრულდა. საპასუხოში კი ისიდრო გონსალესის დუბლით მადრიდელებმა 2-0 გაიმარჯვეს.

**დონეცკელთა** საევროთასო მოგზაურობა ხანმოკლე გამოდგა. „შახტიორს" პირველ ეტაპზე ფრანკფურტის „აინტრახტი" შეხვდა. 17 სექტემბერს დონეცკის ცენტრალურ სტადიონზე 44 000 გულშემატკივრის თვალწინ შახტიორმა იმედისმომცემი გამარჯვება იზეიმა. მატჩის 23- ე წუთზე ვიტალი სტარუხინმა ზუსტად შეასრულა თერთმეტმეტრიანი. უკრაინელებმა მინიმალური ანგარიშით იმარჯვეს და იმედიანად გაემგზავრნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. საპასუხო პაექრობა პირველ ოქტომბერს ფრანკფურტში, „ვალდშტადიონზე" შედგა და გერმანელთა გამარჯვებით 3-0 დასრულდა. ანგარიში მე- 4 წუთზე ბერნდ ჰოლცენბაინმა გახსნა, 38- ე წუთზე კორეელმა ლეგიონერმა ბუმ კუნ ჩამ „აინტრახტი" წინ გაიყვანა, წერტილი კი შეხვედრაშიაზიელმა ფორვარდმა 72- ე წუთზე დასვა. ამრიგად დონეცკელებმა დაასრულეს ევრო გათამაშება.

**კიევის „დინამო"** ტურნირის პირველ ეტაპზე ბულგარულ „ლევსკის" შეხვდა. 17 სექტემბერს კიევის სანახევროდ სავსე „ოლიმპიურ" სტადიონზე სტუმრებმა გახსნეს ანგარიში. 26- ე წუთზე ემილ სპასოვმა, როგორც შემდეგომში გაირკვა ბულგარელთათვის მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. ლეონიდ ბურიაკმა შეხვედრის 38- ე წუთზე შეცვლაზე შემოსულ ვლადო დელჩევს პენალტის ნიშნულიდან გაუტანა, თუმცა დინამოელებმა მეტი გოლის გატანა ველარ მოახერხეს და მატჩი ფრედ 1-1 დასრულდა. 1 ოქტომბერს „გეორგი ასპარუხოვის" სახელობის სტადიონზე 35 000 გულშემატკივრით შეგულიანებულმა „ლევსკიმ" კარი მშრალად შეინახა, თავად არ გაუტანია და მომდევნო ეტაპზეც გავიდა. კიეველები კი დონეცკელებთან ერთად ხელმოცარულნი დაბრუნდნენ სამშობლოში.

**მოსკოვის „დინამომ"** ევროთასზე გამოსვლა ბელგიურ „ლოკერენთან" პაექრობით დაიწყო და დაამთავრა კიდეც. 1:1 ბელგიაში და 0:1 მოსკოვში.



კიევის „დინამო"



დონეცკის „შახტიორი"

თენგიზ სულაქველიძე

8

# გულწრფელი ჭომა



40 წლის შემდეგ...

თენგიზ სულაქველიძის ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის დამფუძნებელი. სფფ-ის აღმასკომის წევრი



სოსო კოტორაშვილი
სარბიელი





„ჩემი საფეხბურთო ცხოვრების მატჩი, რა თქმა უნდა, „კარლ ცაისთან" ევროპის თასების თასის ფინალური შეხვედრაა, მაგრამ, გამოგიტყდებით, ორმატჩიანი ნახევარფინალური ჯახი ჰოლანდიურ „ფეინოორდთან" დღესაც ისეთივე სიხარულითა და დრამატიზმით ცოცხლობს ჩემში, როგორც მაშინ - 1981 წლის აპრილში. არ იფიქროთ, ამას იმიტომ ვამბობდე, რომ თბილისში ჰოლანდიელებს ორი გოლი გავუტანე და ამით გამარჯვებაში ჩემს წვლილს გამოვარჩევ. არა, ბატონებო, ჰკითხეთ სხვა დინამოელებს და ისინიც გეტყვიან, რომ „ფეიენოორდთან" დაპირისპირება ფინალად მოვნათლეთ და მათი ძლევის მერე დარწმუნებულნი ვიყავით, რომ თასი „დინამოს" დარჩებოდა".

ძნელია, არა, შეუძლებელია და მეტიც, უმადურობა იქნება ეჭვი შეიტანო თენგიზ სულაქველიძის - 40 წლის წინ „მოედანზე ყველაფრის დამდები", უნივერსალური, ულალატო, გუნდის საბერველად მონათლული ჭომა-ფეხბურთელის გულწრფელობაში, 40 წლის შემდეგ ისევ მხნედ და დაუღალავად რომ დაჰქრის მოედანზე, ოღონდ ამჯერად მისსავე სახელობის საფეხბურთო აკადემიის მინდვრებზე. ფეხბურთელიც გულწრფელი იყო ჭომა და ცხოვრების 65 წლის მანძილზეც ალალი, გულწრფელი კაცის სახელს ატარებს. ჰოდა, რა გასაკვირია, აკადემიაში რომ ვესტუმრე, ჯერ დახვედრა და მერე საუბარიც გულწრფელი გამოვიდა.

ბევრი გავიხსენეთ - ქუთაისი, „ტორპედო", თბილისის „დინამოში" პირველი ნაბიჯები და ტრიუმფალური გამარჯვებები, საბჭოთა კავშირის ნაკრებში დამკვიდრება, კარიერის დასრულების მტკივნეული გადაწყვეტილება, მაგრამ უფეხბურთოდ ვერ შეძლო და ჭომა დღესაც ფეხბურთშია.

„ერთხელ იხუმრეს ჩემმა მეგობრებმა, 17 წლის სულაქველიძე პირდაპირ ნიჩბოსნობიდან მოხვდა ფეხბურთშიო და მას მერე ხშირად მიწევს იმის ახსნა, რომ ეს ამბავი ტყუილია, ან როგორ უნდა დაიჯეროს კაცმა, რომ ნიჩბოსანი ქუთაისის „ტორპედოს" ძირითადის მოთამაშე გახდა? ქუთაისის კოლორიტულ უბანში, ჭომაში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, ნიჩბოსანთა ბაზა იყო სახლთან ახლოს და მეც ხშირად ხან ბაიდარით, ხან კანოეთი და ხან ნავით ვვარჯიშობდი, ამ დროს კი საფეხბურთო სკოლა „კოლხიდაში" დავდიოდი. სხვათა შორის, რიონზე ნიჩბოსნობამ ფიზიკურად საკმაოდ მომაძლიერა, რაც ფეხბურთელობისას ძალიანაც გამომადგა."

ოთხი წელი დაჰყო ჭომამ „ტორპედოში", იმდროინდელი საბჭოური ჩემპიონატის პირველ ლიგაში უამრავჯერ ითამაშა. მებრძოლი, ჟინიანი ფეხბურთელის სახელი დაიგდო. დაცვაში მის საიმედო თამაშს ბრწყინვალე ეთქმოდა. სულაქველიძეს თბილისის „დინამოს" თავკაცებმა დაადგეს თვალი. „დინამოში" კი დიდი ამბები ხდებოდა. ნოდარ ახალკაცს ახალი გუნდის შექმნა განეზრახა. სულაქველიძის დარი ფეხბურთელი სრულიად აკმაყოფილებდა ამბიციური მწვრთნელის გემოვნებას.

ადგილის დამკვიდრება ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის საძნელო საქმედ ჩანდა, მაგრამ ახალკაცი თამამ გადაწყვეტილებებს არ ერიდებოდა. მწვრთნელს სულაქველიძის უნივერსალობა საშუალებას აძლევდა ფეხბურთელი სხვადასხვა პოზიციაზე ეთამაშებინა. ჭომაც ჩვეული გულმოდგინებით ხან საყრდენ ნახევარმცველად გვევლინებოდა, ხანაც დაცვის მარჯვენა ფრთას აკონტროლებდა. სულაქველიძეს დაცვის ცენტრშიც არაერთხელ უსახელებია თავი. ამიტომაც იყო, რომ მოკლე ხანში ჭომა „დინამოს" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდა.

„დინამოში" პირველად 1977 წელს მიმიწვიეს, მაგრამ ვიუარე, ვერ გავრისკე, აი, მომავალ წელს კი საკუთარ თავში დარწმუნებული ვიყავი. ნოდარ ახალკაცმა უნიჭიერესი ფეხბურთელები შეკრიბა და თითოელ მათგანთან მუშაობით ბრძოლისუნარიანი გუნდი შეკრა. „დინამოში" პირველი ვარჯიშების მერე ახალკაცმა თავისთან მიხმო და მითხრა: ფიზიკურად მზად ხარ, მაგრამ ტექნიკაზე, ბურთთან „მეგობრობაზე" მეტი უნდა ვიმუშავოთო. მაშინ იხუმრა კიდეც - ჭომა რომ ბურთს მკერდით მიიღებს, რიკოთამდე მისდევსო. საქმისადმი სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ გვასწავლა გამარჯვებების გემო. თან იცით, როგორ იყო? ნებისმიერ ფეხბურთელს შეეძლო ლიდერობის თავზე აღება. აი, მაგალითად, „ვესტ ჰემთან" სტუმრად ჩივაძემ გაიბრწყინა, „ფეინოორდთან" საშინაო შეხვედრა ჩემი იყო, ყიფიანი, შენგელია, გუცაევი, დარასელია... ხინჩაგაშვილის არყოფნაში ხომ ფინალში ხიზანიშვილი შეუდარებელი იყო, ან შეცვლაზე შემოსული კაკილაშვილი? მისმა ტანისჩადგმამ ხომ დარასელიას კარის გზა გაუხსნა."

„ფეიენოორდთან" საშინაო შეხვედრა ჩემი იყოო, ორი გოლი იგულისხმეთ ალბათ ...

„რა თქმა უნდა, რომ იტყვიან იმ დღეს „წამივიდა თამაში", თან ინტუიციამ არ მიღალატა, ჰოლანდიელები თამაშგარეს შექმნას ცდილობდნენ, ბურთი მათ ზურგს უკან გადავკიდე, შევყევი და გატანა აღარ გამჭირვებია. რთული თამაში იყო, მაგრამ რა შედარებაა საპასუხო მატჩთან როტერდამში. ფეხბურთის გულშემტკივრმა იცის როგორი მსაჯობა იყო, არც მანამდე და არც მერე მსგავსი არაფერი მინახავს. ჰოლანდიელი ფეხბურთელებიც აგრესიულად, აუტანლად იქცეოდნენ, არ ავყევით და აქ გამოჩნდა, რომ ჩვენ უკვე სრულყოფილი გუნდი ვიყავით. რომ იცოდეთ, რის ფასად დაგვიჯდა ნერვების მოთოკვა, არადა, მესამე გოლი რომ გაეტანათ, დამატებითში ალბათ ველარ გავუძლებდით. საბედნიეროდ, ძირითადში მოვამთავრეთ საქმე და სწორედ როტერდამში ვიწამეთ, რომ თასს ალარავის დავანებებდით".



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლოთარ კურბიუვაიტი: ჰოპეს გოლმა დაგვღუპა

ნინო სილაგაძე
სარბიელი

*ლოთარ კურბიუაიტი - „კარლ ცაისის" ლეგენდა და კაპიტანი. თბილისის „დინამოსთან" მატჩში ერთ-ერთი გამორჩეული იყო, თუმც ჩვენებთან მაინც წაგებული დარჩა. დანარჩენს მისი ამ ინტერვიუდან შეიტყობთ..*

- ვიცი, რომ ეს დღე განსაკუთრებული და დაუვიწყარია ქართული ფეხბურთის ქომაგებისთვის, მაგრამ 13 მაისი არც ჩვენში იწვევს დიდ და დამარცხებულის გულისწუხილს. თასების მფლობელთა თასის ფინალი „კარლ ცაისის" ასწლიან ისტორიაში უდიდესი მიღწევაა და ბედნიერი ვარ, რომ იმ გუნდის კაპიტანი ვიყავი.

**- იქნებ, გაიხსენოთ გზა, რომელიც ფინალამდე გაიარეთ. ყველაზე მეტად რომელ მეტოქესთან გაგიჭირდათ?**

- უდიდესი ბრძოლები გადაგვხდა - „ვალენსია", „რომა", „ბენფიკა" ყოველთვის ევროპული ფეხბურთის ელიტის წევრები იყვნენ და მათთან გამარჯვება წარმოუდგენლად ძნელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ამ კლუბთაგან თითოეული იმსახურებდა ფინალში თამაშს.

**- ფინალის წინ „დინამოს" შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას არ უჩიოდით...**

- რა თქმა უნდა, მეტოქეზე სრული ინფორმაცია გვქონდა. „დინამოში" ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია თამაშობდნენ და ამით ყველაფერია ნათქვამი. ბევრი სპეციალისტი თვლიდა, რომ მაშინდელი „დინამო" ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა ევროპაში.

**- ყველაზე მეტად რომელ ქართველ ფეხბურთელს უფრთხოდით?**

- თითოეულს, თუმცა ყიფიანი მაინც განსაკუთრებული იყო. მისი თამაში საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ჯერ კიდევ იქამდე მქონდა ნანახი, სანამ „დინამო" ჩვენი მეტოქე გახდებოდა. უბრალოდ, შეუძლებელი იყო, მატჩის წინ მასზე განსაკუთრებულად არ გაგვემახვილებინა ყურადღება. დიუსელდორფში კი თამაშის ბედი მაინც დარასელიამ გადაწყვიტა. უდიდესი ფეხბურთელი იყო, რომლის გოლმაც ყველა იმედი გადაგვიწურა.

**- პირველი ტაიმის შემდეგ მწვრთნელს ტაქტიკა ხომ არ შეუცვლია? მეორე ნახევარში „კარლ ცაისი" ისე შთამბეჭდავად ველარ გამოიყურებოდა...**

- არც მწვრთნელს და არც მოთამაშეებს რაიმეს შეცვლა აზრადაც არ მოგვსვლია. არ დაგიმალავთ და, ჩვენი თამაშით არამხოლოდ კმაყოფილნი, გაოცებულნიც კი ვიყავით. თბილისის „დინამო" მთელ ევროპაში ქუხდა, „კარლ ცაისი" კი მას არათუ ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში სჯობნიდა კიდეც.

**- მაშ, რატომღა დამარცხდით?**

- ჰოპეს გოლმა კიდევ უფრო შეგვმატა საკუთარი ძალების რწმენა და ვფიქრობ, ამანვე დაგვღუპა. რომ არა ჩვენი ტაქტიკური შეცდომა, შეიძლებოდა, ყველაფერი სხვაგვარად დასრულებული იყო. „კარლ ცაისს" გამარჯვების შანსი ჰქონდა, უფრო მეტი ამბიცია რომ არ გაგვჩენოდა და მეორე გოლის გატანაზე არ დაგვეწყო ფიქრი. ისეთივე, გახსნილი ფეხბურთის თამაში გავაგრძელეთ, რამაც დინამოელებს ხელფეხი გაუხსნა და მატჩის ბოლო 30 წუთი ქართველი ფეხბურთელების უდიდესი ოსტატობის დემონსტრირებად იქცა.

**- კაპიტანს მოედანზე განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა აკისრია, განსაკუთრებით მაშინ, როცა გუნდს ფსიქოლოგიურად უჭირს...**

- მეც, როგორც ყველა ჩემი თანაგუნდელი, შეტევაზე უფრო ვფიქრობდი, ვიდრე ანგარიშის შენარჩუნებაზე. არც ერთს არ მიგვიქცევია ყურადღება, რომ მეტოქის ნახევარზე ხშირად უფრო მეტნი ვიყავით, ვიდრე საკუთარზე. სამწუხაროდ, სრულფასოვანი ანალიზის საშუალება მხოლოდ მატჩის შემდგომღა გვეძლევა. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ მაშინ მე, როგორც კაპიტანს, მეტის გაკეთება ნამდვილად არ შემეძლო.

**- ბუნებრვია, მატჩის შემდეგ „კარლ ცაისის" გასახდელში მძიმე განწყობა იქნებოდა...**

- მეორე ტაიმმა რეალობაში დაგვაბრუნა. ის იმედი და ოცნება, პირველი ტაიმის შემდეგ რომ გაჩნდა, დაიმსხვრა და, ბუნებრივია, იმედგაცრუებულნი ვიყავით, თუმცა ემოციები განელდა და მერე უკვე იმითაც ვიყავით ბედნიერები, რომ დიუსელდორფამდე მივედით.



ლოთარ კურბიუვაიტი

**- შემდგომ წლებში ვეტერანების დონეზე „კარლ ცაისი" რამდენჯერმე შეხვდა „დინამოს". თქვენ რამდენ შეხვედრაში მიიღეთ მონაწილეობა?**

- ის, რასაც ახლა გეტყვით, მართლაც გულიდან amoსულისიტყვებია და მინდა, ყველა ქართველმა გაიგოს: ბედნიერი ვარ, რომ თბილისში ვიყავი. საქართველო ულამაზესი ქვეყანაა, ქართველები კი საოცარი ხალხია. ცხოვრების ბოლომდე მემახსოვრება თქვენი კეთილგანწყობა და სტუმართმოყვარეობა. არსად ასე არ მიგრძვნია თავი. კიდევ ერთხელ ვუთვლი ყველა ქართველს უდიდეს მადლობას და მიმაჩნია, რომ თბილისში სტუმრობა ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო 1981 წლის 13 მაისის ფინალის შემდეგ. ვიმედოვნებ, რომ ნაწილობრივ მაინც ავანაზღაურეთ ეს პატივისცემა წლების წინ, როცა თბილისის „დინამო" იენას სტუმრობდა.

**- და ბოლოს: შეგიძლიათ, ჩვენი გაზეთის საშუალებით მიმართოთ ნებისმიერ ადამიანს საქართველოში...**

- ქართული ფეხბურთის თითოეულ ქომაგს მივმართავ: ვიცი, რომ 1981 13 მაისი ქართული ფეხბურთისთვისაც მწვერვალი იყო. იმედი მაქვს, იგი კვლავაც მიაღწევს ძველ სიმაღლეებ.





დენტოკლუბი DENTOCLUB
სტომატოლოგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ გუცაევი

9

# ვალიდოლი



კობა ინასარიძე
სარბიელი

დიდი „დინამოს" დიდი ცხრიანი... კაცი - ელვა, კაცი - ფინტი, კაცი - შეტევა... გაბითურებული მცველები და პენალტები, აღფრთოვანებული ქომაგი, გოლები და ზღვა სიხარული, სიყვარული, ნარმატება...

1980-1981 წლების სეზონი ვლადიმერ გუცაევმა „კასტორიასთან" გოლით დაიწყო, „ვესტ ჰემთან" და „ფეიენოორდთან" ანგარიში გაამყარა და 13 მაისის ფინალში ის გოლი გაიტანა, გულნასული ქომაგი ამქვეყნად რომ მოაბრუნა და დიდ გამარჯვებას მყარი საფუძველი დაუდო...

ვლადიმერ გუცაევი იხსენებს:

- „კასტორიასთან" პირველ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე სსრკ ჩემპიონატის მატჩი გვქონდა და იქ დავშავდი. ამის გამო საბერძნეთში არ მითამაშია, თუმც გუნდთან ერთად ვიყავი. სხვა ქალაქში ვითამაშეთ, რადგან მეტოქის მოედანი არ ვარგოდა. თამაში უგოლოდ კი დამთავრდა, მაგრამ, ბიჭებმა იმდენი მომენტი შექმნეს, რამდენიმე თამაშის მოსაგებად იკმარებდა. თავიდან, ვერც საპასუხო თამაშში გავიტანეთ, მაგრამ მერე ბერძნებმა ველარ გაგვაჩერეს. მახსოვს, მეორე გოლი მატჩის ბოლოსკენ გავიტანე.

შემდეგ იყო ირლანდია. ტრავმა გამიმიზეზდა და დასაწყისშივე შემცვალეს. რა დამავიწყებს იმ მოედანს. სადღაც, სოფელში ვიყავით, იმ მოედანზე კი თურმე დოლი იმართებოდა. არ ვაჭარბებ, მოედანი დაქანებული იყო. ბურთი ერთ ადგილას არ ჩერდებოდა. „უოტერფორდთანაც" ულაპარაკოდ მოვიგეთ, აშკარა უპირატესობა გვქონდა, თუმც ამ მოგებამ ფსიქოლოგიურად კიდევ უფრო დაგვმუხტა.

თასამდე ჯერ კიდევ ადრე იყო. „ვესტ ჰემზე" გავედით. იმ დროს ეს გუნდი ინგილსის ჩემპიონატის ლიდერებში არ იყო, მაგრამ ქვეყნის თასის ფინალში „არსენალი" ჰყავდა დამარცხებული, ხოლო მეორე თასის ფინალში „ლივერპულთან" დამატებით დროში წაეგო. თანაც „ვესტ ჰემში" ინგლისური ფეხბურთის რამდენიმე ლეგენდა თამაშობდა. სხვათა შორის, პირველად, თასების თასის მოპოვებაზე, სწორედ იმ მატჩის შემდეგ გავიფიქრე. უმაღლეს დონეზე ვითამაშეთ. მახსოვს, გასახდელში შესვლამდე ხალხი ფეხზე იყო წამომდგარი და ტაშს გვიკრავდა. გაოცებული ვუყურებდი ტრიბუნებს, მაგრამ, ცხადია, ეს გაოცება არ გამომიხატავს. „ვესტ ჰემთან" საპასუხო მატჩამდე სსრკ ჩემპიონატის თამაშიც გვქონდა და ისეთ ტონუსში ვიყავით, ძალების დაზოგვაზე არც გვიფქრია. უკვე ვგრძნობდით, რომ თასის მოგება შეგვეძლო.

„ფეიენოორდთან" მატჩები? ხანდახან არაობიექტურ მსაჯობაზე რომ ლაპარაკობენ, მეღიმება. მსაჯობა, მიკერძოებული მსაჯობა, არაობიექტურობა როტერდამში უნდა გენახათ. საშინელება ვნახეთ, რომლის მსგავსი არ გენახოთ. არა, რა შემთხვევითობა, რა უნებლიე შეცდომები... ასე, შეიძლება ერთხელ შეცდე, ორჯერ, სამჯერ... მაგრამ მთელი 90 წუთი ერთი გუნდის სასარგებლოდ მსაჯობას სხვა სახელი ჰქვია - ასე მხოლოდ მოსყიდული კაცი მოიქცევა. ორი 100 - პროცენტიანი გოლი არ ჩაგვითვალა, ორჯერ ნაღდი პენალტი არ დანიშნა, ყველა სადავო ჯარიმა მასპინძელთა სასარგებლოდ - მეტი რაღაა ფეხბურთი?! კი, მოსყიდული იყო, აბა, ავსტრიის ფეხბურთის ფედერაცია თავის მსაჯს ტყუილად რატომ მისცემდა დისკვალიფიკაციას?! არადა, „ფეიენოორდი" ძალიან ძლიერი გუნდი იყო. თბილისში მაგარი მომენტები ვერ გამოიყენეს. ერთი მაინც რომ გაეტანათ, მერე როტერდამში, იმ მსაჯის ხელში რა იქნებოდა, ღმერთმა იცის.

გახსოვთ კრაუზე, „კარლ ცაისის" ფეხბურთელი? მერე გავიგე, რომ გდრ-ში ერთ-ერთი ყველაზე უხეში ფეხბურთელი ყოფილა. ჰოდა, მეტოქის მწვრთნელმა ფინალში დავით ყიფიანის წინააღმდეგ პერსონალურად თამაში სწორედ მას დაავალა. ძალიან უხეშობდა, მაგრამ მატჩი ხომ ნანახი გაქვთ, ვერც დათოს დააკლო ვერაფერი, ვერც - ჩვენ.

ანგარიში რომ გავათანაბრე, ვიფიქრე, დამატებითი დრო იქნებოდა. მერე, დარასელიას გოლამდე ერთი-ორი წუთით ადრე უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ დამატებითი დროის თამაში მოგვიწევდა, თუმც მჯეროდა, რომ გერმანელები ველარ გაიტანდნენ. ენით ვერ გადმოგცემთ იმ გრძნობას, რაც არბიტრის საფინალო სასტვენის შემდეგ დამეუფლა - მეცხრე ცაზე ვიყავი.




წამიც, და ვლადიმერ გუცაევი ანგარიშს გაათანაბრებს...



40 წლის შემდეგ...

საზოგადოებრივი მაუწყებლის საფეხბურთო ექსპერტი.

## გუცაევი არ იყიდება!

### ნამდვილი ამბავი. არაფერი ზედმეტი...

1981 წლის სექტემბერში, თასების მფლობელთა თასის მოგების შემდეგ, თბილისის „დინამომ" სანტიაგო ბერნაბეუს სახელობის პრესტიჟულ მადრიდის ჩემპიონთა ტურნირში მიუნხენის „ბაიერნთან" „რეალთან" და „ალკმაართან" ერთად ითამაშა. ჩვენები და გერმანელები ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ...

წარმოიდგინეთ ასეთი სცენა: სასტუმროს ფოიეს ერთ კუთხეში სხედან „დინამოს" ხელმძღვანელები: ნოდარ ახალკაცი, კახი ასათიანი, სერგო კუტივაძე, ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი ვლადიმერ სიამაშვილი და უშიშროებიდან ტარიელ ვარდანაშვილი... აქეთ გერმანელი ფეხბურთელები, რომლებსაც არაფერი აქვთ დასამალი - ენევიან, სვამენ... იქვე არიან „დინამოს" ფეხბურთელები, რომლებსაც ფეხბურთელებისგან ასეთი სითამამე, წარმოუდგენლად მიაჩნდათ...

ამ დროს სასტუმროს ცენტრალური კარი იღება და კოსტუმში გამოწყობილი რამდენიმე მამაკაცი დინამოელთა კუთხისკენ მიდის. მალევე მოლაპარაკებათა მაგიდას ახალკაცის თანაშემწე სერგო კუტივაძე გამოეყოფა და იქვე მყოფ „დინამოს" ფეხბურთელებს მისგან ესმით, რომ სტუმართაგან ერთ-ერთი მადრიდის „რეალის" პრეზიდენტია, მეორე ვიცე-პრეზიდენტი, კლუბის იურისტი და სპონსორი...

რა სურთ ესპანელებს? ვლადიმერ გუცაევის „რეალში" ტრანსფერი. მაგიდაზე ფურცლებია გაშლილი, მადრიდელები მზად არიან „დინამოს" ნებისმიერი მოთხოვნა დააკმაყოფილონ. ჩვენები კი მაგარ გაუგებრობაში არიან. რა ტრანსფერი, რის ტრანსფერი - გაგანია საბჭოთა კავშირია. უარის თქმის მიზეზად, აბა, ქვეყნის კომუნისტურ წყობას ხომ არ მოიყვანდნენ, ამიტომაც მოკლედ ჭრიდნენ - გუცაევი არ იყიდება!

არ იყიდებაო და მაშინ, მადრიდელები გეგმა ბ - ზე გადავიდნენ. იქნებ გაცვლაზე მოვრიგდეთ - ორი სეზონით გუცაევს ხუანიტო - სანტილიანაში გაგიცვლითო... ცხადია, არაფერი გამოვიდა. არადა, ესპანელები ხელმოსაწერად გამზადებული კონტრაქტით მივიდნენ, რას იფიქრებდნენ კატეგორიულ უარს თუ მიიღებდნენ. გუცაევს თბილისში ყველაფერი აქვს - დიდი ბინა, დიდი აგარაკი, უმაღლესი ხელფასი და... „ვოლგაო"... რა „ვოლგა", რის „ვოლგა"... ესპანელებს „გაზ 24"- ზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რა აღარ იფიქრეს. ერთს, მდინარე „ვოლგაც" კი უხსენებია, რა შუაშიაო...

როგორ დამთავრდა მოლაპარაკება, თავად მიხვდებით. ჩვენ კი დავძენთ, რომ იმ დროისთვის ხუანიტო გახლდათ ესპანეთის სამგზის ჩემპიონი, 1976-1977 წლების სეზონის ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელი, სამეფო და ლიგის თასის მფლობელი, ასევე ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი ფორვარდი. სანტილიანა მაშინ უკვე ესპანეთის 6-გზის ჩემპიონი, უეფას, სამეფო და ლიგის თასის მფლობელი და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი.

ასე თამაშობდა ვლადიმერ გუცაევი, დიდი დინამოს დიდი ცხრიანი...



ასე დახვდნენ ვლადიმერ გუცაევს თბილისის აეროპორტში



ფინალის გმირები: ვლადიმერ გუცაევი და ვიტალი დარასელია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 13 მაისი




ყველაფერი ტაბლოზე წერია




ფინალური მატჩის ბილეთი


ილია გაგუნაშვილი
სარბიელი

30-ნლიანი ჟურნალისტური კარიერის მანძილზე რანაირი დავალება არ მიმიღია, მაგრამ 40 წლის წინანდელი თამაშის მიმოხილვა პირველად მიწევს. საქმეს პატიოსნად მივუდექი: YouTube-ზე შეხვედრის ჩანაწერი ჩავრთე, მოვიმარჯვე ბლოკნოტი და კალამი, კომპიუტერის ეკრანზე, ცალკე ფანჯარაში მატჩის ოქმი გავხსენი და... ნეტავ, გვერდიდან შემძლებოდა საკუთარი თავის დანახვა.

უცნაურად რომ ვიქცეოდი, ჯერ ოჯახის წევრების რეაქციით მივხვდი, მერე კი თავად დავაფიქსირე. ხან უნებლიედ ფეხი ავიქნიე, ალბათ ბურთს მივაყოლე, ხან „ბიჭო, მარჯვნივ!" - მეთქი ვიყვირე, ხან უკმაყოფილომ კალამი დავაგდე და ეს მაშინ, როდესაც ლამის უკვე ნახევარი საუკუნეა ზუსტად ვიცი ამ ჩანაწერში რა როდის მოხდება.

მაგრამ, შემიძლია დავიფიცო, რომ მოულოდნელ, ემოციურ იმპულსებს ჩემთვის სურათის ობიექტურად აღქმაში ხელი არ შეუშლია. თამაში თხუთმეტწუთიან მონაკვეთებად დავყავი და 40 წლის თავზე კიდევ უფრო ნათლად დავინახე თუ რა მოხდა მაშინ, დიუსელდორფის „რაინშტადიონზე", თბილისის „დინამოსა" და იენის „კარლ ცაისის" ფინალურ შეხვედრაში.

მთავარი დასკვნა, რომელიც თავშივე მინდა მოგახსენოთ, ასეთია: „დინამო" იმაზე ძლიერი გუნდი ყოფილა, ვიდრე ამდენი ხანი მეგონა!

დანარჩენს კი თანდათან მივყვეთ:

**0-15 წუთი:** სწრაფი თამაშია, ინტენსიურობით თანამედროვე მატჩებს არაფრით ჩამოუვარდება, მაგრამ სასტარტო მღელვარების გამო მრავალსვლიან კომბინაციებს თავს ვერც თბილისელები აბამენ და ვერც იენელები. ბურთი ორ-სამ პასში იკარგება. ამის გამო ხშირია ინდივიდუალური ორთაბრძოლები. მე-6 წუთზე ოთარ გაბელია ლუც ლინდემანის დარტყმულს ეუფლება, მაგრამ შეხვედრის ამ მონაკვეთის ყველაზე კარგ კომბინაციას სვანაძე-დარასელია-შენგელია და ისევ დარასელია ათამაშებენ. სამწუხაროდ, გამჭოლი პასი („პრასტრელი") იკარგება.

მეათე-მეთხუთმეტე წუთისთვის „დინამო" უფრო ახერხებს შეტევების გამწვავებას. ვლადიმერ გუცაევი მისთვის დამახასიათებელ ცრუმოძრაობებს იწყებს.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ შეხვედრა მთელი 90 წუთის განმავლობაში იყო სწრაფი და ინტენსიური, ასე რომ ხმები მაშინდელი ფეხბურთის სიზანტისა და დღევანდელთან შედარებით ფრაგმენტული ინტენსიურობის შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება.

**15-30 წუთი:** ამ მონაკვეთში დინამოელები ნახევარდაცვას იპყრობენ და ინიციატივას ეუფლებიან. „კარლ ცაისი" დაცვაზე ზრუნავს და თამაშს კონტრშეტევებზე აგებს. იენელთაგან თვალში სწრაფი იურგენ რააბი გვხვდება. ის თბილისელთა კარისკენ ჯიქურ შეტევას არ ერიდება.

27-ე წუთისთვის მარცხენა ფრთიდან ბურთიანი დავით ყიფიანი სპრინტში სჯობნის უბურთო(!) ანდრეას კრაუზეს, რომელიც მისი მეურვეა. კრაუზე სარმით აჩერებს „დინამოს" 10 ნომერს.

და ესეც აქვე აღვნიშნოთ: მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრაში გოლი არ გაუტანია, დავით ყიფიანმა შეხვედრა ისე ჩაატარა, როგორც დიდ ვარსკვლავს შეეფერებოდა.

თვალშისაცემია, რომ ალექსანდრე ჩივაძე ძალიან ხშირად ერთვება შეტევაში, გუცაევი კი ბურთის მოსახელთებლად და შეტევის წამოსაწყებად ძალიან უკან, თითქმის თამაზ კოსტავამდე იხევს. მთელი გუნდი უკიდურესად მობილურია.

**30-45 წუთი:** კარგად თამაშობენ „დინამოს" განაპირა მცველები, კოსტავა და გია თავაძე. აი, დაცვის ცენტრში კი, მეტი დაძაბულობაა. ეს იენელთა დამსახურებაც არის, მაგრამ უპირველეს ყოვლისა გვსურს ხაზი გავუსვათ, რომ დიუსელდორფში „დინამოს" აკლდა ისეთი ძლიერი ცენტრალური მცველი, როგორიც იყო შოთა ხინჩაგაშვილი.

კრაუზეს კი სულ უფრო და უფრო უჭირს ყიფიანთან ბრძოლა; სხვა გზა რომ აღარ აქვს, წარამარა ჯარიმდება. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსაჯები კრაუზეს, დიდი ალბათობით, პირველი ტაიმის ბოლოსვე გააძევებდნენ.

„კარლ ცაისის" კართან იქმნება ორი სახიფათო მომენტი. პირველი: გუცაევის ჩაწოდებულ ბურთს ჩივაძე ეფექტურად არტყამს თავურს, მაგრამ ჰანს-ულრიხ გრაპენტინი ფეხით ბრწყინვალედ იგერიებს და მეორე: თავაძის საშუალო მანძილიდან დარტყმულს კვლავ გერმანელი მეკარე უმკლავდება.

ამით პირველი ტაიმი დასრულდა.

**45-60 წუთი:** შესვენების შემდეგ „კარლ ცაისი" უფრო მობილიზებული დაბრუნდა მოედანზე. შეიძლება ითქვას, რომ მეორე ტაიმის პირველი თხუთმეტწუთიანი მონაკვეთი მათი იყო. ჯერ რააბი გაფრინდა, თავურით სცადა ბურთი მოედნისთვის დაეკრა და კარში ისე შეეგდო, შემდეგ კი გაბელიამ აულო თბილისელთა საჯარიმოში შუიდან ყოჩაღად შეჭრილ ლოთარ კურბიუვაიტს.



დინამოელებმა სამახსოვრო ფოტო მატჩის დაწყებამდეც გადაიღეს

კიდევ, რუდიგერ შნუპჰაზემ ააცილა.

თუმცა, ამას მოჰყვა გუცაევის საუცხოო ეპიზოდი: „დინამოს" გარემარბმა მარცხენა ფრთიდან ერთ მცველს ფეხებს შორის გაუტარა ბურთი, მეორეს გვერდიდან მოუარა და ახლო კუთხეში დაარტყა. ბურთი აცდა მიზანს. და ამ ეპიზოდს მყისვე მოჰყვა ყიფიანის თავური. სამწუხაროდ, კვლავ უზუსტოდ.

**60-75 წუთი:** გერჰარდ ჰოპე თბილისელი მცველების შეცდომით სარგებლობს და ანგარიშს ფრიად უცნაური, დარტყმით ხსნის. ეს მომენტი შესაძლოა გარდამტეხიც ყოფილიყო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დაწინაურდნენ, გერმანელებმა ფსიქოლოგიური უპირატესობა ვერ მოიპოვეს. „დინამოს" ფარ-ხმლის დაყრისა არაფერი დატყობია.

67-ე წუთზე რამაზ შენგელია დიდებულად უმკლავდება ორ მეტოქეს, ბურთს გუცაევს აწვდის და დინამოელთა გარემარბი ძლიერი დარტყმით ანგარიშს ათანაბრებს.

**75-90 წუთი:** ამ მონაკვეთის დასაწყისში უპირატესობას თითქოს აღარც „დინამო" ფლობს და აღარც „კარლ ცაისი", რის გამოც ჩნდება ეჭვი, რომ გუნდები დაიღალნენ და შეხვედრა თანდათანობით, დასასრულს უახლოვდება. თითქოსდა, მეტოქეები ნელ-ნელა თავს დამატებითი დროისთვის განაწყობენ. ამის მიუხედავად, ზემოთ რამდენჯერმე ნახსენები ტემპი და ინტენსივობა მაინც გასაოცრად მაღალია.

მაგრამ... სურათი იცვლება. ეკრანზე ჩანს, რომ „დინამომ" მეტოქე მაინც მიაჯაჭვა მის ნახევარს და როგორც იმ პერიოდის კომენტატორები იტყოდნენ გოლი მწიფდება.

რა იყო ეს, უპირატესობა ფიზიკურ მომზადებაში? არა, უფრო ტექნიკასა და კლასში. მაინც, კლასში. ფიზიკური მომზადება კი არც ერთ მეტოქეს არ აკლდა.

და აი, 87-ე წუთზე, როდესაც შეხვედრის ძირითადი დროის დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა, ყიფიანი ბურთს ვიტალი დარასელიას აწვდის. დარასელია შედის მეტოქის საჯარიმოში, ორ მცველს თავბრუს ასხამს და მარცხენა ფეხით გრაპენტინისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გამარჯვების გოლი გააქვს!

ეს იყო დიდი იმპროვიზაცია დიდ მატჩში.

ძლიერმა გაიმარჯვა!

თბილისის „დინამომ" 1981 წელს თასების მფლობელთა თასი მოიპოვა!

დავით ყიფიანი

# 10 ტანადი, ულვაშიანი და თმაშეთხელებული პირველი ვიოლინო



ილია ბაგუნაშვილი
სარბიელი

ორმოცი წელი გავიდა. სადაცაა ნახევარი საუკუნე შესრულდება. ნახევარი საუკუნე კი იმას ნიშნავს, რომ იმ ამბის მომსწრეთაგან ბევრი აღარ არის ცოცხალი.

რაღა შორს წავიდეთ, თავად 13 მაისის რამდენიმე გმირი აღარ არის ჩვენს გვერდით. მათ შორისაა ლეგენდარული დავით ყიფიანი.

ვის შეუძლია დღეს ორმოცი წლის წინანდელი მაისის გახსენება? ვინ მოგვიყვება, როგორ მოხდა, რა მოხდა, რანაირად მოხდა? ვის მივმართოთ იმისთვის, რასაც მსოფლიო ჟურნალისტიკაში inside view-ს ანუ შიგნიდან, მოვლეთა სიღრმიდან დანახულსა და მოყოლილს ეძახიან?

დავით ყიფიანის უფროსი ვაჟი, ლევანი, მაშინ მხოლოდ 10 წლისა იყო და 81-ის ისტორიები ისე ახსოვს, როგორც ბავშვს შეიძლება ახსოვდეს. მაგრამ მერე, ცხოვრების მანძილზე, პრესასა თუ არაფორმალურ გარემოში იმდენჯერ მოუყოლია ერთი და იგივე, რომ მეხსიერებას ჩაჭიდებული ფრაგმენტები ფილმის კადრებად იქცა. მასში ველარაფერს შეცვლი, ველარაფერს დაამატებ და გამოაკლებ. საჯაროდ თუ მარტოდ ყოფნისას ხშირი გამეორებისაგან მოგონებები იმდენად რეალური გახდა, რომ ხელითაც შეიძლება შეეხო.

ბატონ ლევანს ახსოვს, თამაში რომ დამთავრდა ბიძამისმა ქუჩაში გაიყვანა. ახსოვს ზემელი, რუსთაველის ძეგლთან თავმოყრილი აურაცხელი ადამიანი, რომელთაც გაიგეს, რომ პატარა ბიჭი არც მეტი არც ნაკლები დათო ყიფიანის შვილია და... ბავშვი ხელში აიტაცეს. ბიძას მისი „გადარჩენა" მოუხდა, ძლივს გამოიხსნა სასტუმრო „ივერიასთან".

შემდეგ, მეხსიერებას თავისი არქივიდან გამარჯვებულთა დახვედრის კადრები ამოაქვს, აეროპორტი. იქაც უამრავი ადამიანი. მათი მანქანა მოშორებით დგას, მაგრამ გარშემო ხალხი მატულობს. ზეიმობენ. ხარობენ. მერე კი ტყდება ჩოჩქოლი, მანქანის კარი ილება და უეცრად მამა ავტომობილში შემოდის. შემოდის კი არა, საიდანღაც ვარდება, ხტება. შემოჯარულები მის ჩაბღუჯვას ცდილობენ. ყველას სურს, ხელით შეეხოს, მისკენ მიიწევენ, ეპოტინებიან, მაგრამ ავტომობილი სწრაფად იძვრება ადგილიდან.

მანქანა მიქრის, ყოველი მხრიდან კი „ესკორტი" მოსდევს. გარშემო დღესასწაულია. ისმის საყვირის გაუთავებელი ხმა. თანმხლებ მანქანებს ფანჯრები ჩაწეული აქვთ და იქიდან წელამდე ამოსული ხალხი მამის სადღეგრძელოს სვამს. ოთხივე მხრიდან ათასობით ჰაეროვან კოცნას უგზავნიან.

და ასე გაგრძელდა სახლამდე, ვერამდე.

და თითქოს ასე გაგრძელდა მთელი ორმოცი წლის განმავლობაში. თითქოს, მაისის იმ ღამის ჟრიამული კვლავ არ შეწყვეტილა, დრო არ გასულა. კადრებად ქცეულ მოგონებებში ისევ ის მაისია, ყველა ისევ ბედნიერია, ყველა ქუჩაშია, ყველას კვლავ ყველა უყვარს.

მართლა უყვარს!

მაგრამ, არა. თურმე ეს მხოლოდ მეხსიერების ხრიკებია, სინამდვილეში კი... მართლაცდა, რანაირად არის ისევ ის დღე, როდესაც აგერ უკვე 2021 წელია და დავით ყიფიანი ჩვენს გვერდით აღარ არის.

## L'EQUIPE

ულვაშებიანი იოსებ სტალინის შემდეგ კიდევ ერთი ულვაშებიანი ქართველი გახდა ცნობილი. ეს დავით ყიფიანია. დავითი, როგორც წმინდა ქალაქის მფლობელი. ყიფიანი, ჩივაძე, დარასელია, გუცაევი, შენგელია. აი, ტუზების პოკერი თასის მფლობელთა თასისათვის. ყიფიანი და მისი მეგობრები წარმატებას აღწევენ ყველა სტადიონზე, სადაც კი გამოჩნდებიან.

*1981 წლის 19 ნოემბერი*

## DEUTSCHES sportecho

აშკარა იყო „დინამოს" უპირატესობა ტექნიკაში, ბურთის ფლობასა და თამაშის აგებაში. როცა ისინი განუმეორებელი ყიფიანის მეშვეობით მინდორზე ჭადრაკის თამაშს იწყებდნენ, „კარლ ცაისს" ისღა დარჩენოდა, რომ თავი დაეცვა.

*გიუნტერ ზიმონი*

## A BOLA

თუ დიუსელდორფში მაყურებლები დიდი ფეხბურთის მოწმენი გახდნენ, ამის თავი და თავი ყიფიანი იყო. მან დიდი ვირტუოზულობით და ელეგანტურობით ჩაშალა მისი განეიტრალების ყველა მცდელობა. ყიფიანი უბადლო ფეხბურთელია და ამჟამად ევროპაში მასავით არავის სძალუძს წამის მეათედებში დაინახოს საკუთარი გუნდის გახსნილი მოთამაშე და ყველაზე ხელსაყრელ სიტუაციაში ჩააწოდოს პასი, რომელიც ან დიდ თავსატეხს გაუჩენს მეტოქეს ან გოლით დაგვირგვინდება.

*ომერო სერპა*



დავით ყიფიანი და ოლეგ ბლოხინი ანსამბლ „მზიურის" წევრებთან

„ვესტ ჰემი" თითქოს უბრწყინვალეს კინოვარსკვლავებთან შეხვედრამ გააოცაო, მაგრამ მათ შორის მართლაც იყო ერთი ტანადი, ულვაშიანი და თმაშეთხელებული მამაკაცი, რომელიც ჭეშმარიტად იმსახურებდა ასეთ რეპუტაციას. ეს გახლდათ დავით ყიფიანი, რომელიც თავისი მოხდენილი გრძელი ფეხებით „აპტონ პარკში" ისე დააბიჯებდა, როგორც სოფლის სკოლის დირექტორი თავის სამფლობელოში".

ეს სიტყვები ინგლისურმა „ტაიმსმა" 1981 წლის მარტში, თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალის პირველი შეხვედრის მეორე დღეს დაწერა, როდესაც თბილისის „დინამომ" „ვესტ ჰემს" 4:1 მოუგო.

მანამდე, ბევრი წლით ადრე კი ერთმა ქართველმა საფეხბურთო მოღვაწემ და მართლა პატივსაცემმა ადამიანმა ჯერაც უწვერულ ყმაწვილს მწარედ უთხრა: „ეი, мешок с костями (ძვლებით სავსე ტომარავ), წადი „სკრიპკაზე" დაუკარი, შენგან ფეხბურთელი არ გამოვა". და თბილისის „დინამოდან" გააგდო.

რას იზამ, ხალხნი ვართ, ყველაფერი ხდება.

და ვინ იცის, ტაქტიანად რომ ეთქვა, დათო ყიფიანის კარიერა, უფრო სწორედ კი ქართული ფეხბურთის ისტორია სხვანაირად წარმართულიყო, მაგრამ ალბათ, ყველაფერი მაინც ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო.

გულნატკენი ყიფო ვერაზე იდგა და ფეხბურთზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, როდესაც, როგორც ამბობენ მაშინდელი კიროვის პარკის (დღევანდელი ვერის ბაღის) ქომაგთა ლიდერმა ქართლოს სვანიძემ, „ბელადომ", ნახა, დაუყვავა და თბილისის „ლოკომოტივში" ნოდარ ახალკაცთან წაიყვანა.

აი, მერე კი დაიწყო და დაიწყო.

ხოლო მე, ამ უბრალო ჩანაწერის ავტორს, წილად მხვდა პატივი უკვე დავით ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ, წლობით მემუშავა ჟურნალ „ათიანში", სადაც პირდაპირ ჩემი მაგიდის წინ, დაფაზე, ათას სამახსოვრო ფოტოსთან ერთად სასტუმრო „ივერიის" სახინკლიდან წამოღებული პატარა ხელწერილიც იყო გაკრული. მასზე დათო ყიფიანის ხელით ეწერა:

***ხელწერილი!***

***მე დათო დათოს-ძე ყიფიანი ვიძლევი სახინკლეში პირობას, რომ თუ 1970-71 წლის სეზონში არ ვითამაშე „დინამოს" შემადგენლობაში თამაშების 50%, წინააღმდეგ შემთხვევაში ვანებებ ფეხბურთს თავს (არ შემსრულებელი ითვლება ტრაკად).***

***დ. ყიფიანი***

ეს პირობა ჩვენი ფეხბურთის დიდმა ვარსკვლავმა დათო ყიფიანმა თავის მეგობარს დათო ბექაურს მისცა და მთელს საქართველოს აუსრულა.

აუსრულა დიდი გადაჭარბებით!

დავით ყიფიანი 2001 წლის 17 სექტემბერს ავტოავარიაში დაიღუპა...





ალექსანდრე ჩივაძე და დავით ყიფიანი

# გაგრა, მილანი, ტიკი-ტაკა
## ქართველი მწვრთნელების დანახული დინამო

**1981 წლის 13 მაისი თანამედროვე ქართველ მწვრთნელებსაც გავახსენებინეთ. ისინი იმ დროს პატარები იყვნენ, სკოლაში დადიოდნენ და ფეხბურთელობაზე ოცნებობდნენ. იმ დღეს მათ გონებაში მათემატიკისა თუ ქიმიის გაკვეთილები კი არა, ყიფიანი, დარასელია, შენგელია და სხვა ბიჭები ტრიალებდნენ. საათებსა და წუთებსაც კი ითვლიდნენ დიუსელდორფის ფინალის დაწყებამდე.**



ილია ნანობაშვილი
სარბიელი






**გიორგი ნემსაძე**

...ფინალს სახლში ვუყურე, მშობლებთან და ბებია-ბაბუასთან ერთად. მეზობლებიც შემოვიდნენ. მახსოვს სახელდახელოდ გაშლილი სუფრა, აჟიოტაჟი და გამარჯვების სიხარული ყველას სახეზე. დაუვიწყარი ემოცია იყო.

...რაც ამ გადმოსახედიდან შემიძლია ვთქვა, „კარლ ცაისი" ძალიან კარგი გუნდი იყო. ჯერ ის რად ღირს, რომ 6-7 ფეხბურთელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებში ჰყავდა. მათ ერთი წლით ადრე მოსკოვის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს. იმაზე ალარაფერს ვიტყვი, რომ ფინალამდე „რომა", „ბენფიკა" და „ვალენსია" დაამარცხეს. ეს გუნდი ბალკანური და ჩეხოსლოვაკიური გუნდების დარად საბჭოთა საფეხბურთო სკოლის გავლენას განიცდიდა.

...რთული თამაში იყო და ზუსტად აქ გამოჩნდა ნოდარ ახალკაცის ხელწერა. მას ტაქტიკურად და სტრატეგიულად შესანიშნავად ჰყავდა შესწავლილი მეტოქე.

...რაც უნდა დაგეგმოს მწვრთნელმა, რა მითითებებიც არ უნდა მისცეს ფეხბურთელებს, თუ სათანადო შემსრულებლები არ ჰყავს, დიდ შედეგზე საუბარი გამორიცხულია. „დინამოს" შემადგენლობაში უმაღლესი კლასის ფეხბურთელები ჰყავდა. გვარებსაც არ ჩამოვთვლი - ყველა უმაღლესი კლასის იყო. გუნდი ერთიანი მექანიზმივით მუშაობდა და ამ იდეალურად მომუშავე მექანიზმში ყველა თავის როლს ასრულებდა.

...ცოტა გამიჭირდება იმ დინამოს რომელიმე გუნდთან შედარება, რადგან ძალიან თავისებური ხელწერით თამაშობდა. ალბათ მაინც უფრო სამხრეთული გუნდების ნაზავი იყო, ტიკი-ტაკა ტაქტიკურ განსწავლულობასთან ერთად.

**გიორგი ჩიხრაძე** (საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი, რომელიც პირველ ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობდა, იყო „ცხუმში", მერე დონეცკის „შახტარში"... გახლდათ თბილისის „ამერის" თავკაცი. საკმაოდ წარმატებული - ორი თასი, ორი სუპერთასი. შემდეგ იმუშავა აზერბაიჯანულ და ყაზახურ გუნდებში).

„რა კარგი რამ გამახსენეთ... ასეთი სიხარული ახლა მოგვცა. იმ გაზაფხულს ყველაფერი კარგად აეწყო, „დინამო" ეტაპეტაპ მიდიოდა და ვერავინ იტყოდა, რომ გაუმართლა, სადმე შემთხვევით გავიდა, ან ვინმემ აჯობა. ყველა გუნდი დამაჯერებლად გამოთიშა. იგივე „ფეიენოორდთანაც" ჩანდა მისი აშკარა უპირატესობა.

...„დინამოს" ჰყავდა მაღალი დონის მწვრთნელი და ძლიერი ინდივიდუალისტები. ეტყობოდა, რომ მოედანზე იყო გუნდი თავისი ხელწერით, აგრესიული შეტევებით, ფანტაზიით. დიუსელდორფის ფინალშიც ჩანდა ძლიერი ფსიქოლოგიური და ტაქტიკური მომზადება.

...გოლის გაშვების მერე გამოჩნდა, რომ „დინამოს" ფლანგის მცველებმა უფრო აქტიურად შეუტიეს და ფრთებიდან ცდილობდნენ რიცხობრივი უპირატესობის მოპოვებას. ერთი ფეხბურთელით მეტი, შეტევაში ზედმეტი კაცის გამოყენება - ამ ხერხს მიმართეს.

...რა თქმა უნდა, კარგი იყო, რომ მალევე გათანაბრდა ანგარიში და ამან ამოასუნთქა გუნდი, მაგრამ ვფიქრობ, „დინამო" ადრე თუ გვიან მაინც გაიტანდა და თამაშს მოიგებდა. „კარლ ცაისზე" უკეთესი გუნდი იყო შემადგენლობით და თამაშის ხარისხითაც.

...„დინამოს" თავისი ხელწერა ჰქონდა-მეთქი, ვთქვი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ ცვლიდა ტაქტიკას. საჭიროების მიხედვით, მოკლე პასებითაც მშვენივრად თამაშობდა, საშუალოებით და გრძელითაც. გუნდს კარგად შეეძლო თამაშის შეცვლა.

...მახსოვს, როგორ ზეიმოდა მთელი გაგრა. იქ ვცხოვრობდი, კერძო სახლში. თამაში რომ დასრულდა, ცენტრალურ ტრასაზე ლამის მთელი ქალაქი გამოვიდა. ქართველი, რუსი, სომეხი, აფხაზი, ბერძენი... ყველა გახარებული იყო.

**ვასილ მაისურაძე** (მწვრთნელი, რომელმაც ყველაზე დიდ შედეგს მიაღწია საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში. მისი 17-წლამდელთა გუნდი 9 წლის წინ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა).

- მაშინ 10 წლის ვიყავი. თითქოს ახლაც თვალწინ მიდგას ის გაზაფხული, „ვესტ ჰემთან" მოგებით დაწყებული. მახსოვს, რა ხდებოდა 13 მაისს. კოტე მახარაძის გარეშე ფინალის გახსენება წარმოუდგენელია. მსაჯის სასტვენის ხმა, კოტე მახარაძის მეტყველება და ის დაუვიწყარი სიტყვები представляю сейчас что творится в Тбилиси... ნაძალადევში, იტალიურ ეზოში ვცხოვრობდი და ყველა სახლიდან ტელევიზორის ხმა გამოდიოდა, იქაურობა დუღდა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, როგორ ვინერვიულე. მამაჩემი და მეზობლებიც თამაშის მერე სტადიონისკენ დაიძრნენ, მე კი მითხრეს, პატარა ხარ, დარჩიო.



...რატომ მიაღწია იმ „დინამომ" ამდენს? უპირველესად, ძალიან ძლიერები იყვნენ ინდივიდუალურად. კაცის მოტყუება, ერთი-ერთზე ორთაბრძოლები - მეტოქესთან უპირატესობას იქმნიდნენ.

...თუმცა ჩივაძისთვისაც მითქვამს, რაც არ უნდა ძლიერები ყოფილიყავით, ნოდარ ახალკაცის გარეშე ეს შედეგი არ იქნებოდა-მეთქი. დამეთანხმა. ახალკაცმა შეძლო მონოლითის შექმნა და სახის მიცემა. მწვრთნელის ძალა იყო „კარლ ცაისთან" 0:1-ზე აფორიაქებული გუნდი უკანმოუხედავად რომ არ გაიქცა წინ და ის თამაში გააგრძელა, რითაც გერმანელებს სჯობდა. იქ რომ შედარებით სუსტი ბირთვი ყოფილიყო, შესაძლოა, თამაში არეულიყო. იოლი არაა, როცა დაძაბულ შეხვედრაში ფრეა და მეორე ტაიმში გოლს უშვებ. იმ შეცვლამაც (ნუკრი კაკილაშვილი ზაურ სვანაძის ნაცვლად), ვიცით, რა ეფექტიც მოიტანა. ვიტალი დარასელიას გოლის დროს ბლოკს ვგულისხმობ.



...გადამწყვეტი და თან რა გოლი გაიტანა კაცმა, რომელზეც ვერ იტყოდი, გუნდის ლიდერი და პირველი ფეხბურთელიაო. აი, სად იყო „დინამოს" ძალა! ინდივიდუალიზმის ზეიმი. დარასელიამ აილო თავის თავზე თამაში.

...„დინამო" ამ ტიტულისკენ მიზანმიმართულად მიდიოდა. ეს არ იყო სპონტანური, უცებ მოსული შედეგი. გუნდი თვიდან თვემდე იზრდებოდა. იმ წნეხს, რასაც „დინამომ" როტერდამში „ფეიენოორდთან" გაუძლო, მხოლოდ მაღალი კლასის გუნდები თუ გაუძლებდნენ.

...რომელ გრანდს შევადარებდი იმ „დინამოს"? ალბათ, რომელიმე იტალიურს სამხრეთ ამერიკელებით შეზავებულს. მაგალითად, კარლო ანჩელოტის „მილანს".

ეროვნული ბიბლიოთეკა



რამაზ შენგელია

11

# რატომ იტირა საბჭოთა კავშირის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა?



გიორგი ვაშაკიძე
სარბიელი




რამაზ შენგელია მიზანთან ახლოს იყო, მაგრამ...

„იმ დროისთვის „კარლ ცაისს" თითქმის გაუვალი დაცვა ჰყავდა. გოლს გაიტანდნენ და მერე არც უპირატესობის შენარჩუნება უჭირდათ. ფინალში მეტოქემ ერთი დიდი შეცდომა დაუშვა: დანინაურებულმა ისევ შემოგვიტია, გახსნილ თამაშში კი უპირატესობა ჩვენი იქნებოდა. ეს კარგად ვიცოდით და შეტევებს შეტევებით ვუპასუხეთ.

... ერთ მცველს გავცდი, მეორეც ჩამოვიტოვე და ის იყო, ბურთს უნდა შევყოლოდი, რომ გუცაევი დავლანდე. აშკარად უკეთეს პოზიციაში იმყოფებოდა. დაძაბული შევცქეროდი ვოვას... ბურთი გრაპენტინს გასცდა თუ არა, დავრწმუნდი, თასს თბილისში წავიღებდით"

ეს სიტყვები დიდი „დინამოს" დიდ 11 ნომერს, ლეგენდარულ რამაზ შენგელიას ეკუთვნის, რომელიც წლების წინ, „სარბიელს" უთხრა...

სამწუხაროდ, დღეს რამაზ შენგელია ჩვენს გვერდით აღარ არის, 2012 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა, მაგრამ ჩვენს გვერდითაა და ცოცხალია მოგონებები, დაუვიწყარი და გაუხუნარი ემოციები...

„სარბიელი" ბატონი რამაზის ოჯახს ესტუმრა და მეუღლეს, ქალბატონ ლია ბაბუნაშვილს სთხოვა 40 წლის წინანდელი ტრიუმფის გახსენება...

„გასახსენებელი მართლაც ბევრია და მოდით, მაინც იმ პერიოდიდან დავიწყებ, როცა ჯერ „ვესტ ჰემი" გაიარეს, მერე „ფეიენოორდი" და ფინალამდე ორი კვირა იყო დარჩენილი. აი, ეს დრო, მარტიდან უკვე დაძაბული იყო. რამაზი იმდენად გახლდათ ფიქრებით გადართული და არა მარტო რამაზი, მთელი „დინამო", ფაქტობრივად, ოჯახისთვის არ არსებობდა არც ის და არც მთელი გუნდი. „ფეიენოორდთან" მეორე მატჩის შემდეგ, რომ წააგეს, ვერაფრით ვაწყნარებდით, თან გახარებული იყო ფინალში გასვლით, თანაც გაოგნებული, ეს რა გვიქნეს, ეს რა მსაჯობა იყო, ისე დაგვჩაგრეს, ძალით უნდოდათ ჩვენი გაგდებაო".

„ფინალისთვის მზადება რომ დაიწყეს, მართლაც წარმოუდგენელი მოსამზადებელი პერიოდი ჰქონდათ. ნოდარ ახალკაცს, ამ მართლაც გენიოს ადამიანს, რომ უდიდესი წვლილი მიუძღვის წარმატებაში, არახალია, მაგრამ ჩემი აზრით, მისი და „დინამოს" უდიდესი წარმატების მთავარი იარაღი იყო რკინისებური დისციპლინა გუნდში.ყველას მეუღლეები, ოჯახები ჰყავდათ და ბუნებრივია, ჩვენ ხომ გვერიდებოდა, მაგრამ იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა გუნდში და ბიჭებს ისე განსაკუთრებულად ერიდებოდათ მისი, როცა რამეს იტყოდა, ხმას ვერავინ შეუბრუნებდა, გაბედვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი".

„თამაშის წინ, კონკრეტულად რა დავალებას აძლევდა რამაზს ბატონი ნოდარი, მე ცხადია, არ ვიცი, არც არასდროს უთქვამს, მაგრამ ის კი ვიცი, როგორი სამზადისი ჰქონდათ ფინალისთვის. მორჩა, ფინალია და უნდა მოვიგოთ, წაგება გამორიცხული იყო და წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როცა პირველად გერმანელებმა გაგვიტანეს, წარმოუდგენელი და დაუშვებელი იყო ჩემთვის, როგორ, რატომ, მაგრამ იმაში კი ვიყავი დარწმუნებული, რომ ბოლომდე უნდა ებრძოლათ, ისეთი მუხტით და რწმენით წავიდნენ აქედან - სახლიდან რომ გადიოდა, ჩემი შვილი გიორგი პატარა იყო, ბურთი ჰქონდა ჩახუტებული და რამაზი რომ მოუტრიალდა, უთხრა, მამი, აი, ის თასი უნდა ჩამოგიტანო და მაგ ბურთთან ჩაგახუტოო. მოკლედ, მიდიოდა და წავიდნენ ისეთი რწმენით, რომ წაგება გამორიცხული იყო, თასი თბილისში უნდა ჩამოეტანათ".

„ფინალს სახლში ვუყურებდი, მაშინ ვერაზე ვცხოვრობდით და ერთ კორპუსში ვიყავით ჩვენ, დათო მუჯირის და თამაზ კოსტავას ოჯახები. გოგოებმა კი ვთქვით, მოდი, ერთად დავსხდეთ და ვუყუროთო, მაგრამ ჩვენც ისე ვიყავით დაძაბულები, ბოლოს მაინც ცალკ-ცალკე, ჩვენს სახლებში გადავწყვიტეთ ყურება. მამაჩემიც ჩემთან იყო და... გერმანელების გოლმა მაგრად „გაგვაფუჭა", მაგრამ მალევე, რამაზის პასის შემდეგ ვოვამ რომ გაიტანა, ხომ გადავირიეთ და ვიტალის გოლმა საერთოდ მოგვსპო სიხარულისგან. ვინ რას ვაკეთებდით, მერელა აღვიდგინე გონებაში. უცებ ზარი კარზე, აქეთ ეს გოგოები შემოვარდნენ, იქით გადარეული მეზობლები... ერთი კარის მეზობელი გვყავდა უკრაინელი, კგბ-ს გენერალი კი იყო, მაგრამ ძალიან მორიდებული. ჰოდა, წარმოიდგინეთ, მასაც ისე გაუხარდა, ისიც შემოვარდა ჩვენთან და სიხარულისგან ისე გახლდათ ალტკინებული, რომ რა ვიცი, სიტყვებით ახლაც მიჭირს აღვწერო თუ რა ხდებოდა. მოკლედ, გადარეულები ვიყავით სიხარულისგან და გამთენიისას ჩემი ძმა მოდის და გვეუბნება, თქვენ აქ ხართ, მაგრამ უნდა გენახათ, რა ხდებოდა და ხდება ქალაქში და სტადიონზეო".

„ფეხბურთი და განსაკუთრებით კი დინამო", მისთვის ყველაფერი იყო. 1977 წელს, როცა „ტორპედოდან" გადავიდა, რამაზმა ზუსტად იცოდა, სად მიდიოდა და იცოდა, თუ რა დონის კონკურენცია და გუნდი დახვდებოდა - ქვეყნის საუკეთესო გუნდში თამაში ხომ იმ დროს მოვლენა იყო. თვითონაც ბევრჯერ ჰქონდა ნათქვამი, რომ პირველ წელს ნამდვილად გაუჭირდა, მაგრამ მერე და მერე, თავდაუზოგავი ვარჯიშით და მუხლჩაუხრელი შრომით მიაღწია იმ შედეგს, რასაც მიაღწია და მე ვიტყვი, რომ სწორედ ამაში ჩანდა რამაზის ბუნებაც და ხასიათიც, მისი მიზანდასახულობა".





ფოტო [illegible] ალბომიდან

ქვეყნდება პირველად... რამაზ შენგელიამ თასის აღება აეროპორტში ასე აღნიშნა

## მამა, ფეხბურთი მინდა...

ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა, ფეხბურთზე ვიყავი შეყვარებული და დილიდან საღამომდე ბურთს დავსდევდი. ქუთაისში თითქმის ყველა კვირას ტარდებოდა ქუჩის პირველობა, გამარჯვებული გუნდები მერე ქალაქის პირველობაში თამაშობდნენ. მართალი გითხრათ, სხვათაგან არაფრით გამოვირჩეოდი, მაგრამ დიდი ბიჭებიც რატომღაც თავიანთ გუნდში მათამაშებდნენ. ერთხელაც ჩვენი უბნის პირველობაზე გავიმარჯვეთ და ქალაქის პირველობაზე ამოვყავი თავი.

მაშინ პირველად ვითამაშე დიდ მოედანზე და ჩემდა გასაოცრად, 90 წუთის მანძილზე ერთხელაც ვერ შევეხე ბურთს. საშინლად იმედგაცრუებული ვიყავი, ბრაზი მახრჩობდა, სახლამდე კი შევიკავე თავი. აი, შინ რომ მივედი, იცოცხლეთ, მოვალე პირი. ვღრიალებ, ღვარ-ღვარად ჩამომდის ცრემლი. გადაირია მამაჩემი, არიქა, რა უბედურებაა ჩემს თავსო. ფეხბურთზე მინდა, ფეხბურთზე-მეთქი და გავაბი ისევ ტირილი. ერთი სიტყვით, მანამ არ მოვისვენე, სანამ მამამ ხელი არ დამავლო „ტორპედოს" ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში თამაზ კენჭაძეს არ ჩამაბარა. ცოტა ხანში კი ქუთაისური ფეხბურთის პატრიარქთან კარლო ხურციძესთან მოვხვდი და აქედან დაიწყო ჩემი გზა დიდი ფეხბურთისკენ.

რამაზ შენგელიას მოგონებებიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუჩაევი თუ გუშაევი?

## დემიკო ლოლაძე დიუსელდორფის რაინშტადიონზე



კობა ინასარიძე
სარბიელი

*ქვეყანამ ფინალურ მატჩზე თუ რამე იცის, ბევრი, დემიკო ლოლაძის ფოტოებით. ასეთი იყო მაშინ ჩვენი ცხოვრება - დასავლეთ გერმანიაში გამართულ ისტორიულ მატჩს სსრკ პრესიდან მხოლოდ ყოველკვირეული „ფუტბოლ-ჰოკეის" კორესპონდენტი ვიქტორ პანედელნიკი ესწრებოდა, ფოტოს კი სრულიად შემთხვევით ბატონი დემიკო იღებდა... დიახ, გერმანელების გადაღებულ ფოტოებთან ერთად ისტორიას, უმეტესად სწორედ მისი კადრები შემორჩა... რა იყო? როგორ იყო? რა ხდებოდა დიუსელდორფის რაინშტადიონზე? დემიკო ლოლაძე იხსენებს:*



-ხომ გახსოვთ იმ დროს საქმე როგორ კეთდებოდა?! შინაურულად, მეგობრულად... ჰოდა, მეც ვისარგებლე რომ ჩემი ძმაკაცის მამა დიდი თანამდებობის პირი იყო და დიუსელდორფში გამგზავრებაში დახმარება ვთხოვე. რთული ამბავი იყო, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გახლდათ ფინალი... მოკლედ, 60-კაციანი ტურისტული ჯგუფი შედგა და მოსკოვის გავლით წავედით. კი, გვითხრეს, არავინ გაგვჩხრიკავს და რაც გინდათ წამოიღეთო, მაგრამ მაინც მოვერიდეთ - იცით რა ქვეყანაშიც ვცხოვრობდით. ფრანკფურტში ჩავფრინდით და იქიდან დიუსელდორფამდე ავტობუსით ვიმგზავრეთ. სასტუმროს სახელწოდებაც მახსოვს - „შუმანი". ჩვენ ქალაქის ცენტრში დავბინავდით, გუნდი - ქალაქგარეთ, ზღაპრულ ადგილას.

... გადაღება სამოყვარულო დონეზე დავიწყე. ჯერ „სმენას" ფოტოაპარატი მქონდა, დიუსელდორფში კი „ზენიტით" წავედი. სად იყო მაშინ ციფრული ტექნოლოგიები, ერთ ჩაჩხაკუნებას მთელი ამბავი სჭირდებოდა, ფოკუსის გასწორება და სხვა... ვიდრე ფოკუსს გაასწორებდი, ეპიზოდი უკვე ჩავლილი იყო. ფირები ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიას ვთხოვე. არ დამზარდნენ.

... თამაშზე 3 ფირით წავედი. ტრიბუნიდან გადასაღებად მეტი არ დამჭირდება, მეთქი. ამის მერე არის, 40 წელიწადი თავში ხელებს რომ ვიშენ, ასეთი შეცდომა მეტი არ დამიშვია. მოკლედ, მივადექით სტადიონს. აღმოსავლეთ ტრიბუნაზეა ჩვენი ადგილები. მატჩის დაწყებამდე ადრე იყო და ბიჭებს ვუთხარი, სტადიონს დავათვალიერებ, მეთქი. წავედი, წავედი და გასახდელების მიმდებარე ტერიტორიაზე რომ აღმოვჩნდი, ზუსტად იმ წუთს იქაურობას „დინამოს" ავტობუსი მოადგა. ტარიელ ვარდანაშვილი, კარგი კაცი, შსს მინისტრის შოთა გორგოძის თანმხლები გახლდათ, გუნდს არ შორდებოდა. მივესალმე ბატონ ტარიელს, გამოველაპარაკე და ამ ლაპარაკ - ლაპარაკში, რაღაც საშვი მომცა, რითაც ჯერ გასახდელებთან, შემდეგ კი არენაზე აღმოვჩნდი. რას წარმოვიდგენდი ასე თუ გამიმართლებდა.

... თასი უკვე გამოტანილი იყო. დავიწყე გადაღება, თან ვნერვიულობ, სასტუმროს ნომერში უამრავი ფირი მაქვს, სტადიონზე კი მხოლოდ სამი წამოვიღე. გამოვიდნენ გუნდები მოედანზე, გადავიღე; დაიწყეს მოთელვა, გადავიღე; იქით თასი გადავიღე, მწვრთნელები... ამასობაში დაცვის თანამშრომელი მოდის და საშვს მთხოვს. ვუჩვენე რაც მქონდა. ეს აქ არ ჭრისო, და ტრიბუნისკენ გამიძღვა. ჩემი ადგილიდან, ჯგუფის საპირისპირო მხარეს აღმოვჩნდი. სრულიად მარტო ვარ. რა ვქნა, აღარ ვიცი. ამ დროს სარბენი ბილიკებიდან მავანი უცხოელი მოდის და მეკითხება, სწორად როგორ გამოითქმის - გუშაევი თუ გუჩაევი? ვუთხარი სწორი როგორც არის. მიხვდა რა დღეში ვიყავი, იქვე, ჩემს მოდარაჯე დაცვას რაღაც გადაულაპარაკა, TV-ს გადასაცემელი მომცა და არენაზე დამაბრუნა. ოღონდ კატეგორიულად გამაფრთხილეს, მოედანზე არ გახვიდეო. წავედი და „კარლ ცაისის" კარს უკან დავდექი. თან ფირებზე ვფიქრობ, ვდარდობ, რომ მატჩის ბოლომდე ვერ ვიკმარებ.

... გუცაევის გოლამდე შენგელიას გაკეთებული პასი გადავიღე, აპარატი ჩამოვიღე და გოლი უკვე პირდაპირ ვნახე... მერე „დინამოს" სიხარული აღვბეჭდე. გავაგრძელე გადაღება, მაგრამ უკვე ძალიან ეკონომიურად, ვგრძნობ, რომ „დინამო" მოიგებს და თასს აღმართავისას ფირები ხომ უნდა დამრჩეს. გადავიღე ყველაფერი. მერე გუნდთან ერთად გასახდელში შევედი. აბა, იქ ხდებოდა, თუ ხდებოდა, ბიჭები ყირაზე გადადიოდნენ. ამ დროს შემოდის უეფას წარმომადგენელი და გუცაევი და კაკილაშვილი დოპინგ-კონტროლზე გაჰყავს. შენგელიამ თანაგუნდელებს მიაძახა, რამე ისეთი ხომ არ დაგილევიათ, თასი ჩამოგვართვანო... მოვემზადე ამ ზეიმის გადასაღებად და ბიჭებმა აპარატით რომ დამინახეს, თასთან ერთად სათითაოდ მთხოვეს ფოტო. რიგი დადგა, უარსაც როგორ ვიტყვი. კოსტავა გადავიღე და ... მორჩა... ფირი დამთავრდა. დამთავრდა ჩემი იმდღევანდელი სიხარულიც... ბოლოთას ვცემდი. ავტობუსში ავედი და ჩემს თავზე გაბრაზებული, იქიდან აღარც ჩამოვსულვარ. სასტუმროში 100-მდე ფირი მაქვს, ყველაზე საჭირო დროს და ადგილას კი გადაღება ვერ მოვახერხე.

... დავბრუნდი თბილისში. ნაცნობ მეგობრებს ვუამბე ჩემი გერმანული თავგადასავალი. გაოცდნენ. რაც მოახერხე, ეგეც დიდი ამბავიაო. ცოტა ხანში ისევ ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიას მივაკითხე. მათი წარმომადგენლებიც უნდა ყოფილიყვნენ ფინალზე. ვეუბნები, აგერ ჩემი ფოტოები, დაამატეთ თქვენიც და ისტორია თაობებს შევუნახოთ, მეთქი. დამთანხმდნენ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, მათ ფოტოები არ აღმოაჩნდათ. ისე მოხდა, რომ საქართველოდან ფინალი მხოლოდ მე მაქვს გადაღებული. გავამჟღავნე ჩემი ფირები და წიგნად გამოვეცი. ერთ დღესაც მეგობარი მირეკავს. რუსთაველზე ვარ და სასწრაფოდ გამოდიო. დაკავებული ვიყავი, ვერ მოვალ, მეთქი. დაიჟინა. ალბათ რაღაც უჭირს, ვიფიქრე და პლეხანოვიდან საჩქაროდ რუსთაველზე ავედი. ოპერის წინ შევხვდი. გაიხედე პირდაპირო. მაშინ იქ წიგნების მაღაზია „საუნჯე" იყო. გავიხედე და არის ერთი ზედახორა, ჩოჩქოლი, გამიშვი-დამიჭირე... რა ხდება, - ვიკითხე გაკვირვებულმა. შენი წიგნის გამოა ეს ამბავიო. გახსოვთ, ალბათ, მწვანე წიგნი - „დიუსელდორფის რაინშტადიონზე". ეს იყო ჩემი პირველი წიგნი, ახლა კი მაისში, 77 წლის ასაკში რიგით 77-ე წიგნს გამოვცემ, სადაც „დინამო" „კარლ ცაისის" ძველ-ახალი ამბები იქნება გადმოცემული.



დემიკო ლოლაძე

***P.S.** მადლობას ვუხდით ბატონ დემიკო ლოლაძეს ფოტოების მოწოდებისთვის*



# დათო, პურზე გაიქეცი...

## ანუ როგორ ჩააგდო დიდმა ათიანმა ბურთი 35 მეტრიდან ხის ყუთში



დავით კაკაბაძე
სარბიელი

**ვინ მოთვლის, რამდენჯერ გვინახავს დიუსელდორფში გატანილი გამარჯვების გოლი, რომელიც ვიტალიმ, შეიძლება ითქვას, არაფრიდან შექმნა. და რამდენჯერაც ამ გოლს ვუყურებ, იმდენჯერ მახსენდება ვიტალის მატჩისშემდგომი სიტყვები, რომელიც მან ცენტრალური ტელევიზიის კორესპონდენტს უთხრა: ყიფიანმა ისეთი პასი მომცა, ისღა დამრჩენოდა ბურთი კარში შემეგდო, დანარჩენი ტექნიკის საქმე იყოო.**

ვისაც ის გოლი უნახავს, დამეთანხმება: ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა დავით ყიფიანის, პასის ამ დიდოსტატის გადაცემა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი იყო და „საგოლედ" მისი მონათვლა მხოლოდ დარასელიას იშვიათ თავმდაბლობას შეეძლო.

დავით ყიფიანის ოსტატობით ჩემი პირველი აღფრთოვანება რაიმე ოფიციალურ სპორტულ პაექრობას არ უკავშირდება. რვა თუ ცხრა წლის ვიქნებოდი და ჩემი სახლის, უშანგი ჩხეიძის 33-ის ეზოში, ფეხბურთს ვთამაშობდი ბიჭებთან ერთად. ამ დროს დათო ყიფიანი - ჩემი რვა წლით უფროსი დის თანაკლასელი - და მათი სხვა მეგობრები, ჩვენს ბინაში შეკრებილიყვნენ და, თუ არ ვცდები, ვიღაცის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. სუფრა გაშალეს თუ არა, აღმოჩნდა, რომ პური არ ჰქონდათ და მის მოსატანად დათო გაგზავნეს. ეზოში რომ ჩამოვიდა და „ფეხბურთელები" დაგვინახა, მათამაშეთო, გვთხოვა. ოთხნი ვიყავით. თქვენ ოთხნი და მე ერთიო. არ მახსოვს, რა ანგარიშით მოგვიგო. მახსოვს, როგორ უშედეგოდ დავდევდით ბურთის წასართმევად, მას კი გოლი გოლზე გაჰქონდა. შვიდი თუ რვა რომ გაგვიტანა, პურიც გაახსენდა და გვთხოვა, მაღაზიაში წამომყევითო.

ჩვევად გვქონდა: როცა ეზოს ცოტა ხნით ვტოვებდით, ბურთს ეზოს სიღრმეში, საამისოდ განკუთვნილ ხის ყუთში ვინახავდით, სათამაშო მოედნიდან 30-35 მეტრის დაშორებით. მომეცით, მე „ჩავდებო", შემოგვთავაზა დათომ. ჩემი მეგობარი მიშა კალატოზიშვილი, რომელიც უკვე ყუთისკენ დაძრულიყო, შეჩერდა და ბურთი ხელით უკან გაუგორა დათოს. დათომ მას გაჩერებაც არ აცადა და რბილი, უზუსტესი დარტყმით ბურთი ყუთში ჩაუშვა! დათომ წესიერად აღფრთოვანების გამოხატვაც არ გვაცადა და აბა, წავედითო, შემოგვძახა. მარჯანიშვილის მოედნამდე სულ ასე, გაოგნებისგან პირდაღებულებმა ვიარეთ.

მას შემდეგ დათო ყიფიანის საფეხბურთო გზა'ს სულ ახლოდან ვადევნებდი თვალს, თუმცა სიახლოვის მიუხედავად, ჩვენი ურთიერთობა მეგობრობაში არასდროს გადაზრდილა. არა, ასაკში რვაწლიანი სხვაობა ამაში ნაკლებად არის დამნაშავე. უბრალოდ, დათო ყიფიანი ჩემთვის - ფეხბურთის ქომაგისა და, მოგვიანებით, სპორტული ჟურნალისტისთვის - მუდამ იყო და ბოლომდე დარჩა კაცად, აღფრთოვანებით რომ შეჰყურებ, ქვემოდან ზემოთ, მეგობრობასთან კი ასეთი ურთიერთობა შეუთავსებელია.

2001 წლის 17 სექტემბერს დათო ყიფიანის ტრაგიკული ამბავი რომ შევიტყვე, ცხარე ცრემლით ვიტირე.

*ფოტოები წიგნიდან „დღესასწაულის წადილი"*



ქვედა რიგში მარჯვნიდან მესამე დავით ყიფიანი თანაკლასელებთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნუკრი კაკილაშვილი

13

# თამაში მოსაგებია... 21 წლის ბიჭი მოედანზე შედის...



მიხეილ ჟორჟოლიანი

სარბიელი

დიუსელდორფი. თბილისის „დინამო" - იენის „კარლ ცაისი". 67-ე წუთია, „დინამო" აგებს 0:1. ნოდარ ახალკაცი შეცვლას ამზადებს. მოედნის კიდესთან ნუკრი კაკილაშვილს დავალებას აძლევს.

ამ დროს „დინამო" ანგარიშს ათანაბრებს 1:1. კაკილაშვილი ზაურ სვანაძეს ცვლის და გამარჯვების გოლში წვლილი შეაქვს. კაკილაშვილი 10 წელიწადი იყო „დინამოში" და ორი დიდი ტიტული მოიგო: თასების მფლობელთა თასი და საბჭოთა კავშირის თასი (1979).

1980-81 წლის გათამაშებაში „კასტორიასთან" ორივე მატჩი სრულად ითამაშა, „ფეიენოორდთან" სტუმრად 15 წუთი და დიუსელდორფში. 21 წლის ბიჭი ფინალში შეცვლაზე შედის, თამაში მოსაგებია...

**- რა ხდებოდა მატჩამდე?**

- დიუსელდორფში რომ ჩავედით, ქალაქგარეთ მდებარე სასტუმროში დავბინავდით. ორი მაგარი მოედანი იყო და იქ ვვარჯიშობდით. იყო ნერვიულობაც. თან ჩივაძეს ვარჯიშასას ბურთი მოხვდა თავში, მერე სიცხემ აუწია... ოთარ გაბელიას სათამაშო ფორმა დაეკარგა... თუმცა, ძალიან იმედიანად ვიყავით და უფრო სიცილხარხარში გავატარეთ ის პერიოდი.

საერთოდ, ძალიან მეგობრული გუნდი იყო. გვერიდებოდა უფროს და სიტყვის მთქმელ ხალხთან, მაგრამ ეს უფრო პატივისცემის ნიშნად...

ნოდარ ახალკაცი თეორიულად, ტაქტიკურად, ფიზიკურად და პრაქტიკულად გვამზადებდა. გვიხსნიდა ყველა დეტალს, ვინ, სად, როდის, როგორ უნდა ყოფილიყო მოედანზე. ტექნიკა არავის აკლდა „დინამოში"...

**- შემადგენლობა როდის გამოცხადდა და სათადარიგოდ რომ ალმოჩნდით, რა იფიქრეთ?**

- ან მე უნდა მეთამაშა, ან ზაურ სვანაძეს. ნოდარ ახალკაცი სხვებსაც ეკითხებოდა აზრს. ახალგაზრდა ვიყავი, გამოუცდელი და დააყენეს სვანაძე. თუმცა, მწვრთნელმა მითხრა, რომ აუცილებლად მათამაშებდა.

**- სათადარიგოთა სკამზე რა ხდებოდა?**

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რადგან ახალკაცმა პირველივე წუთებიდანვე გამიშვა გასახურებლად. თუმცა, რაც ადრე მინახავს, ალბათ იგივე. კუტივაძე და ახალკაცი თუ გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს. თუმცა, რას საუბრობდნენ, ჩვენ არ გვესმოდა...

მთავარი რაც იყო, ახალკაცმა მატჩის წინ უწმინდესის დეპეშა წაგვიკითხა. ამით ფსიქოლოგიურადაც მოგვამზადა, განწყობა მოგვცა.

**- უშიშროება არ იყო გასახდელში?**

- უშიშროებიდან სულ დაგვყვებოდნენ, მაგრამ იმ დელეგაციის ხელმძღვანელი შოთა გორგოძე იყო. თუმც, ამ თემაზე არაფერი უთქვამთ, დეპეშა იყო უბრალოდ. ჩვენზე დადებითად იმოქმედა ამ ფაქტმა.

**- 0:1-ზე ახალკაცმა მოედანზე შესასვლელად დაგიძახათ...**

- სიმართლე რომ გითხრათ, დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში. გუნდში პანიკა არ შეიმჩნეოდა. ახალკაცმა დამიძახა, მივედი, მცირე დარიგება მომცა, მერე მოედნის კიდესთან მესაუბრებოდა და ამ დროს გავათანაბრეთ კიდეც.

მოედანზე ძალიან ვნერვიულობდი. ახალგაზრდა ვიყავი და ამხელა ფინალში უნდა მეთამაშა. შეცვლაზე შესვლა ძალიან ძნელია. ფიქრობ, ვაიმე, რამე არ გავაფუჭო, ჩემს გამო არ წავაგოთ. იცი, მთელი საქართველო გიყურებს. ღმერთის წყალობით, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

**- დარასელიას გოლშიც გაქვთ წვლილი...**

- ჰო, ყველა ამას ამბობს და მეუბნება... სიტუაციიდან გამომდინარე მომივიდა თავში. როდესაც დარასელია თავის საქმეს აკეთებდა და, დამეთანხმებით დიდებულად, წამიერად შევატყვე, რომ მესამე მცველი, შესაძლოა, დაზღვევაზე წასულიყო და ჩავკეტე. თუმცა, ვფიქრობ, მსაჯის ყურადღება უფრო ჩემსკენ რომ ყოფილიყო და არა, დარასელიაზე, ჯარიმას დანიშნავდა, ნუ, 50/50-ზე იყო...

**- მატჩის შემდეგ რა მოხდა?**

- ქართველები ბევრნი იყვნენ ჩამოსული. იყვნენ მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. ძალიან ბევრი ქართველი ებრაელი იყო ჩამოსული. ახალი ხილი იყო დოპინგი. წილისყრით ორივე მხრიდან 2-2 კაცი აგვარჩიეს. ჩვენგან მე და ვლადიმერ გუცაევი წაგვიყვანეს. იმდენად ვიყავით გამოფიტულები, ვერაფრით მოვშარდეთ. შემოგვიტანეს ლუდი, კოკა-კოლა, ლიტრობით დავლიეთ, 2 საათი იქ ვიყავით.

სასტუმროს მეპატრონე კარგი ქალბატონი იყო. ყველა პირობას გვიქმნიდა და ვიცოდით, რომ პატარა ბანკეტივით უნდა ყოფილიყო. ჩვენ რომ მივედით, იყო უკვე ერთი ამბავი. ეს თასი შამპანურით გაავსეს... თუმცა, არ ვიცოდით რა ხდებოდა თბილისში. ისეთი დახვედრა მოგვიწყევს, ყველა მოლოდინს გადააჭარბა.







40 წლის შემდეგ...

უმუშევარი

betlive.com

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზურგის ბიჭები



მიხეილ ჟორჟოლიანი
სარბიელი


0:1 „დინამო" აგებს. 63-ე წუთია. სასწორზე თასების მფლობელთა თასია. 11 ფეხბურთელი მოედანზე იბრძვის, ხუთი სათადარიგოთა სკამზეა. თუ გუნდს დასჭირდა, მზად არიან „ომში" შევიდნენ. ამ ხუთეულიდან ეს ბედნიერება მხოლოდ ერთს - ნუკრი კაკილაშვილს ხვდა წილად, ხოლო ოთხი სკამზე დარჩა: ვაჟა ჟვანია, კარლო მჭედლიძე, გიორგი ჭილაია, ამირან ანდღულაძე.

## ვაჟა ჟვანია





**ვაჟა ჟვანია**, ტანმორჩილი გარემარბი, სხარტი, ძალიან ნიჭიერი. მომდევნო წელს სსრკ-ს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ტულონის ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი გახდება. ტულონის ტურნირი კი მაშინ მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატად ითვლებოდა. მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო!

თასების მფლობელთა თასზე ახალკაცმა ორი თამაში მისცა „უოტერფორდთან" სასტარტოში დააყენა და 64 წუთი ათამაშა და, ძნელად დასავიწყებელი მატჩი „ფეიენოორდთან", სადაც შეცვლაზე 25 წუთი ითამაშა.

„პირველ ყოვლისა, უფალს მადლობა უნდა ვუთხრა, რომ 20 წლის ბიჭს მომინია ასეთ დიდ გუნდში თამაში. ძალიან დიდ ფეხბურთელებთან - არ ვამეტებ, მსოფლიო დონის ფეხბურთელებთან. მაშინ ამას ვერ ვგრძნობდი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან კარგად ვაანალიზებ. მადლობა ასევე ნოდარ ახალკაცს, მოგვიანებით, რომლის ოპოზიციაშიც ვიყავი, მაგრამ ვაღიარებ, ბრძენი იყო.

კონკრეტულად იმ თამაშებს რაც შეეხება, რომელებშიც შემადგენლობაში ვიყავი, ძალიან ვნერვიულობდი. წარმოიდგინეთ, ახალგაზრდა ბიჭი ვარ და ასეთი ფეხბურთელების გვერდით ვარ მოედანზე. არადა, ბაზაზე, შეკრებებზე დისტანცია გვქონდა. კარგი გაგებით ვამბობ, ახლოს ვერ ვეკარებოდით. ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის ისინი კერპები იყვნენ და შორიდან ვაკვირდებოდით. საბჭოთა კავშირს, ამხელა ქვეყანას აზანზარებდნენ. თასების მფლობელთა თასზე ყველა თამაში დაძაბული იყო, მაგრამ იმდენად ტექნიკური და მრავალფეროვანი გუნდი გვყავდა, ვერ გვაჩერებდნენ. დარასელია ჩამშლელიც იყო და შემქმნელიც, ყიფიანი ბრძენი, გუცაევი უდიდესი ტექნიკის პატრონი, შენგელია სულ იქ იყო, სადაც ბურთი უნდა მისულიყო. ასეთი საოცარი გუნდი გვყავდა...

„ფეიენოორდთან" საოცარი თამაში ჩავატარეთ თბილისში. ერთ-ერთი საუკეთესო „დინამოს" ისტორიაში. კიდევ კარგი 3:0 მოვიგეთ, თორემ ნიდერლანდებში რა გვიქნეს, ბევრმა ძალიან კარგად იცის. მსაჯის „წყალობით" მხოლოდ 0:2 წავაგეთ, მაგრამ ფინალში გავედით...

ფინალში სათადარიგოთა სკამზე ვიყავი. ახალკაცი ვერ ისვენებდა. მერე მითხრა, გახურდი, რა დროს დამჭირდები არ ვიციო. კარს უკან ვხურდებოდი და იქიდან ვადევნებდი თამაშს თვალს. სულ მინდოდა ყველა მომენტში ვყოფილიყავი ჩართული და თვალი მედევნებია, მაგრამ ვერც ახალკაცს გამოვაპარებდი, რომ არ ვხურდებოდი და საყვედურს მეტყოდა...

გოლი რომ მივიღეთ, ახალკაცმა შეცვლის გაკეთება გადაწყვიტა. თუ გახსოვთ, „კარლ ცაისის" გოლის მომენტში დაცვა ჩავარდა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა. როგორც მერე გამოჩნდა, ეს სწორი გადაწყვეტილება იყო...

გოლიდან გოლამდე 4 წუთი? წაგებაზე არც თავიდან ვფიქრობდით და არც მერე. თანაც ისე სწრაფად გავათანაბრეთ, რომ ის პატარა მონაკვეთი, ფაქტობრივად, არც კი მახსოვს. აი, მართლა ვერ ვიხსენებ რა ხდებოდა ჩემ თავში და რას ვფიქრობდი მაშინ..

**40 წლის შემდეგ...**

უმუშევარი

## კარლო მჭედლიძე





**კარლო მჭედლიძე** კარგი მეკარე იყო, მაგრამ ოთარ გაბელიას კონკურენცია რთული იყო. გაბელია ჩინებულად იდგა კარში და ასეთ დროს მეკარეს იშვიათად ცვლიან. „დინამოში" ბევრი მატჩი არ აქვს ჩატარებული. არადა, 1976 წელს სსრკ-ს ახალგაზრდულ ნაკრებში ვიტალი დარასელიასთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა.

იმ დაუვიწყარ ფინალში სათადარიგოთა სკამზე იყო...

„მატჩამდე დიუსელდორფის გარეუბანში სასტუმროში დავბინავდით, სადაც მარტო ჩვენ ვიყავით და თამაშისთვის წყნარად, კომფორტულად ვემზადებოდით. დარწმუნებული ვიყავით გამარჯვებაში, მაშინაც კი, როდესაც გოლი გაგვიტანეს და ვაგებდით. არ გვქონია პანიკა, მთავარი იყო მოცემულ დავალებას და ტაქტიკას გავყოლოდით...

ახალკაცი მატჩამდე რასაც იტყოდა, ის უნდა გადაგვეტანა მოედანზე. ეს არამარტო ამ თამაშზე, არამედ ყველა შეხვედრის დროს ასე იყო. ცხადია, პატარ-პატარა ჩასწორებებს იძლეოდა, მაგრამ წინასწარ იცოდა ბოლომდე როგორ უნდა გვეთამაშა...

შეუძლებელი იყო იმის გადმოცემა, რაც მერე მოხდა. მე ევროპის ჩემპიონიც ვარ იუნიორებში სსრკ ნაკრებში, მაგრამ ეს ჩვენი იყო, ქართული და ყველაზე მაგარი წარმატება. თუმცა, ეს ყველაფერი მოსკოვის აეროპორტში უფრო ვიგრძენით, ხოლო თბილისში საერთოდ რა დახვედრა მოგვიწყვეს, ეს უკვე ყველამ იცის. ხელში აყვანილი დავყავდით ბიჭები.

კომუნისტების დროს საჩუქარს და პრემიას არ იძლეოდნენ, მაგრამ ყველაზე დიდი საჩუქარი საკუთარ თავსა და საქართველოს გავუკეთეთ...

მჯერა, რომ ქართული ფეხბურთი კიდევ მიაღწევს დიდ წარმატებას...

**40 წლის შემდეგ...**

კარლო მჭედლიძის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის დამფუძნებელი

## ამირან ანდღულაძე

**ამირან ანდღულაძე** „დინამოში" 1981 წლის დასაწყისში მივიდა. ახალწვეული ფინალში სათადარიგოთა სკამზე იჯდა. მართალია, სასტარტოში იშვიათად ხვდებოდა, მაგრამ ახალკაცი ენდობოდა. საქმეს როცა დასჭირდებოდა, საქმეშიც უშვებდა.

„დინამოში" სამი წელიწადი გაატარა, მაგრამ გუნდის მთავარი მატჩისას იქ იყო.

სამწუხაროდ, ამირან ანდღულაძე 2006 წელს ტრაგიკულად დაიღუპა...



## გიორგი ჭილაია





**გიორგი ჭილაია** 75 წლიდან იყო „დინამოში". სულ 50 მატჩი ჩაატარა და ეს ტრავმების ბრალია, რომელმაც ძალიან გააწამა. 1980 წელი კი, საუკეთესო გამოდგა მის კარიერაში. „დინამოში" ორი გოლი აქვს გატანილი და ორივე იმ წელს. ჯერ თასის ფინალში დონეცკის „შახტართან" და თასების მფლობელთა თასის მერვედფინალში „უოტერფორდთან". არადა, სტაჟიან გულშემატკივრებს მისი ჩინებული სოლო-რეიდიც ემახსოვრება „ლივერპულთან", რომელიც რამაზ შენგელიამ გოლით დაასრულა.

„კასტორიასთან" ორივე მატჩი, „უოტერფორდთან" სულ 8 წუთი და გოლი, „ვესტ ჰემთან" შინ 77 წუთი - ასეთია თასების მფლობელთა თასის 1980-1981 წლების გათამაშებაში გიორგი ჭილაიას სტატისტიკა. მას ერთი მატჩი დააკლდა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებამდე.

... 1980 წელი მართლაც საუკეთესო იყო ჩემს კარიერაში. გოლები ისედაც არ გამქონდა ბევრი, მცველი ვიყავი, მაგრამ ორივე იმ წელიწადს გავიტანე, მათ შორის ერთი, თასების მფლობელთა თასზე. მანამდე ავარიაში მოვყევით, მე, თემურ ალექსიძე და საშა ჩივაძე. მე და თემური წინ ვიჯექით და ძალიან დავიმტვერით. ჩემი ხელი უკანა სავარძელიდან გადმომაწოდა ჩივაძემ. ხელი ან უნდა მოეკვეთათ, ან -არა. 11-საათიანი ოპერაცია გამიკეთეს და გადამირჩინეს. არადა, სსრკ ნაკრების კანდიდატი ვიყავი.

... 1981-ის დასაწყისშიც ტრავმა მივიღე, კუნთი გამიწყდა, მაგრამ მონდომებით და ვარჯიშით 16 კაცში მოვხვდი და დიუსელდორფში გუნდთან ერთად ვიყავი. მთელი ტაიმნახევარი ვხურდებოდი. ერთ მომენტში ახალკაცს შეცვლაც ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ გადაიფიქრა...

... მოედნის გარეთ ვინც ვიყავით, უფრო ვნერვიულობდით. განსაკუთრებით მე და ამირან ანდღულაძე, ვისთან ერთადაც „ნორჩი დინამოდან" მოვდიოდი, მაგრამ ყველას მოგების იმედი გვქონდა. გვჯეროდა იმ ბიჭების, ვინც მოედანზე იყო...

... დიუსელდორფში დელეგაციის ხელმძვანელი შოთა გორგოძე იყო და მატჩის შემდეგ ქართული ბანკეტი გვქონდა. მერე იყო აეროპორტებში დახვედრა მოსკოვში და, განსაკუთრებით, თბილისში. ქვეყანა ჩვენით ამაყობდა. იმედია, ასეთი დრო კიდევ დადგება...

**40 წლის შემდეგ...**

უმუშევარი



ნოდარ ახალკაცი, სერგო კუტივაძე, კახი ასათიანი, შოთა გორგოძე, ზაქარია თელია

# ახალკაცის ამქარი



სოსო კოტორაშვილი
სარბიელი

დიუსელდორფის „რაინშტადიონზე" იენის „კარლ ცაისთან" მოგებული ფინალური მატჩის შემდეგ, „დინამომ" სტადიონზე გუნდური ფოტო გადაიღო, რომელშიც გუნდის უფროსს კახი ასათიანსა და მასაჟისტს ანზორ გაბიტაშვილს ვერ ნახავთ.

„ანზორმა ფინალის ბურთი მოიპარა, გაიქცა და ამიტომ არ დადგა. კახი ასათიანის ისტორია კი აქამდე უცნობი იყო. კახის რომ დაუძახეს, მოდიო, სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ტიროდა. ეს ისეთი დეტალია, ყველამ უნდა იცოდეს", იხსენებს „დინამოს" კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე.

„კახი ძალიან დიდი პიროვნება და ფეხბურთელი იყო. 1968-70 წლებში სსრკ-ს ნაკრებში პირველი ფეხბურთელი გახლდათ. ერთხელ შესარჩევი ეტაპის მატჩი გასვლაზე თურქეთს 3:0 მოუგეს და იქაურ გაზეთში წერილი ასეთი სათაურით გამოაქვეყნეს „ასათიანი თურქეთი 3:0". ასეთი დიდი ფეხბურთელი იყო ჩვენი გუნდის უფროსი", - ასე იგონებს ასათიანს ვლადიმერ გუცაევი.

კახი ასათიანმა საკლუბო კარიერის განმავლობაში მხოლოდ თბილისის „დინამოში" ითამაშა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 218 შეხვედრაში 27 გოლი გაიტანა.

საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრების რიგებში ჩაატარა 16 მატჩი და გაიტანა 5 გოლი. საბჭოთა ნაკრებთან ერთად მონაწილეობდა ევროპის 1968 წლის და მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატებზე. პირველი ფეხბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, რომელმაც ყვითელი ბარათი მიიღო.

2011 წლის 17 მაისს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, თბილისის „დინამოს" მიერ თასების მფლობელთა თასის მოპოვების 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით 1981 წლის თბილისის „დინამოს" სრულ შემადგენლობასა და სამწვრთნელო შტაბთან ერთად კახი ასათიანს საქართველოს სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა.

ცხადია, რაინდის წოდების გარეშე არ დარჩენილა, მთავარი მწვრთნელის, ნოდარ ახალკაცის თანაშემწე სერგო კუტივაძე, რომელმაც მოთამაშის კარიერა ყველასთვის მოულოდნელად 28 წლისამ დაასრულა და იმ იშვიათ ფეხბურთელთაგანი (რამაზ ურუშაძესთან ერთად) იყო, საბჭოთა კავშირის ნაკრებში არა თბილისის"დინამოდან", არამედ, ქუთაისის „ტორპედოდან" რომ მოხვდა. კუტივაძის საფეხბურთო კარიერა სწორედ „ტორპედოდან" დაიწყო და, როგორც ნიჭიერ ფეხბურთელთა გამოჩენის შემთხვევაში ხდებოდა, „დინამოში" გაგრძელდა. მერე იყო სამწვრთნელო სარბიელი და ნოდარ ახალკაცმა ახალი გუნდის შენება სერგო კუტივაძესთან ერთად დაიწყო.

„დინამოში" ახალკაცის ამქრის უცვლელი წევრი იყო ექიმი ზაქარია თელია, მეტიც, იგი 1958 წლიდან მოყოლებული 25 წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისური კლუბის ექიმად და მის ჯადოსნურ დასტაქრობებზე დღემდე ლეგენდები დადის, დასტურად დიუსელდორფური ფინალის ამბავიც კმარა:

„ ფინალის წინ, სანამ გერმანიაში გავემგზავრებოდით, ვარჯიშზე ცხვირში ბურთი მომხვდა და სისხლი წამსკდა, საღამოს კი სიცხემ 40 გრადუსამდე ამიწია. წამლის მიღება არ შეიძლებოდა და გუნდის ექიმმა, ცხონებულმა ზაქრო თელიამ მამაპაპური მეთოდით მიმკურნალა. ღამით ოფლში გავიწურე, სამაგიეროდ, დილით მშვენივრად ვიყავი", - იგონებს მადლიერი ალექსანდრე ჩივაძე.

„დინამოში ოფიციალური თანამდებობა არ ეკავა, თუმცა გუნდისა და გერმანიაში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შოთა გორგოძე გახლდათ. „დინამო" ისედაც სამინისტროს გუნდად ითვლებოდა და გორგოძეს კურატორობა ეგებ თანამდებობითაც ერგობოდა, მაგრამ ის რომ ფეხბურთზე და „დინამოზე" უზომოდ შეყვარებული გახლდათ, ამაზე მისი გაკეთებული საქმეებიც მეტყველებს და დინამოელებიც დაგვიდასტურებენ.

# ოთხმოცდაორი ოთხმოცდაერთზე



ვაჟა ხუციშვილი
სარბიელი



ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც „დინამოს" ექიმს ანზორ გაბიტაშვილს აუხდა სიზმარი. ნახა, მოიგო და წამოიღო. ფინალის მსაჯ რიკარდო ლატანცის და სპორტის ოსტატ ანზორ გაბიტაშვილს შორის ბურთისთვის უთანასწორო ჭიდაობაში დინამოელმა იმარჯვა. ან უკვე 82 წლის ექიმი ხალისით დაგვთანხმდა გაეხსენებინა ცხოვრებისეული ამბები და ცხადია, ის მთავარიც ლატანცის ხელიდან ბურთის დახსნისა.

„... ბავშვობიდან ძლიან მიყვარდა სპორტი, ვჭიდაობდი, ჩვენს სოფელში ყოველ შაბათკვირას ტარდებოდა შეჯიბრებები ქართული ჭიდაობაში. ამ ღონისძიებას „გრანდიოზული საღამო" ერქვა. სხვადასხვა სოფლის ბავშვები ერთმანეთს ეჭიდავებოდნენ და მაყურებელიც კარგი გვყავდა. სულ ვიმარჯვებდი ამ შეჯიბრებებზე. თუ წავაგებდი დედაჩემი ძალიან ნერვიულობდა და მტუქსავდა კიდეც.

„.... სკოლაში ტანვარჯიშიც ვვარჯიშობდი და პირველთანრიგოსანი ვიყავი. ჩემს პროფესიის არჩევანზე ჩემმა დეიდაშვილმა გოგი ჯანიაშვილმაც დიდი გავლენა მოახდინა. გოგი ქირურგი იყო, კარგი ექიმი. სპორტის სიყვარულითა და გოგის გავლენით ავირჩიე სპორტული მედიცინა. სტუდენტობის დროსაც ვჭიდაობდი და სპორტის ოსტატიც გავხდი კლასიკურ ჭიდაობაში. ფრიადოსანი სტუდენტიც ვიყავი, თავიდანვე ძალიან მიყვარდა არჩეული პროფესია.

„...სლავა მეტრეველს ვიცნობდი და ვმეგობრობდი. არამიანცის საავადმყოფოში მუშაობის პერიოდში გავიცანი, მუხლზე ვმკურნალობდი. ეს იყო 70-იანების დასაწყისში. 1976 წელს, როდესაც სლავა თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელის, ნოდარ ახალკაცის თანაშემწედ დაინიშნა, შემომთავაზა „დინამოს" ფიზიო-თერაპევტობა. მაშინვე დავთანხმდი, ყველგან წამოგყვები-მეთქი.

„...საერთოდ, თამაშის წინა დღე სპორტული მობილიზების და დისციპლინის დღეა. ვარჯიში, ჯანმრთელობის პარამეტრების კონტროლი. გამარჯვების რწმენა - ეს არის რაც მახსენდება „კარლ ცაისთან" ფინალის წინა დღეს.

„...ფინალამდე რამდენიმე თვით ადრე, ირლანდიაში „უოტერფორდთან" გამარჯვების წინა საღამოს დამესიზმრა, რომ თასების მფლობელთა თასი ავიღეთ. დილით მოვუყევი ნოდარ ახალკაცს და კახი ასათიანს. გაეცინათ, ევროპიდან თასს გაგვატანენო?! „უოტერფორდი" დავამარცხეთ ორივე შეხვედრაში და გადავედით მეოთხედფინალში, მერვედფინალში, ფინალში. თასის აღების რწმენა იზრდებოდა.

„...დიუსელდორფში გამგზავრების წინ გუნდის კრებაზე გამოვაცხადე: თასს ჩვენ ავიღებთ და მე გამარჯვების ბურთს წამოვიღებ-მეთქი. თამაშის შემდეგ ფარსადანოვიჩმა ხელი გამკრა: შენი დრო მოვიდაო და ბურთზე მანიშნა. მაშინათვე საქმეზე გადავედი. ბავშვობაში ხელიდან ბურთი არავისთვის წამირთმევია, ფეხბურთის თამაშის დროს კი, მაგრამ მაგას ბურთის ართმევა უფრო ქვია.

„... ბურთი ჩემთანაა, სახლში. შევხედავ და 1980-81 წლების გამარჯვებებს ყოველდღე ვიხსენებ. ამით ვცხოვრობ. ბოლოს რომელმა დინამოელმა მოინახულა ბურთი, ზუსტად თქმა გამიჭირდება, საშა ჩივაძე იქნებოდა.

„...1981 წელია, 4 მარტი. ლონდონში „ვესტ ჰემ იუნაიტედთან" 1:4-ით მოგების შემდეგ, იქაურებმა თქვეს: ქართველებმა გვასწავლეს ფეხბურთის თამაში და შექსპირის დადგმაო. ამ დროს რუსთაველის თეატრს დიდი გასტროლები ჰქონდა ინგლისში. სიამაყით ვიხსენებ, რომ პატარა ქვეყნის შვილები ასე გვაღიარა ფეხბურთისა და შექსპირის სამშობლომ.

**გაზეთი დასაბეჭდათ მზად იყო, როდესაც სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ - 82 წლისა გარდაიცვალა ანზორ გაბიტაშვილი.**

**ვუთანაგრძნობთ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს**

www.sarbieli.com
დაასკანერეთ QR კოდი თქვენი სმარტფონით და ნახეთ
როგორ გასტაცა ანზორ გაბიტაშვილმა ბურთი იტალიელ არბიტრ რიკარდო ლატანცის



# განსაკუთრებული ხუთეული

თასების მფლობელთა თასის გათამაშებამ უამრავი შემთხვევა იცის, როდესაც ტურნირში არა საშინაო თასის მფლობელი, არამედ დამარცხებული ფინალისტი ჩაერთო. თუნდაც ბათუმის „დინამო" შეგვიძლია გავიხსენოთ, რომელმაც 1996-99 წლებში ზედიზედ 4-ჯერ ითამაშა თასების თასზე, არადა, თასის მფლობელი მხოლოდ ერთხელ იყო. სამჯერ კი ევროტურნირზე თბილისის „დინამოსთან" დამარცხებული ფინალისტის სტატუსით ითამაშა.

აი, გუნდს საშინაო თასი არ მოეგოს, თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მაინც ეთამაშოს და გამარჯვებული გამხდარიყო, ისტორიას ასეთი 5 შემთხვევა ახსოვს. ამ ხუთიდან ერთი „დინამოა". მიმდევრობით მოვყვეთ.

### 1960-61 ფიორენტინა იტალია

ფლორენციელებმა იტალიის თასის ფინალი ჩემპიონ „იუვენტუსთან" წააგეს. თასების მფლობელთა თასის იმ დროს 2-მატჩიან ფინალში კი გლაზგოს „რეინჯერსი" დაამარცხეს.

### 1971-72 რეინჯერსი შოტლანდია

გლაზგოელებმა შოტლანდიის თასის ფინალი თანაქალაქელ ჩემპიონ „სელტიკთან" დათმეს. თასების მფლობელთა თასის ფინალში კი „კამპ ნოუზე", მოსკოვის „დინამოს" მოუგეს.

### 1977-78 ანდერლეხტი ბელგია

ბრიუსელელბმა ბელგიის თასის ფინალში ჩემპიონ „ბრიუგესთან" წააგეს. თასების მფლობელთა თასის ფინალში კი, სადაც, სხვათა შორის, ზედიზედ მესამედ გავიდნენ, პარიზის „პარკ დე პრენსზე" „აუსტრია" დაამარცხეს.

### 1980-81 დინამო საქართველო, სსრკ

იმ სეზონში „დინამოც" თასის დამარცხებული ფინალისტი იყო, თუმცა ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც თასის მფლობელი ამავე დროს ჩემპიონი არ გამხდარა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მაინც დამარცხებული ფინალისტი გაუშვეს. „დინამომ" საკავშირო თასის ფინალი დონეცკის „შახტართან" წააგო, რომელსაც იმ პერიოდში რუსულ ყაიდზე „შახტიორი" ერქვა. თასების მფლობელთა თასი ფინალში კი, მოგეხსენებათ, „დინამომ" „კარლ ცაისი" დაამარცხა.

### 1996-97 ბარსელონა ესპანეთი

კატალონიურმა გრანდმა სამეფო თასის ფინალში დუბლის შემსრულებელ „ატლეტიკოსთან" წააგო. თასების მფლობელთა თასის ფინალში კი, „პარი სენ ჟერმენი" ბრაზილიელი რონალდოს პენალტით დაამარცხა.

# გულით დიუსელდორფში




მიხეილ მორჩილიანი

სარბიელი


**კიდევ ექვსი ფეხბურთელია, რომლებმაც 1980-81 წლის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ ფინალური მატჩის განაცხადში ვერ მოხვდნენ. რევაზ ჩელებაძე, დავით მუჯირი, ვახტანგ ქორიძე, გოჩა ჯოხაძე, კონსტანტინე კერესელიძე და გოჩა ჩქარეული ფინალს თბილისიდან ადევნებდნენ თვალს.**





**რევაზ ჩელებაძე** „დინამოს" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა. სტაჟიანი გულშემატკივარი „ჩელეს" ახლაც სიყვარულით იხსენებს. საოცარ პენალტს ასრულებდა.

საბჭოთა კავშირის ნაკრებში შვიდი მატჩი აქვს ჩატარებული და სამი გოლი გატანილი. სსრკ ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორია.

შინ „კასტორიასთან" 85-ე წუთზე შევიდა მოედანზე, სამაგიეროდ, საპასუხო მატჩში სასტარტოში იყო და 77 წუთი დაჰყო მოედანზე. სრულად ითამაშა „უოტერფორდთან" თბილისში, ხოლო სტუმრად მე-20 წუთზე შეცვალა ტრავმირებული გუცაევი და საგოლე პასიც გააკეთა.

ერთი მატჩი დააკლდა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება რომ მიელო.

„დინამო" დიუსელდორფში მიფრინავდა. გუნდთან ერთად ემზადებოდა ჩელებაძეც. ის იყო აეროპორტისკენ მიმავალ ავტობუსში უნდა ასულიყო, რომ...

„ჩვეულებრივად ბაზაზე ვიყავით შეკრებილი, მეორე დღეს უნდა გავფრენილიყავით. დილით ჩავალაგე ჩანთა და ავტობუსში რომ უნდა ავსულიყავი, გივი ნოდია მოვიდა და მეუბნება – რეზო, შენ რჩებიო. გაოგნებული დავრჩი, პატარა ბიჭივით მომექცნენ. ნოდარი გერმანიაში იყო, „კარლ ცაისის" თამაშზე ჩავიდა, მეტოქე უნდა ენახა. როგორც მერე გავიგე, ეს გადაწყვეტილება კახი ასათიანს მიუღია – თავადაც მითხრა ორი წლის შემდეგ...

გულდაწყვეტილი კი ვიყავი, დანა მქონდა გულში ჩარტყმული, მაგრამ „დინამოს" თამაშს როგორ გამოვტოვებდი. ბაზაზე დავრჩი, იქ იყვნენ ტრავმირებული ფეხბურთელები და დუბლების ბიჭები. ერთად ვუყურეთ თამაშს. ძალიან ვინერვიულეთ, განსაკუთრებით გერმანელების გოლის შემდეგ. კიდევ კარგი მალევე გავათანაბრეთ. ბოლოს ყველა ბედნიერი ვიყავით, ძალიან დიდ სიხარულს განვიცდიდით...

იქვე გვითხრეს ხალხი სტადიონზე იკრიბებაო და ჩვენც იქ წავედით. გადაჭედილი იყო „დინამო", ხალხი გვცნობდა, გვეხვეოდა, გვილოცავდა. საზეიმო დღეები გაგრძელდა. ეგ კი არა, აეროპორტში ბიჭების დასახვედრად რომ წავედით, ვერ მივედით იქამდე, ხალხმა არ მიგვიშვა...

დიუსელდორფში რომ ვერ გავყევი გუნდს, ხინჯად მქონდა დარჩენილი და ფეხბურთისთვის თავის დანებება მინდოდა. ევგრაფი შევარდნაძემ არ მომცა ამის უფლება და „გურიაში" წამიყვანა, მერე ბათუმის „დინამოში" ვითამაშე და ოთხი წლის შემდეგ ისევ ახალკაცმა დამაბრუნა „დინამოში"...

„დინამომ" ყველაფერი მომცა. ეს ჩემი გუნდია. ერთადერთი, ქობულეთის „შუქურას" ვუგულშემატკივრებ მის წინააღმდეგ, მაგრამ თუ „დინამო" მოიგებს, გული არ დამწყდება"...

**40 წლის შემდეგ**

დღეს ქობულეთის „შუქურას" პრეზიდენტია.

---

**დავით მუჯირი** „დინამოს" სტაჟიანი წევრია. 1974 წლიდან 1983 წლამდე ჰქონდა მორგებული საქართველოს საუკეთესო გუნდის მაისურა. თასების მფლობელთა თასის იმ გათამაშებაში ოთხი მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთი თამაში დააკლდა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდებამდე.

„კასტორიასთან" საგოლე პასი გააკეთა, „უოტერფორდთან" ორივე თამაშში მოედანზე იყო. შინ 82 წუთი, სტუმრად – სრულად. 13 წუთი ითამაშა თბილისში მატჩი „ვესტ ჰემთან".

„ამ გამარჯვებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდით. უკვე გამოცდილი გუნდი გვყავდა, შესანიშნავი ფეხბურთელებით. არამარტო საბჭოთა კავშირის, ევროპის მასშტაბითაც კი. სწორედ ამ გამოცდილების და შემოქმედების ხარჯზე მივაღწიეთ წარმატებას. თითოეული ძალიან ძლიერი იყო თავის პოზიციაზე, ნებისმიერ გუნდთან ვითამაშებდით...

იმ ციკლში ოთხ მატჩში გავედი მოედანზე. რადგან მენდობოდნენ, ალბათ, კარგად ვთამაშობდი. გული დამწყდა ფინალში რომ არ ვიყავი. მანამდე მინსკის „დინამოსთან" ცხვირი გავიტეხე. მაშინ ცნობილმა სპეციალისტმა ვახტანგ ხუციძემ („ნოპემ") გამიკეთა ოპერაცია. ჩემთვის ეს ცხვირის პირველი ტრავმა არ იყო და ამიტომ „ნოპეს" ცხვირის „აწყობა" დაჭირდა და რეაბილიტაცია გამიგრძელდა. ცხადია, გული დამწყდა, რომ ფინალში არ ვიყავი. არადა, ერთი თამაში დამაკლდა სპორტის დამსახურებული ოსტატობამდე და მხოლოდ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მომცეს. დიუსელდორფში სკამზეც რომ ვყოფილიყავი, უკვე დამსახურებულის წოდება მერგებოდა...

თამაშს მეგობართან ვუყურე. უფრო სწორად, მარტო ჩემი არა, ჩვენი გუნდის სამეგობროსთან. ბევრნი ვიყავით, ზოგი მეუღლეებით. რომ ვაგებდით, მაშინაც კი თავდაჯერებულები ვიყავით. ვგრძნობდით რომ, მაინც მოვიგებდით...

თამაში რომ დამთავრდა, სტადიონზე წავედით და იმ გულშემატკივრებს შევუერთდით, ვინც „დინამოს" მოგების აღსანიშნავად იყო გარეთ გამოსული. უამრავი ხალხი იყო, თითქმის დილამდე ვიყავით. მიხარია, რომ ხალხს უდიდესი სიხარული ვაჩუქეთ"...

**40 წლის შემდეგ**

გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.





---

**გოჩა ჯოხაძემ** „დინამოში" ხუთი წელიწადი გაატარა. თუმცა, ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 57-ჯერ გამოჩნდა მოედანზე. „უოტერფორდთან" საშინაო მატჩში 26 წუთი ითამაშა.

თბილისის „დინამოს" გარდა უთამაშია ქუთაისის „ტორპედოში", ბათუმის „დინამოსა" და თბილისის „შევარდენი 1906"-ში.

„რატომ ვერ წავედი დიუსელდორფში ვერ გეტყვით. მიზეზი არ ვიცი. არადა, ვფიქრობდი რომ მოვხვდებოდი 16 კაცში...

ფინალს თბილისში ვუყურე მეგობრებთან ერთად. თამაშის მერე ქუჩაში გავედით და რას ვხედავთ – მთელი ქალაქი ზეიმობს, სიგნალებით დადის. სტადიონისკენ რომ წავედით ხალხი უკვე შეკრებილი იყო, ვერ შეხვიდოდი ისეთი ამბავი იყო. კაი გათენებული იყო უკვე, ხალხი ძლივს გამოუშვეს იქიდან"...

**40 წლის შემდეგ**

ბიზნესმენი





**კონსტანტინე კერესელიძე** ნახევარმცველი იყო. იმ დიდ „დინამოში" თამაში თითქმის არ უწევდა, მაგრამ ნოდარ ახალკაცმა სტუმრად „უოტერფორდთან" 27 წუთი მასაც მისცა.

„ერთი მატჩი ვითამაშე იმ ტურნირზე, შეცვლაზე შევედი. თუმცა, „არ ვეჭვიანობდი". მეტიც, იმ „დინამოში" ახალი მისული ვიყავი და გაოცებული დავრჩი – სად მოვხვდი, რა ფეხბურთელებთან ერთად. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ, შესაძლოა, დიუსელდორფშიც ვყოფილიყავი. თუმცა, ფეხი მქონდა მოტეხილი და ცხადია, თბილისში დავრჩი. ვილაცამ ამბავი მოიტანა ხალხი სტადიონისკენ დაიძრაო და ბიჭებიც წავიდნენ. თუმცა, ბაზასაც უამრავი ხალხი მოაწყდა. იყო ერთი ამბავი – სიმღერა, ხალისი. მე ფეხმოტეხილი ოთახში ვიყავი და ზეიმშიც ვერ ჩავერთვე".

**40 წლის შემდეგ**

ბანკის თანამშრომელი.





**ვახტანგ ქორიძე** „დინამოში" 1975 წლიდან თამაშობდა და ერთი პერიოდი საბჭოთა ნაკრებშიც უხმეს, სადაც ოთხ მატჩში ერთი გოლიც გაიტანა. თუმცა, იმ სეზონში მხოლოდ 1980 წელს ითამაშა, ხოლო 1981 გამოტოვა.

„კასტორიასთან" 82-ე წუთზე შევიდა მოედანზე, ხოლო „უოტერფორდთან" სტუმრად 90 წუთი დაჰყო მინდორზე.

„1978 წელს სსრკ ნაკრებში ვიყავი გამოძახებული. იქ კუნთი გამიწყდა და შემდეგ ხშირად მახსენებდა თავს. რეციდივმა 1981 წელსაც დამჩაგრა და შემადგენლობაში ველარ ვხვდებოდი...

ფინალი თბილისში მეგობრებთან ერთად ვნახე, თამაში რომ დამთავრდა, სიხარულისგან აღარ ვიცოდით რა გვექნა. თუმცა, ჩვენზე უფრო გაგიჟებული ხალხი „დინამოს" სტადიონზე ვნახეთ – მინდორს კოცნიდნენ, ლოცავდნენ. რომ მიცნეს, ხელში ამიყვანეს და ისე მატარეს. მაგრად ვიქეიფეთ... მჯერა, რომ, მსგავსი დღესასწაულები ხშირად გვექნება".

**40 წლის შემდეგ**

სფფ-ის ვეტერან ფეხბურთელთა კომიტეტის თავმჯდომარე.

---



**გურამ ჩქარეული** ცქვიტი, ტექნიკური თავდამსხმელი იყო. „დინამოში" იმ პერიოდში ბევრი მატჩი არ უთამაშია. 1980-81 წლის სეზონში სულ ერთხელ გავიდა მოედანზე 13 წუთით და ისიც თასების მფლობელთა თასის მეთექვსმეტედფინალში სტუმრად „კასტორიასთან".

ამ სეზონის მერე ქუთაისის „ტორპედოში" გადავიდა, მერე ისევ „დინამო", ისევ „ტორპედო" და რუსეთის ჩემპიონატს მიაშურა, სადაც 1997 წლამდე ითამაშა. ბოლოს ვლადიკავკაზის „ალანიას" ახალგაზრდულ გუნდს წვრთნიდა.

**40 წლის შემდეგ**

რუსეთშია.




ილია ნანობაშვილი
სარბიელი

# ახალკაცი ახალკაცზე: მამამ დროს გაუსწრო...

„იმ ღამეს უფლება მქონდა, არ დამეძინა. თამაშის მერე რომ ჩვენი სახლი სტუმრებით გაივსო, ხოლო ყაზბეგის გამზირზე რომ სირენები ატყდა და ხალხი ერთმანეთს ეხვეოდა, ის მახსოვს" - ეს უმცროსმა ნოდარ ახალკაცმა გვითხრა.

ახალკაცი-უმცროსი 1981 წლის 13 მაისს 5 წლის იყო, თუმცა გარკვეული დოზით უკვე ჩართული ყოფილა თბილისის „დინამოს" მაშინდელ გიჟურ ამბებში. ამაზე თვითონ გვეტყვის.

- 13 მაისი. ვიწრო წრეში ვუყურე, სახლში. თამაში ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ ის მახსოვს, რა ხდებოდა მატჩის შემდეგ. ყაზბეგის ქუჩაზე ვცხოვრობდით, აივნიდან გადავიხედე და საოცარი სიხარული იყო. მანქანები, სიგნალები, შეძახილები, დროშების ფრიალი, „დინამო, დინამოს" ძახილი. თამაში კი, აბა, საიდან მემახსოვრებოდა, ჯერ სკოლაშიც კი არ დავდიოდი. ისე, იმ წელს რომ რაღაც სასიხარულო ამბები ხდებოდა, ვგრძნობდი და ჩართული ვიყავი. „ფეიენოორდთან" ნახევარფინალში, „დინამოს" სტადიონზე კარის უკან ვიდექი ცნობილ ფოტოგრაფ კოსტია შანიძესთან ერთად.

...მამა სულ საქმეში იყო ჩაფლული. ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, გეტყვით, რომ დილმის ბაზაზე პირველი მიდიოდა და ბოლო გამოდიოდა. გვენატრებოდა. აბა, წარმოიდგინეთ, „დინამო" საშინაო მატჩამდე სამი დღით ადრე გადადიოდა შეკრებაზე. შედიოდა ბაზაზე და იკეტებოდა. რატომ? მამაჩემმა იცოდა, რომ „დინამოს" ფეხბურთელები ხალხში პოპულარულები იყვნენ, შეიძლებოდა ზოგი ცდუნებას აჰყოლოდა და თამაშზე კონცენტრაცია ვერ მოეხდინა. დისციპლინა უმაღლეს დონეზე ჰქონდა და ბაზაზე ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ბიჭებს გამოკეტავდა ბაზაზე და თვითონ საღამოს სახლში მოდიოდა, ძალიან ცდება.

...ამას დაუმატეთ სეზონისწინა შეკრებები აფხაზეთში, მეტწილად ლესელიძეში. გარდა ამისა, კალენდრის მიხედვით, ზოგჯერ გადაებმეოდა ხოლმე გასვლითი მატჩები და დიდი ხნით უწევდა წასვლა. ასე რომ, გვიხაროდა, როცა სახლში იყო. მაგრამ თუ თამაში წაგებული ჰქონდა, უნდა გარიდებოდი.

...მამაჩემის პასუხისმგებლობის შტრიხი: 1976 წლამდე, სანამ „დინამოს" მწვრთნელად დაინიშნებოდა, დღეში დაახლოებით ორ კოლოფ სიგარეტს ეწეოდა. მოახერხა და დაანება თავი. დაანება იმიტომ, რომ ფეხბურთელებთან ბოლომდე მართალი ყოფილიყო და ვინმეს არ ეთქვა, ან ეფიქრა: „ჩვენ ამდენს გვთხოვს, თვითონ კი სიგარეტს აფუილებს".

...მამა „დინამოში" რომ დაინიშნა, გუნდი არასტაბილურად თამაშობდა. ჰქონდა გამონათებები, მაგრამ სტაბილურობას ვერ აღწევდა. საუკეთესო ფსიქოლოგები შემოიკრიბა, ჩაატარა კვლევა და მათი მეშვეობით ფეხბურთელების ხასიათი შეისწავლა. იცოდა, ვისთან როგორ უნდა ემუშავა. ჰყავდა ისეთები, რომლებიც ცუდად თუ ითამაშებდნენ, მაინც უნდა შეგექო. და ჰყავდა ისეთებიც, კარგი თამაშის მერე მაინც რომ უნდა გაგეკრიტიკებინა, რომ თავში არ ავარდნოდათ.



...ვიტალი დარასელიას შედარებით მეტ თავისუფლებას აძლევდა? დიახ, იმიტომ, რომ დარასელია ისედაც მკაცრი რეჟიმისტი იყო. თვალებში შესციცინებდა მამაჩემს და იმასაც ეკითხებოდა, დღეში რამდენი ჭიქა წყალი დაელია. მამა ენდობოდა, რადგან იცოდა, ვიტალი ზედმეტს არაფერს გააკეთებდა.

...სამწუხაროდ, საქართველოში ბევრს არ უყვარს დისციპლინა. შურიან და ჩასაფრებულ ხალხს რა დალევდა. რამდენჯერ წაგებული მატჩის მერე ჩვენთან სახლში უცხო ადამიანებს დაურეკავთ და უგინებიათ, ან გესლიანი სიტყვები უსვრიათ. სამაგიეროდ არ მახსოვს, უცხოს დაერეკოს და მიელოცოს.

...მამამ კომპლექსურად შეხედა დინამოს პრობლემებს და ერთი ხელის მოსმით არ გაუკეთებია მაგარი გუნდი. თვიდან თვემდე იზრდებოდა. 38 წლის იყო, როცა „დინამო" ჩააბარეს. დღეს რომ ყველა კონტრპრესინგზე ლაპარაკობს, გადავხედოთ „დინამოს" მაშინდელ თამაშებს: როცა უტევ, ბურთს ფლობ და კარგავ, უკან კი არ ჩამოდიხარ, იქვე ცდილობ წართმევას. და ვნახოთ, სადამდე ჩამოდიოდნენ უკან რამაზ შენგელია ან ვლადიმერ გუცაევი.

...იმ პერიოდში თითქმის ყველა გუნდი ლიბეროთი თამაშობდა. ერთი შეხედვით ალექსანდრე ჩივაძეც ლიბერო იყო, მაგრამ აი, დავაკვირდეთ, ხშირ შემთხვევაში დაცვა ხაზზე მოქმედებდა და ჩივაძეც გამოკვეთილი ლიბერო არ იყო.

...დავით ყიფიანზეც. ყველამ იცის, ყიფიანი „დინამოდან" გაუშვეს და მამამ, რომელიც „ლოკომოტივს" წვრთნიდა, გუნდში მიიწვია, ფეხბურთში დააბრუნა და შემდეგ „დინამოში" მასზე გააკეთა გათვლა. 1976 წელს ყიფიანი უკვე 25 წლის იყო, იმ პერიოდში კი, იცით, 30-31 წლის ასაკში



ასრულებდნენ კარიერას. ბევრი ამბობდა, ანი ყიფო რაღას ითამაშებსო. ახლიდან გაიხსნა და პირდაპირ ვიტყვი, ამაში მამაჩემის დიდი დამსახურება იყო.

...ევროტურნირები! აი, რა მიზანი ჰქონდა მამას. ის ხედავდა, რომ საბჭოურ მანქანებში ჩემპიონობა ურთულესი საქმე იქნებოდა, ამდენი მოსკოვური გუნდი, ამდენი უკრაინული - ვინ გაახარებდა „დინამოს". და მაინც რა ძლიერი გუნდი გვყავდა, რომ 1978 წელს ჩემპიონები გავხდით, ორჯერ თასი მოვიგეთ. ევროტურნირებზე კი მოგების მეტი შანსი იყო.

...მამამ მიზნად დაისახა, რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო მატჩი ჰქონოდა „დინამოს", მეტ ევროპულ და სამხრეთამერიკულ გუნდთან ეთამაშა, გამოცდილება დაეგროვებინა. და გუნდი იზრდებოდა. მარტივ მაგალითს გეტყვით: „გრასჰოპერსთან" მსაჯმა საშინელებები აკეთა და „დინამო" გატყდა, 0:4 წააგო. 1981 წელს კი როტერდამში უარესი მსაჯობა იყო და „დინამო" მაგრად დადგა, უტეხი ხასიათი გამოავლინა. უკვე გაზრდილი იყო გუნდი!

...ისედაც რომ გადავხედოთ, 70-იანი წლების პირველ ნახევარში ხშირად ხდებოდა, რომ „დინამო" გოლის გაშვებისას იბნეოდა და ფსიქოლოგიურად ეცემოდა. სამაგიეროდ, გავიხსენოთ როტერდამის თამაში. ხომ ცხადი იყო, რაც ხდებოდა. 2:0, ერთი უბრალო დაცემა საჯარიმოში და კიდევ ერთ პენალტს დანიშნავდნენ ჩვენს კარში. „დინამომ" იმდენი მოახერხა, რომ უბრალოდ საჯარიმოში არ შემოუშვა მეტოქე. ელემენტარული საბაბიც კი აღარ დაუტოვა მსაჯს. და გავიხსენოთ მთავარიც: ფინალი „კარლ ცაისთან". როგორი თავდაჯერებული იყო „დინამო" - ასეთ ცუდ დროს გოლის გაშვების მიუხედავად.

...ევროპული გუნდების შესწავლა დაიწყო მამამ. დათო კაკაბაძე მოგიყვებოდათ და მეც გეტყვით: დათო იენის უნივერსიტეტში სწავლობდა, იენის „კარლ ცაისი" კი გდრ-ის წამყვანი კლუბი იყო. მამამ 1978 თუ 1979 წელს სთხოვა დათოს, ამ გუნდზე რაღაც-რაღაცეებს დააკვირდიო. იცოდა, რომ შეიძლებოდა ევროტურნირებზე უახლოეს წლებში გადაგვყროდა. და აი, როცა ფინალისტები გაირკვნენ, დათომ, სტუდენტმა ბიჭმა იმდენი საინტერესო მასალა მოიტანა „კარლ ცაისზე", რომ ფეხბურთელები გაოცებულები უყურებდნენ. დეტალებზე იყო საუბარი, იმაზე კი არა, ვინ რა ნომრით თამაშობდა და რა ამპლუისა იყო.

...შესწავლილი ჰყავდა ისეთი გუნდებიც კი, რომლებიც საბჭოეთის ქვედა ლიგაში იყვნენ და ვინ იცის, თასზე შეხვედროდათ. მაგალითად სკა როსტოვი. მამა როსტოვში გამოძებნიდა ფეხბურთის კარგად მცოდნეს, ან ფიზკულტურის მასწავლებელს, ან სხვა პროფესიის კაცს, სთხოვდა მეტოქის დახასიათებას. ანუ, რაც დღეს სკაუტინგია! მაშინ სად იყო ინტერნეტი, მაგრამ თითქმის ყველა საერთაშორისო შეხვედრაში ჩანდა, რომ „დინამო" უკეთ იცნობდა მეტოქეს, ვიდრე მეტოქე „დინამოს".

...უნდა გავიხსენო „ვესტ ჰემთან" გასვლაზე 4:1 მოგება. იმ თამაშამდე მამამ იუგოსლავიაში, დღევანდელი ხორვატიის კურორტ დუბროვნიკში წაიყვანა გუნდი. ბიჭებს სიქა გააცალა ვარჯიშით და ბევრნი უკმაყოფილოები იყვნენ: კურორტი, ცდუნება... სამაგიეროდ, „ვესტ ჰემთან" თამაშის მერე ტაში დაუკრეს მამას და მადლობა გადაუხადეს.

...რატომ ჩავარდა „დინამო" 1981 წლის მერე? ჯერ გარე პრობლემაზე ვიტყვი. „სტანდარდთან" თასების თასის საპასუხო ნახევარფინალის წინ სსრკ ნაკრებს ტურნე ჰქონდა არგენტინაში და ზემოდან ბრძანეს, თბილისის დინამოელებიც უნდა წავიყვანოთო. 7 კაცი წაიყვანეს! რისთვის? ამხანაგური მატჩისთვის, როცა აქეთ ევროთასების ნახევარფინალი ელოდათ. ამდენი ფრენისგან და თამაშისგან დაღლილი ბიჭები... პირდაპირ ბელგიაში ჩაფრინდნენ. ეს იყო შური და მავნებლობა. თბილისის „დინამოს" ხელს უშლიდნენ.

...ჩავარდნის მთავარი მიზეზი? რამდენიმე იყო. დარასელიას გარდაცვალება. ვიტალის როლი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა. მას ლიდერობა უნდა ეტვირთა, გარდა ამისა, იყო ფსიქოლოგიური ფაქტორი. როცა პიკზე გადიხარ, იქ გაჩერება უფრო რთულია. აი, „ლივერპული" ნახეთ, რა დღეშია. ვინმე იტყვის, რომ კლოპი ცუდი მწვრთნელია, ან ისეთი ტიპია, რომ გუნდს რამე დააკლო? ხდება და „დინამოს" შემთხვევაშიც ასე მოხდა.



# ჩემი 13 მაისი



დავით კაკაბაძე
სარბიელი

1981 წლის მაისის ბოლო ან ივნისის დასაწყისი იქნებოდა. უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ტევა არ იყო: ყველა - სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, ქუჩიდან შემოპარული ქომაგები - მოუთმენლად ელოდა დიუსელდორფის გმირების გამოჩენას.

მომლოდინეთა შორის ვიყავი მეც - დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გერმანული განყოფილების მეოთხე კურსის სტუდენტი.

ლოდინს, თითქოს, ბოლო არ უჩანდა და აი, როგორც იქნა, გაისმა ტაშის გრიალი და დინამოელები დარბაზში შემოვიდნენ. მისასალმებელი სიტყვა უნივერსიტეტის რექტორმა ვაჟა ოკუჯავამ წარმოთქვა და მიკროფონი დინამოელთა უფროს მწვრთნელს ნოდარ ახალკაცს გადასცა. ბატონმა ნოდარმა მადლობა გადაუხადა რექტორსა და ყველა დამსწრეს თბილი მიღებისთვის და საგანგებოდ აღნიშნა, რომ მისი გუნდის წევრთაგან ბევრი სწორედ უნივერსიტეტის სტუდენტი ან კურსდამთავრებული იყო. მერე კი თქვა: განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო თქვენს სტუდენტს, რომელიც მართალია, ფეხბურთს არ თამაშობს, მაგრამ „დინამოს" გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანაო და ჩემის სახელი და გვარი წარმოთქვა...

ნოდარ ახალკაცი 1976 წელს გავიცანი. ის „დინამოს" უფროს მწვრთნელად ახალი დანიშნული იყო, მე კი სკოლას ვამთავრებდი. დინამოელთა ვარჯიშის მერე დიდხანს ვიჯექი უფროსი მწვრთნელის კაბინეტში და ყურადღებით ვუსმენდი ახალკაცისა და მამაჩემის საუბარს. არა, ფეხბურთზე არა - დისიდენტურ ლიტერატურაზე: სოლჟენიცინზე, ვოინოვიჩზე, კოპელევზე, აქსიონოვზე. მოგვიანებით, როცა ბატონ ნოდარს დავუახლოვდი, არაერთხელ გავოცებულვარ მისი ერუდიციისა და ნაკითხობის გამო. ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, რომ ყველა წიგნი წაკითხული ჰქონდა.

მოხდა ისე, რომ 1978 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ორი სტუდენტი სწავლის გასაგრძელებლად გაგვაგზავნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ იენის უნივერსიტეტში. იმ დროს „დინამო" ახალკაცის ხელმძღვანელობით არნახულ აღმავლობას განიცდიდა: 76-ში გუნდმა საბჭოთა კავშირის თასი მოიგო, 77-ში ჩემპიონატის ვერცხლის მედლებს დაეუფლა, 78-ის ზაფხულში კი, როცა იენაში გასამგზავრებლად ვემზადებოდი, სულაც სათავეში მოექცა სატურნირო ცხრილს (იმ წელს „დინამომ" ჩემპიონის წოდება მოიპოვა).

აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს, სამსახურიდან შინ დაბრუნებული მამაჩემი მეუბნება, ნოდარ ახალკაცმა დამირეკა და დიღომში მისვლა გთხოვა, რაღაც საქმე აქვსო.

დიღომში, „დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე ყოველი მისვლა თავისთავად მოვლენა იყო ნებისმიერი გულშემატკივრისთვის, მაგრამ მისვლა ერთია და „დინამოს" უფროსი მწვრთნელის თხოვნით სტუმრობა - სულ სხვა. მამაჩემს ვერაფრით ვათქმევინე, რა საქმე ჰქონდა ჩემთან ბატონ ნოდარს და, როცა რამდენიმე დღეში დიღმისკენ გავემართე, თავში ათასი ფიქრი მიტრიალებდა - ვერ მივმხვდარიყავი, რა შეიძლებოდა სდომოდა ჩემგან კაცს, რომლის სახელიც საქართველოში ყველას პირზე ეკერა და რომელმაც ქართული ფეხბურთი ააღორძინა.

აგვისტოს იმ ცხელ დღეს ნოდარ ახალკაცის კაბინეტში




**რამდენიმე წუთში დაუვიწყარი ფინალური მატჩი დაიწყება**

გატარებული ორსაათნახევარი ჩემი ცხოვრების უდიდეს საფეხბურთო გაკვეთილად იქცა - არც მანამდე, არც მერე, ფეხბურთის შესახებ მსგავსი არაფერი მომისმენია! საქმე კი თურმე აი, რა იყო: ბატონ ნოდარს გაეგო, რომ რამდენიმე წლით იენაში მივემგზავრებოდი და, იცოდა რა ჩემი „საფეხბურთო სიგიჟის" ამბავი, გადაწყვიტა ასეთი დავალება მოეცა: ნებისმიერი საფეხბურთო მატჩის ნახვის შემდეგ (იქნებოდა ეს გდრ-ის პირველობა, დასავლეთ გერმანიის ბუნდესლიგის შეხვედრები თუ ევროპის საკლუბო ტურნირების თამაშები) უნდა მეკეთებინა ჩანაწერები შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით და ორ კვირაში ერთხელ მისთვის წერილობით ჩამებარებინა ანგარიში. ახლა, როცა ტელევიზიით თუ ინტერნეტით ლამის ნებისმიერი მატჩის ნახვა შეიძლება და ნებისმიერ კლუბზე თუ ფეხბურთელზე ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია, ძნელად თუ წარმოიდგენს კაცი, რომ ჯერ კიდევ ოცი-ოცდაათი წლის წინ მწვრთნელებს ფანტაზიისა და გამომგონებლობის სრული მობილიზება უხდებოდათ პოტენციურ მეტოქეებზე ინფორმაციის შესაგროვებლად.

მეც, ორი წლის განმავლობაში, ერთგულად ვასრულებდი ბატონი ნოდარის დავალებას და როცა წელიწადში ორჯერ, არდადეგებზე, თბილისში ჩამოვდიოდი, დიღომში მივდიოდი და მისგან დამატებით ინსტრუქციებსა და შენიშვნებს ვიღებდი.

1980 წლის ზაფხულში საბოლოოდ დავბრუნდი საქართველოში და ჩემი საფეხბურთო-ეპისტოლარული მოღვაწეობაც ამით დასრულდა. დიღმის ბაზაზე მაინც სიხარულით დავდიოდი-ხოლმე - ხან ვარჯიშებზე დასასწრებად, ხან რომელიმე ფეხბურთელთან ინტერვიუს ასაღებად, ხანაც ბატონი ნოდარის მოსანახულებლად.

შემოდგომაზე, „დინამო" ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ტურნირში ჩაება და წლის დამთავრებამდე ასპარეზობიდან გამოთიშა საბერძნეთის „კასტორია" და ირლანდიის „უოტერფორდი". მერე, 81-ის გაზაფხულზე, ჯერი უფრო სახელოვან გუნდებზე მიდგა: მეოთხედფინალში ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი" დავამარცხეთ, ნახევარფინალში კი როტერდამის „ფეიენოორდი".

ის გარემოება, რომ ფინალში „დინამოს" იენის „კარლ ცაისი" ერგო მეტოქედ, ჩემთვის დღემდე მისტიკის სფეროს განეკუთვნება. ეს ხომ იმ ქალაქის გუნდი იყო, საიდანაც - ორწლიანი „ემიგრაციის" შემდეგ - სულ ახალი დაბრუნებული ვიყავი თბილისში. გუნდი, რომლის თამაშიც ბევრჯერ მენახა უშუალოდ ტელევიზორითაც და უშუალოდ მინდორზეც. ამიტომ, არ გამკვირვებია, როცა აპრილის ბოლოს, როტერდამში ჩატარებული უმძიმესი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ, ბატონმა ნოდარმა დამირეკა და ბაზაზე მისვლა მთხოვა. და დაამატა, „კარლ ცაისზე" რაც კი მოგეპოვება (ბუკლეტები, პროგრამები, ფოტოები), ყველაფერი წამოიღეო. მაშინ იყო, მიშა კალატოზიშვილმა რომ იხუმრა: კაკაბაძემ თქვა, რა უცნაურია ეს ახალკაცი, „კარლ ცაისის" მოთამაშეების ფეხის ზომები მთხოვა - რომ არ მქონოდა, რას აპირებდაო?!

ზედიზედ სამი დღე დავდიოდი დიღომში და რაც ვიცოდი და არ ვიცოდი, ყველაფერს ბატონ ნოდარს ვუყვებოდი. მას უნდოდა დიუსელდორფშიც წავეყვანე, გულშემატკივართა ჯგუფშიც ჩაასმევინა ჩემი თავი. ვემზადებოდი კიდეც, მაგრამ ბოლო წუთს კაგებემ ჩემი გვარი წამსვლელების სიიდან ამოიღო - რაღაც არაოფიციალური განკარგულების თანახმად, სტუდენტებისთვის ე.წ. „კაპიტალისტურ" ქვეყნებში წასვლა არ შეიძლებოდა...

მახსოვს, რა მწარედ განვიცადე ფინალზე რომ ვერ წავედი. არადა, წასვლის უფლება რომ მოეცათ, ჩემი 13 მაისი სულ სხვანაირი იქნებოდა. შესაძლოა, არანაკლებ ბედნიერი, მაგრამ სხვანაირი. მაინც მგონია, რომ ქალაქის ქუჩებში მოზეიმე ათიათასობით თბილისელთან ერთად განუმეორებელი რამის მოწმე გავხდი. არც მანამდე, არც მერე არ მიგვრძნია ისეთი ყოვლისმომცველი, ნაცნობთან თუ უცნობთან გაზიარებული სიხარული, როგორც იმ ღამეს...

# ვიტალი და ვიტალინა



ვიტალი დარასელია

**ამ დროისთვის, ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში 3459 ვიტალი ცხოვრობს. კიდევ 92 ადამიანს ვიტალ ჰქვია. ქალებში ეს სახელი ნაკლებად პოპულარულია, სულ 5 ვიტალინა გვყავს.**

**ეს სტატისტიკა იმიტომ მოვიშველიეთ, რომ იმ 13 მაისის შემდეგ საქართველოში უამრავმა მშობელმა შვილს სახელი ვიტალი დარასელიას საპატივცემულოდ დაარქვა. ისე, რაღა შორს წავიდეთ და უმცროს ვიტალისაც ხომ მამის საპატივცემულოდ ქვია ეს სახელი, თუმც ეს უფრო ძველი ამბავი - „ნაპოლისთან" მატჩის გამოძახილი..**

**ჩვენ რამდენიმე ვიტალი მოვძებნეთ და აგერ, გაიცანით...**

**ვიტალი მელაია, გალიდან**

- ერთ-ერთი მე ვარ, ვისაც სახელი ვიტალი დარასელიას საპატივცემულოდ დაარქვეს. ოჯახში მეხუთე შვილი ვიყავი. მამაჩემს უნდოდა ჩემთვის მახარე დაერქმია. ჩემს უფროს დას, რომელსაც ფეხბურთი ძალიან უყვარდა, მამასთვის უთხოვია, ვიტალი დავარქვათო და მშობლებიც დათანხმებულან.

**ვიტალი ბერიძე, ბათუმიდან**

- მთელი ოჯახი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი იყო, განსაკუთრებით კი ბებია და ბაბუა. 15 მაისს დავიბადე, მაგრამ ოჯახს აბა, თასების თასის მოპოვებით გაწცდილ სიხარულს რა გაუწელებდა. როცა ჩემთვის სახელის დარქმევაზე მსჯელობდნენ, ბებია-ბაბუასთვის წინააღმდეგობის გაწევას თურმე აზრიც არ ჰქონია.

**ვიტალი წიწკაშვილი, თბილისიდან**

- რეალურად, თურმე 13 მაისს დავიბადე, მაგრამ იმ თამაშის შემხედვარეთ, აბა, სახელისთვის ვის ცხელოდა. მოწმობაში დაბადების თარიღად 14 მაისი ჩამიწერეს და ცხადია, სახელიც შესაფერისი დამარქვეს - ვიტალი დარასელიას საპატივცემულოდ.

*ლუკა თალაკვაძე*



ვიტალი მელაია

ეროვნული ბიბლიოთეკა





# 13 მაისის



დათო ტურაშვილი
სარბიელი

სანამ იმ ღამის ამბავს მოვყვები, რომელიც ყველაზე ზღაპრული და ჯადოსნური აღმოჩნდა ჩემი თაობის საქართველოსთვის, ჯერ იმ დღეზე ვიტყვი, რომელმაც ის ბედნიერი ღამე მოგვიტანა და თანაც არა მარტო ჩემი თაობის ადამიანებს.

სინამდვილეში, ფეხბურთზე შეყვარებული, ნებისმიერი თაობის ქართველი ქომაგისთვის, ეს არის ყველაზე მთავარი დღე ქართული ფეხბურთის ისტორიაში, რადგან უკვე მერამდენე მაისი მოვიდა 1981 წლის შემდეგ, მაგრამ ჩვენ მაინც იქ ვართ, იმიტომ რომ იმ 13 მაისზე უკეთესი დღე, ჯერჯერობით ვერ შევქმენით.

თუმცა, იმ დღის დასაწყისი ჩემთვის, მერვეკლასელი მოსწავლისათვის, სულაც არ იყო ტკბილი და ადვილი, რადგან დილიდან სკოლა მქონდა, რომელიც არ მძულდა არასოდეს, მაგრამ გაკვეთილებისთვის იმ დილით, უბრალოდ არ მეცალა. ამიტომაც ისტორიის გაკვეთილზე, ვერ მოვითმინე და ქალბატონ ეთერ ქუთათელაძეს პირდაპირ ვკითხე, - თქვენი აზრით დღეს სალამოს ვინ მოიგებს-მეთქი და ჩვენმა ძვირფასმა ისტორიის მასწავლებელმა, ამ კითხვაზე კითხვითვე გვიპასუხასა, - ჩვენი თერთმეტკაციანი „დინამოს" წინააღმდეგ, ისინიც ხომ თერთმეტნი იქნებიანო.

დიახო, - ერთბაშად და სიხარულით ვიყვირეთ მთელმა კლასმა (ალბათ უფრო იმით გახარებულებმა რომ მასწავლებელი ფეხბურთზე საუბარში ჩავითრიეთ) და მაშინო, - ქალბატონმა ეთერმა, - აუცილებლად მოვიგებთ, რადგან თერთმეტ ქართველს თერთმეტი გერმანელი ვერცერთ ბრძოლაში ვერ დაამარცხებსო.

მერე ისიც დაამატა, რომ არა მხოლოდ გერმანელები, თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, ვერავინ ვერასოდეს მოგვერეოდა – ვერც სპარსელი და ვერც მონღოლი და მხოლოდ იმიტომ ვაგებდით ბრძოლებს რომ ისინი ბევრნი იყვნენ და ჩვენ კი მუდამ ცოტანიო.

ცოტა კი არა, ბევრი ამოვისუნთქე და ცოტა კი არა, ბევრი მომეშვა და შუადღისას უფრო მხნედ ვიყავი, ვიდრე დილით, მაგრამ მაინც ისე ვნერვიულობდი, რომ მოლოდინიც უსასრულოდ გაიწელა და ალბათ ამიტომაც ჩვენი ბირჟები იმ სალამოს, ჩვეულებრივზე ადრე მივატოვეთ, მიუხედავად იმისა რომ თბილისის ქუჩებს მაშინ, გაზაფხულის ტკბილი სუნი და გემო ჰქონდა.

სულაც არ არის გასაკვირი, რომ საქართველოში, ქვეყანაში, სადაც ადამიანების საკმაოდ დიდ ნაწილს, ახლაც მითოლოგიური აზროვნება აქვს, მაშინ რამდენიმე ლეგენდა გაჩნდა იმ მატჩის დაწყებამდეც და მერეც. ყველას რა თქმა უნდა ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ აუცილებლად გავიხსენებ მაშინ ძალიან გავრცელებულ ჭორს, რომლის მიხედვითაც უკვე ასაკოვანი ლავრენტი ბერია „დინამო" – „კარლ ცაისის" თამაშს დაესწრო. იმავე ჭორის თანახმად, იგი არგენტინაში იმალებოდა სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ მას იმდენად სურდა ქართველების გამარჯვება, რომ 1981 წლის 13 მაისს თავი ველარ შეიკავა და დიუსელდორფში მაინც ჩავიდა.

სანამ იმ თამაშისა და მთავარი გამარჯვების, მერე კი ყველაზე დიდი და ნამდვილი ზეიმის ამბავს მოვყვები, პატარა გადახვევას გავაკეთებ, რადგან აქ რომ ის ტკბილი კაცი არ გავიხსენო, ბევრი წლის შემდეგ კიოლნში რომ შემხვდა, მართლა არ შემიძლია.

მივდიოდი მატარებლით გერმანიიდან ჰოლანდიაში და კიოლნის სადგურზე ფანჯრიდან გადავიხედე და რას ვხედავ - დგას ახალგაზრდა კაცი, დიდი ქართული ცხვირით და გამოველაპარაკე. ცხვირმა შეიძლება მოგატყუოს, მაგრამ ქართული თვალები ხომ ნაღდად არაფერში აგერევა და რასაკვირველია, ქართველი აღმოჩნდა. საით გაგიწევია-მეთქი და დიუსელდორფში მივდივარო. რა საქმეზე-მეთქი და ისე, უბრალოდ, იმ ქალაქის ნახვა მინდა, სადაც თასების თასი მოვიგეთო. სულ არ იყო უბრალო საქმე და არც ის კაცი იყო უბრალო ადამიანი და მატარებელი რომ არ დაძრულიყო, ალბათ ავტირდებოდი კიდეც.

ხოლო რადგან მითოლოგია უკვე ვახსენე, იმ ღამის აღწერამდე, კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ, რადგან მგონი ჩვენში ლეგენდები მართლა უფრო უყვართ, ვიდრე ფაქტები, მაგრამ ეს ამბავი შეიძლება ნამდვილიც კი იყოს, რადგან ყანდაარში მართლაც ქართველების შთამომავლები ცხოვრობენ და ბოლო-ბოლო ნებისმიერ ლეგენდას აქვს არსებობის უფლება და მითუმეტეს ისეთ კეთილს, როგორსაც ახლა მოვყვები.

თუმცა ჯერ ყანდაარისას ვიტყვი და ეს ყანდაარი კი ავღანეთის ქართველებით დასახლებული ნაწილია, რომელიც დღემდე ვერ დაიმორჩილეს და ზემოთქმულის ახსნა მარტივია თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მუსულმანი ქართველები ყველგან უფრო მეტად ფანატიკოსები არიან, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა. ამის მიზეზი კი ალბათ, უცხო ქვეყანაში დამკვიდრების სწრაფი მცდელობაა და ავღანეთში კი ქართველები გურგენ-ხანის დროს მოხვდნენ, რომელიც სინამდვილეში გიორგი მეთერთმეტე იყო.

გიორგი მეთერთმეტეს კი (თავის მხრივ) სპარსელებმა დაავალეს ავღანელი მირ-ვეისის დასჯა, რომელიც რჩეული ლაშქრით მაშინდელი ირანის დედაქალაქსაც კი მიადგა და შეშფოთებულმა სპარსელებმა ქართველ მეფეს დახმარებისათვის მიმართეს. ქართველმა გურგენ-ხანმა კი (რომელსაც სხვა დროს აბა როდის მიეცემოდა სპარსელების წინაშე თავმოწონების ასეთი საშუალება), მირ-ვეისს ავღანეთამდე ისე სდია, რომ დაუნდობელი გურჯების ამბავს თურმე კიდევ კარგა ხანს ჰყვებოდნენ თურანის ქვეყანაში.

სპარსეთის შაჰს (რასაკვირველია) ისე მოეწონა სხვების ომში დაუზარელი ქართველების ღვაწლი, რომ ქართველი მეფე ავღანეთის მმართველადაც დანიშნა და სწორედ მაშინ გახდა გიორგი მეთერთმეტე გურგენ-ხანი. სწორედ მაშინ დასახლდნენ ავღანურ ყანდაარშიც ქართველები, რომლებიც გიორგი მეფის ლაშქარს შეადგენდნენ და მათ შთამომავლებს შორის კი ისეთებიც აღმოჩნდნენ, ვინც 1981 წლის 13 მაისის ფინალის ნახვა მოინდომეს ყანდაარის იმ სოფელში, სადაც ავღანელ მოჯაჰედინებს საბჭოთა ტყვეების ბანაკი ჰქონდათ.

ურუსები ისეთ ხაროებში ჰყავდათ დამწყვდეულები, დავით გურამიშვილს რომ აქვს აღწერილი და საიდანაც მხოლოდ ცას ხედავ, მაგრამ ყველაფერი გესმის და ნაწამებ ტყვეებსაც ესმოდათ ფეხბურთის რეპორტაჟის ხმა, მაგრამ მათ არ შეეძლოთ ჰქონოდათ რეაქცია, რადგან ერთადერთი, რაზეც ისინი ფიქრობდნენ ხოლმე, მოსალოდნელი სიკვდილი იყო. თუმცა მათ შორის იყო ერთი ტყვე, რომელმაც ზუსტად იცოდა, რომ იმ დღეს თბილისის „დინამო" იენის „კარლ ცაისს" ხვდებოდა დიუსელდორფში და მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც ელოდა ამ მატჩს, რადგან ის იყო ქართველი და ქართულ საფეხბურთო კლუბს კი იმ დღეს პირველად ჰქონდა ევროპული თასის მოგების ისტორიული შანსი.

ერთი თვით ადრე, სანამ ტყვე გახდებოდა, იმ ქართველმა ჯარისკაცმა ავღანეთის ერთიერთი ციხესიმაგრის კედელზე ძველი ქართული გრაფიტი ამოიკითხა და გულწრფელად გაუკვირდა რომ სამი საუკუნით ადრე , როგორც ახლა მას, იმ რომელიღაც თანამემამულესაც, ძალიან ენატრებოდა საქართველოში, თავის მშობლიურ სოფელში დატოვებული მშვენიერი სატრფო. სიყვარულისა აბა რა უნდა გაჰკვირვებოდა მარადრომანტიულ ქართველ კაცს, მაგრამ თვითონ ის ფაქტი რომ რამდენიმე საუკუნის წინაც იმავე ციხესიმაგრეში იჯდა ვილაც ქართველი მეომარი, მისთვის საკმაოდ უცნაური იყო.

გიორგი რევიშვილი, ვისგანაც ეს ამბავი მაქვს მოსმენილი, ხუმრობდა ხოლმე, ალბათ იმ ქართველ საბჭოთა ჯარისკაცს, სწორედ ის გაკვეთილი ჰქონდა გამოტოვებული, რომელზეც ის-



www.sarbieli.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღე... და ღამე





ტორიის მასწავლებლები სწორედ იმას გვიხსნიდნენ, თუ რა ხშირად უწევდათ ჩვენს წინაპრებს (საუკუნეების მანძილზე ), სხვა ქვეყნების სახელით ბრძოლა და სიკვდილი.

თუმცა შორს წავედი (საკმაოდ) და ჯერ 1981 წლის 13 მაისია, დიდი რემკა ჯერ სკოლის მოწაფეა და ყანდაარში ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ჯარისკაციც ჯერ ისევ ცოცხალია და გისოსებიან თავლია ხაროში ზის იქვე, ძალიან ახლოს ფერად ტელევიზორთან, რომელსაც ყანდაარელი ავღანელები გაკვირვებულები უყურებენ.

ფერადი ტელევიზორები კი სწორედ იმ წელს შეიტანეს ავღანეთში და მართალია ამის გამო, მათი შავ-თეთრი ცხოვრება, არ გაფერადებულა, მაგრამ ავღანურ წუთისოფელში რაღაც იმედისმაგვარი მაინც გაჩნდა. თუმცა ეს მხოლოდ იმედი იყო და რეალურად კი საბჭოთა ხელისუფლებას, ავღანეთში ტელევიზორების შეტანა, მხოლოდ პროპაგანდისტული მიზნით სურდა. შეძლო კიდეც და იარაღის გარდა, ტელევიზორი იყო ერთადერთი, რაც რუსებმა ავღანეთში მასიურად შეიტანეს, მაგრამ რასაკვირველია არა იარაღზე მეტი. სხვათა შორის, თვითონ საბჭოთა ჯარისკაცების რაოდენობას ავღანეთში, ოფიციალურად ერქვა შეზღუდული კონტინგენტი, თორემ სინამდვილეში რამდენიმე ასეულ ათასი ოკუპანტი ცდილობდა ავღანეთის დაპყრობას. საბჭოელებს შორის კი, რა თქმა უნდა, ქართველებიც იყვნენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თვითონ თავისუფლებადაკარგულები, ადრე თუ სპარსელების სახელით ვებრძოდით ავღანელებს, ახლა რუსებთან ერთად ვცდილობდით სხვებისთვის თავისუფლების წართმევას. ჰოდა, რა გასაკვირი იქნებოდა რომ იმ ტყვეებს შორის ერთი ქართველიც ყოფილიყო, რომელიც ახლა, ყველაფრის მიუხედავად, ძალიან ყურადღებით უსმენდა ხმას, რომელიც ზემოდან ჩამოდიოდა.

ხოლო როცა იმ ხმის მიხედვით, ქართველი პატიმარი იმასაც მიხვდა, რომ გუცაევმა ანგარიში გაათანაბრა, მან თავი ვერ შეიკავა და სიხარულისაგან ისეთი ღრიალა, რომ ტელევიზორის წინ შინაურულად წამოწოლილი ავღანელები, მაშინვე ფეხზე წამოხტნენ. ხაროში რომ ჩაიხედეს, ქართველ ტყვეს ბორკილებიანი ხელები ზევით ჰქონდა აწეული და სიხარულისაგან ისეთ ხმებს გამოსცემდა, რომ ლინგვისტიკის ელემენტარულ საფუძვლებზე გამწყრალი ავღანელი მოჯაჰედინებიც კი მიხვდნენ რომ ეს ტყვე რუსულად არ ყვიროდა. მისი გარდამეტებული სიხარულიც ისეთი საეჭვო იყო რომ იგი მაშინვე ამოიყვანეს იმ თავლია, გისოსებიანი ორმოდან, სადაც ქართველი ტყვე რამდენიმე დღის წინ ჩააგდეს და მას, რა თქმა უნდა, შიოდა კიდეც და წყურვილიც კლავდა, მაგრამ მან თვალებით მხოლოდ ტელევიზორი მოძებნა და როგორც კი მიაგნო, მისკენ ნაბიჯიც გადადგა. ავღანელებმაც მაშინვე გადატენეს განუყრელი ავტომატები, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთმა, ვინც მეთაურს ყველაზე მეტად ჰგავდა, დანარჩენებს ხელით ანიშნა აცალეთო და ქართველი ტყვეც ტელევიზორთან მიუშვეს.

მერე დაჯდომისა და ფეხმორთხმის უფლებაც კი მისცეს, მაგრამ ვიტალი დარასელიას გოლის შემდეგ აღარც დამჯდარა, რადგან ზუსტად იცოდა რომ ახლა, თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, მთელი საქართველოც ფეხზე იდგა დიდი გამარჯვების მოლოდინში.

რიკარდო ლატანცის საფინალო სასტვენის შემდეგ კი ქართველმა ტყვემ ისეთი ყიჟინა დასცა, რომ მანამდე, დარასელიას გოლით გამოწვეული მისი რეაქცია, უკვე ხუმრობად მოეჩვენათ მოძმე ავღანელებს. თუმცა ქართველი ტყვე აღარ ხუმრობდა, ის ღრიალით გარბოდა გაურკვეველი მიმართულებით და გაოგნებული მოჯაჰედინები კი გაფართოებული თვალებით დასცქეროდნენ იქვე დაყრილ ბორკილებს. ავღანელებმა დანამდვილებით იცოდნენ რომ ეს დელი გურჯი შორს მაინც ვერ გაიქცეოდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა და რომც გაქცეულიყო, იქნებ არც გამოკიდებოდნენ, რადგან ის ხომ მათსავით გურჯი იყო ქართლის რომელიღაც სოფლიდან. ფაქტია, რომ ყოფილ ტყვეს არავინ დაედევნა და ყანდაარელ მეთაურს კი მხოლოდ გაელიმა, როცა აღმოაჩინა თუ რა შეუძლია დიდ სიხარულს, რომელიც თურმე ისევე სწყურია ადამიანს, როგორც თავისუფლება.

რემკას ამ ამბავზე კინოსცენარიც კი ჰქონდა დაწერილი, რომელსაც ისე ჰყვებოდა ხოლმე რომ ავღანეთში წასვლა მოგინდებოდა, მაგრამ როგორც ბევრი რამ, ესეც ვერ მოასწრო, რადგან თვითონაც სხვის ომში მოკვდა...

იმ დღეს კი, უფრო სწორად იმ საღამოს, როცა სახლებში ავედით და მშობლებთან ერთად ტელევიზორების წინ დავსხედით, აღმოვაჩინე, რომ ეს იყო გამონაკლისი შემთხვევა, როცა ჩვენ ერთმანეთის ძალიან გვესმოდა, მიუხედავად იმისა რომ თინეიჯერულ ასაკში, შვილებს მშობლები ხშირად ვერ უგებენ. თუმცა, მაშინ ჩვენ არ გვეძახდნენ თინეიჯერებს და ჩვენმა მშობლებმა არც იცოდნენ, რომ ასეთი სიტყვა საერთოდ არსებობდა, რადგან ჩვენ მაშინ საბჭოთა საქართველოში ვცხოვრობდით, რომელიც ჩაკეტილი ზონა იყო და ზონიდან ფეხბურთის საყურებლად კაპიტალისტურ გერმანიაში, აბა ვინ გაგვიშვებდა.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ამიტომაც იმ მთავარ ქართულ საფეხბურთო მატჩს, ქართველები ბევრნი არ ესწრებოდნენ და ისრაელიდან სპეციალურად ჩასული ქართველი ებრაელები რომ არა, დიუსელდორფის სტადიონის ტრიბუნებზე შემთხვევით ჩამოსხდარ გერმანელებს, ალბათ ჩაეძინებოდათ კიდეც.

თვითონ თამაშის აღწერას რა აზრი აქვს, მაგრამ ახლაც, ამდენი წლის შემდეგაც, როცა „კარლცაისის" კარში გატანილ ვოვა გუცაევისა და ვიტალი დარასელიას გოლებს აჩვენებენ ხოლმე ტელევიზიით, ახლაც სუნთქვა მეკვრება და ახლაც ისევე ველოდები ხოლმე იმ გოლს, როგორც მაშინ, იმ დაუვიწყარ საღამოს.

თუმცა, უკვე შუაღამე იყო, როცა თამაში დამთავრდა ქართველების გამარჯვებით და ჩვენც ქუჩებში შეშლილებივით გამოვცვივდით და მართლა შემაძრწუნებლად მოვედით თბილისის ქუჩებს „დინამოს" ღრიალით. მერე ხალხმა „საქართველოს" სკანდირებაც დაიწყო და მახსოვს, რომ როცა სტადიონზე შევდიოდით, ისეთი გუგუნის ხმა იყო, უნებლიედ ზევით ავიხედე და ისიც კი ვიფიქრე, რომ ხომ არ ჩამოინგრევა-მეთქი.

მოედანზეც უამრავი ადამიანი იყო და ტრიბუნებზეც ადღეგრძელებდნენ ჩვენს ფეხბურთელებს ჭიქებით და ყანწებით, მაგრამ სტადიონზე დიდხანს არ დავრჩენილვართ, რადგან ქუჩებში მოძრაობა უფრო სასიამოვნო იყო. ამ ქუჩებს ასეთი სახალხო და ნამდვილი დღესასწაული აღარ ახსოვდათ დამოუკიდებლობის შემდეგ და პირადად მე პირველად მქონდა ნამდვილი სიხარულისა და ბედნიერების შეგრძნება.

როცა სახლებში დავბრუნდით, უკვე თენდებოდა თითქმის და ძალიან დაღლილი კი ვიყავი, მაგრამ იმდენად აღტკინებული რომ დაძინება შეუძლებელი იყო და სკოლაში წავედი. მახსოვს დილის სიჩუმე ბედნიერი ღამისაგან დაღლილ ქალაქში, რომელსაც მხოლოდ დილის მეეზოვეები არღვევდნენ დიდი ცოცხებით ხელში და მე ფეხით მივუყვებოდი სკოლისაკენ მიმავალ გზას.

ყველაზე დაუვიწყარი კი ჩემთვის მაინც ჩემი კლასელისა და მეგობრის გიო ახვლედიანის დანახვა იყო, რომელიც ჩემსავით სკოლისკენ მოდიოდა იმავე ფალიაშვილის ქუჩით, ოღონდ საპირისპირო მხრიდან.

და მიახლოებისთანავე, უცებ უსიტყვოდ გადავეხვიეთ ერთმანეთს და იმდილანდელი გულების სითბო, მაშინ რომ ვიგრძენი, ახლაც მენატრება ხოლმე, როგორც ბავშვობის მთავარი ბედნიერება...

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 13 მაისი 2021 №1 (3522) | ფასი 2.50 ლარი


გაზეთ სარბიელისა და დინამო თბილისის ერთობლივი პროექტი

## დინამო თბილისი

DINAMO TBILISI
1925

# დინამო გულის ფიცარზე...

...პირველს აკლდა ექვსი... ვიტალი დარასელიამ შნუპჰაზე მოატყუა...

რაც არ უნდა მოხდეს, გამარჯვების დღე არასდროს გახუნდება.

სიხარულისა და შვების დიდი და საოცარი განცდა, ბედნიერებას ნიშნავს. ბედნიერება კი, თავისუფლებაა. 1981 წლის 13 მაისის ღამე დიდი თავისუფლების ღამე იყო. იმ ღამის მომსწრენი, ამას იოლად გაიხსენებენ.

გაიხსენებენ და გაიხარებენ კიდეც, რადგან ასეთი საბჭოთა თბილისში არც დაღამებულა და არც გათენებულა. თბილისის „დინამომ" მაშინ ყველაფერს აჯობა, ისეთ რამეებსაც კი, რომელთა ჯობნაზეც გუნდს კი არა, არავის ეფიქრა. ფეხბურთი თამაშია, მაგრამ ზოგჯერ ისე გამოდის, რომ თამაში ყველაზე ნამდვილ რამედ იქცევა ხოლმე და სამყაროს მთავარ სიმებს შეეხება.

ჩვენთვის 13 მაისი ეგ იყო.

იყო კი არა, თუნდაც ასი და ათასი წელიწადი გავიდეს, ასე იქნება.

დღეს, ის დღეა და ის ღამე.

დინამო - გულის ფიცარზე!

გიო ახვლედიანი




სარჩუქარი

გვ. 20-21


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

ელექტრონული ვერსია
https://www.sarbieli.com/
https://www.sarbieli.ge/

ელექტრონული ფოსტა
info@sarbieli.com
www.facebook.com/sarbielicom/

**ნომერზე მუშაობდნენ:** ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, გიორგი დარჯანია, თამაზ მიგრიაული
**რედაქტორი** კობა ინასარიძე
**ფოტო:** გია ახალაძე, ბადრი კეთილაძე
**დიზაინი:** დავით ფარუაშვილი, მიხეილ ჯაში

**გამომცემელი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**დახმარებისთვის მადლობა:** ლია ბაბუნაშვილი, ირაკლი ბუხალი, დავით კაკაბაძე, მარინა მამალაძე, ზურაბ მეძველია, ვაჟა ქვანია

2009882622650